ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთაირის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

კვირა, 18 აპრილი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 87 (1542)

დ ღ ი უ რ ი

- ბადალბა სამხრეთ-სლავიის მთავრობა.
- ამერიკის ფრესა კმაყოფილია ჩიჩერინის ნოტით-ფრანგ ლიტ-ზისადმი.
- ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ კრიზისმა სანახშირო მრეწველობაში მწვავე ხასიათი მიიღო.
- გამოირკვა, რომ ჩინეთის სახალხო არმია ღალატისვსავერპლი გახდა.
- ბავარიაში გრძელდება კომპარტიის დევნა.

მუშაობა ღარიბ გლეხობას შორის

პარტიის დირექტივები ღარიბ გლეხობის შორის მუშაობის დარგში ადგილობრივ არა ყველგანაა სისწორით შეთვისებული; პრაქტიკულად ჩვენი საქმიანობა სოფლის ამ ფენის შეკავშირების და დახმარების მხრივ ბევრგან ჯერ - ჯერობით ძალზე მოისუსტებს.

პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ გლეხობის **დაკავშირებას საშუალო გლეხობასთან.** პირველის ორგანიზაციამ არამც და არამც არ უნდა მიიღოს მისი მეორისაგან ოდნავ ჩამოშორების, მათ შორის რაიმე გაუგებრობის და უნდობლობის გამომწვევი ფორმა. ღარიბ გლეხობის კრებებზე დასწრების და მათში მონაწილეობის სრული საშუალება უნდა ჰქონდეს საშუალო მოწინავე გლეხობას. ასეთ კრებებზე შეიძლება ისმებოდეს არა მარტო ისეთი საკითხები, რომელნიც მარტო ღარიბ გლეხებს აინტერესებთ, არამედ ისეთი საკითხებიც, რომელნიც ეხებიან სოფლის მთავარ მასსას — საშუალო გლეხობას. ამ საკითხების გარჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ორივე ხსენებული მონათესავე ფენის საჭიროებანი. საშუალო გლეხობას საფუძველი არ უნდა ჰქონდეს ეჭვი შეიტანოს, რომ ღარიბ გლეხობის ორგანიზაცია სრულებით არ არის მის წინააღმდეგ მიმართული, პირიქით — ის უნდა დარწმუნდეს, რომ ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავს საშუალო გლეხობის კეთილდღეობასაც. თანამშრომლობა მათ შორის უნდა გატარდეს ყველა სასოფლო ორგანიზაციაში, აქ ღარიბ გლეხთა ჯგუფები კონტაქტით უნდა მუშაობდნენ საშუალო გლეხობის წარმომადგენლებთან. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ერთიანი ფრონტის განხორციელება მათ შორის, რაც ძირითადი პირობაა კულაკობის გასანაპირებლად, მისი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენის შესასუსტებლად.

მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს მას, რომ ღარიბ გლეხობამ დაკარგოს თავისი სახე და ხელი აიღოს საკუთარი ხაზის გატარებაზე. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ იგი დაირაზმოს და ერთგვარი **ხელმძღვანელი როლი ითამაშოს** სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მხოლოდ მაშინ მოიხვეჭს ის ავტორიტეტს საშუალო გლეხობის მხრივ, როცა შეთანხმებულად და მომზადებულად გამოვა სოფლის საზოგადოებრივ სარბიელზე, როცა აქტიურად და შეგნებულად ჩაებმება სოფლის ორგანიზაციების მუშაობაში.

არა თქმა უნდა, ღარიბი გლეხობა რომ გახდეს მნიშვნელოვან ძალად სოფლის ცხოვრებაში, ამისათვის საჭიროა მისი **ნივთიერი მოღონიერება.** მთავარი ამოცანა მდგომარეობს ღარიბ გლეხობისათვის მიზანშეწონილ მატერიალურ დახმარების აღმოჩენაში. სახელმწიფო ამისათვის იღებს შესაძლებელ თანხებს და მრავალ სხვადასხვაგვარ შეღავათს აძლევს ღარიბ გლეხობას. უღარიბეს გლეხობის მიწათმოწყობა სახელმწიფოს ხარჯზე ხდება. გამოყოფილია სპეციალური ფონდი მისთვის იაფი და გრძელვადიანი კრედიტის გასახსნელად. უღარიბესი გლეხობა განთავისუფლებულია სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან. შეღავათიან პირობებში და ხშირად უფასოდ სწარმოებს მათთვის საალმშენებლო მასალის გაცემა და სხ. კოოპერაციაც იღებს ზომებს, რათა ღარიბ გლეხობას გაუადვილოს მასში შესვლა, როგორიცაა: საშუალებათა გამოყოფა მისი კოოპერატიული შეკავშირებისათვის, საპაიო გამოსაღების ნაწილ-ნაწილად შეტანის დაწესება და სხ.

მაგრამ ყველა ეს დახმარება შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ იგი მიზანშეწონილად არ იქნა გამოყენებული. უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ ღარიბ გლეხობამ მთავრობის მიერ დაწესებული ყოველგვარი დახმარებით და შეღავათით **თავის დროზე და მთლიანად** ისარგებლოს. ამ მხრივ აუცილებელია ფხიზელი კანტროლის შემოღება. ეს ცოტაა. ამ დახმარებას თუ შეღავათს **არ უნდა მიეცეს „სოციალური უზრუნველყოფის" სისტემის ხასიათი.** ამან არ უნდა შექმნას ღარიბ გლეხში „მოწყალეობითი" პსიქოლოგია. ის დახმარება, რომელსაც ეწევა სახელმწიფო, კოოპერაცია, გლეხკომი თუ სხვა ორგანიზაცია, ღარიბ გლეხობის სასარგებლოდ, უმთავრესად უნდა მოქმედებდეს უკანასკნელის **მეურნეობის აღორძინებას, მის შეკავშირებას საწარმოო მიზნით.** მაგ., დღეს საკრედიტო ამხანაგობებს ეძნელებათ ღარიბ გლეხობაზე სესხის გაცემა — ამ სესხის უკან დაბრუნების იმედი არა აქვთ. მართლაც, ძნელი იქნება სესხის უკან მიღება, თუ მას ღარიბი გლეხი დახარჯავს მიმდინარე სამომხმარებლო საჭიროებებისათვის. მაგრამ ჩვენს ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რომ გლეხმა აღებული სესხი მოახმაროს მეურნეობის აღდგენას. მაშინ მას არ გაუჭირდება მისი გადახდა. კოოპერაცია, გლეხკომი და სხვა სათანადო ორგანოები უნდა შეეცადონ ღარიბ გლეხობის კოლექტიურ გაერთიანებას ყანების დამუშავების, ინვენტარის შეძენის, პროდუქციის გასაღებას და სხვა დარგებში. **კრედიტის გაცემა და სხვაგვარი დახმარება მჭიდროთ უნდა იქნეს დაკავშირებული ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების და საერთო ძალღონით მისი მეურნეობის განვითარების ამოცანასთან.**

ამ მიმართულებით უნდა გამომუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი, თვითეულ ცალკე რაიონის პირობებთან შეფარდებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის და დახმარების დარგში შესრულებულ მუშაობის მთლიან და უტყუარი სურათი ჩვენ კიდევ არ გვაქვს. **საჭიროა ამ მხრივ არსებულ გამოცდილების შესწავლა და განზოგადოება,** რომ შეცდომები ავიცილოთ და დადებითი შედეგები განვამტკიცოთ.

◆

კოლექტიური მეურნეობათა გაჯანსაღებისათვის

კოლექტიური მიწათმოქმედების უპირატესობა ინდივიდუალურ სოფლის მეურნეობაზე იმდენათ აშკარა და თვალსაჩინოა, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ აღმზრდელობის მხრივ, რომ ამ საკითხზე სიტყვის გაგრძელება არ მოგვიხდება.

სწორედ ამას უნდა მიეწეროს, რომ სოფლის მოსახლეობამ შეიგნო კოლექტიურ მეურნეობების უპირატესობანი და ამგვარ მეურნეობათა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. მაგრამ რამდენათაც სწრაფად იზრდებიან ისინი, იმდენათვე სწრაფად ჩაივდებიან და იშლებიან ძველი, უკვე რამდენიმე წლობით არსებული კოლექტიური მეურნეობანი.

ამგვარათ, კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის დარგში ჩვენ ორ ერთი-მეორის საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ერთის მხრივ სწრაფი ზრდა კოლექტიურ მეურნეობის და მეორე მხრივ ასეთივე სწრაფი დაშლა ამ მეურნეობების.

მხოლოდ წარსული ზამთარის განმავლობაში, მარტო თელავის მაზრაში დაიშალა ათამდე სასოფლო-სამეურნეო კომუნა. სხვა მაზრებშიაც, დაახლოებით, ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი. ამავე დროს ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ არსდება ახალ-ახალი კოლექტიური მეურნეობანი, და რომ გლეხკაცობა დიდი ხალისით იღებს მონაწილეობას მათ მოწყობა-ორგანიზაციაში.

რით უნდა ავხსნათ ამგვარი მდგომარეობა? პირველი პროცესი, პროცესი კოლექტიურ მეურნეობათა სტიქიური წარმოშობა—ზრდისა, აიხსნება გლეხკაცობის ბუნებრივი ლტოლვით ეკონომიურად დაწინაურებისაკენ, რაც გაცილებით უფრო ადვილად მისაღწევია გაერთიანებული ძალით, ვიდრე ცალკე შრომით. გარდა ამისა, საბჭოთა წყობილების პირობებში გლეხკაცობის ამგვარ ლტოლვას გაშლილი აქვს ფართე ასპარეზი.

ხელისუფლება თვით არის დაინტერესებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში, რაც, პირველ ყოვლისა, ხელსაყრელია ღარიბ და საშუალო შეძლების ელემენტებისათვის. მიწის სივიწროვე, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის სიმცირე, ბინის უვარგისობა და სხვა, რომელსაც განიცდის ღარიბი გლეხი, გაცილებით უფრო ადვილი დასაძლევი საქმეა კოლექტიურათ დარაზმულ მშრომელისათვის, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნესათვის. ასეთივე მნიშვნელობა აქვს კოლექტიურათ გაერთიანებას, თუ სოფელს ესაჭიროება მეურნეობის რაიმე გაუმჯობესებული იარაღი, როგორც, მაგალითად, ტრაქტორი, სოფლის პროდუქციის დასამუშავებელი საშუალებანი (შინამრეწველობის საგნები) და სხვ.

ასეთია უმთავრესად ის მოსაზრებანი, რომელნიც საფუძვლად უდევთ კოლექტიურ მეურნეობათა დაარსებას.

მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ რამდენადაც დიდია კოლექტიურ მეურნეობათა მნიშვნელობა სოფლის ეკონომიურ და კულტურულ წინმსვლელობისათვის, იმდენათვე დიდი ყურადღება არ ექცევა მათ მუშაობას სათანადო ორგანოების მიერ და, სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს იმის ერთ-ერთ მთავარ მიზეზათ, რომ კოლექტიური მეურნეობანი ზოგჯერ სწრაფად ჩნდებიან და სწრაფადვე ქვდებიან.

რამდენათ სუსტია ხელმძღვანელობა კოლექტიურ მეურნეობებზე იქედანაც ჩანს, რომ ჯერ კიდევ არაა გარკვეული და საბოლოოთ ჩამოყალიბებული ამ სამეურნეო ორგანიზაციათა სხვადასხვა სახე და მათი დანიშნულება-ამოცანები. არის კომუნები, არის არტელები, არის ამხანაგობები და გარკვევით ბევრმა არც კი იცის, რით განსხვავდება ყველა ესენი ერთმანეთისაგან.

არ არის, გარდა ამისა, გამოკვლეული და შესწავლილი ცალკე მეურნეობათა მუშაობის პრაქტიკა და გამოცდილება. არაა კავშირი კოლექტიურ გაერთიანებათა შორის. აქედან გამომდინარეობს მუშაობის ის სხვადასხვა ფორმები, რომელსაც დამოუკიდებლათ მისდევს თვითეული მეურნეობა და რომელიც ზოგჯერ იმდენათ მიზანშეწონილი და უხეიროა, რომ სამეურნეო კოლექტივი დაშლამდე მიჰყავს.

შესწავლილი და გამოსაკვლევი სოფლის კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობაში საკმარისზე მეტია. საქმე ახალია, აქ ჩვენ არ გვაქვს დიდი გამოცდილება და მუშაობის ტრადიციები. ამიტომ თვითეულ ახალ მიღწევათა აღნუსხვა, მისი განვითარება-გაფართოება და სხვა კოლექტიურ მეურნეობისათვის გაზიარება უაღრესად დიდ სარგებლობას მოუტანდა ამ მეურნეობათა ნაყოფიერ მუშაობას.

ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობას ადგილობრივ ადმინისტრატიულ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ. ხშირათ კოლექტიური მეურნეობანი ბედის ანაბარათ არიან მიტოვებული. არ არის მჭიდრო კავშირი კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის, საკრედიტო ამხანაგობების, გლეხკომებს, თემსაბჭოებსა და პარტიულ ორგანიზაციათა შორის.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს, თუ ჩვენ გვსურს სოფლად კოლექტიურ მეურნეობის განვითარება, რომელიც მშრომელ გლეხობის ეკონომიურათ და, თუ გნებავთ, პოლიტიკურად დარაზმვის ერთერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენ.

დროა როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა თავისი უახლოესი მზრუნველობის და ყურადღების საგნათ გახადონ კოლექტიური მეურნეობანი და ამით ბოლო მოუღონ იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელსაც დღეს ადგილი აქვს ამ მეურნეობათა მუშაობაში

ვ. ნ—ძე.

საკავშირო ცაკის მეორე სესია

ა/კავკასიის და საქართველოს წარმომადგენელთა სიტყვები

შინა-ვაჭრობა.—ელექტროფიკაცია.—ეროვნული საკითხი.—აქციზი ღვინოზე.—სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.—ადმინისტრატიული აპარატის ხარჯები.—ხარჯები კულტურულ საჭიროებებისათვის.

ამხ. ბრიუხანოვის და კუიბიშევის საბოლოო სიტყვები

ამხ. ჩანბას სიტყვა

მოსკოვი, 16 აპრილი. ეროვნებათა საბჭოს 14 აპრილის საღამოს სხდომაზე ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს გამოვიდა აფხაზეთის წარმომადგენელი **ჩანბა,** რომელიც ეხება აფხაზეთის ბიუჯეტს და აღნიშნავს, რომ აფხაზეთი ორგანიულად დაკავშირებულია საქართველოსთან და მისი საშუალებით ამიერ-კავკასიის ფედერაციასთან. უკანასკნელის ბიუჯეტის შემცირება ცუდ გავლენას ახდენს აფხაზეთის ბიუჯეტზე, ხოლო რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ბიუჯეტი შემცირებულია, ამას მოწმობს ციფრები და დიაგრამები, რომელიც ამხ. **ბრიუხანოვმა** მოიყვანა თავის მოხსენებაში.

თუ ჩვენ მოვახერხებთ ამიერ-კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეების გამოყენებას, ეს მხარე უსათუოდ უდიდეს როლს ითამაშებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ცხოვრებაში. ჯერ-ჯერობით ეს განუხორციელებელია, რადგან მრეწველობა იქ სუსტად არის განვითარებული. საჭიროა ამიერ-კავკასიისათვის სახელმწიფო ხარჯების გაღება, რომელიც შემდეგში ასკეცად იქნება ანაზღაურებული აფხაზეთის კეთილდღეობის, კერძოდ, სახალხო მეურნეობის აღორძინებას აქვს არა მარტო ადგილობრივი, არამედ საკავშირო მნიშვნელობა.

პირველყოვლისა აფხაზეთი საკავშირო მნიშვნელობის მქონე კურორტს წარმოადგენს, რომელსაც დიდი პერსპექტივები აქვს. აფხაზეთის სივრცის 75 პროცენტზე მეტი ტყეს უჭირავს, რომელშიც უამრავი ძვირფასი ჯიშის ხეები, როგორც მაგალითად, ბზა, ნიგვზის ხე, წაბლი და სხვ. მომავალში იქ შესაძლებელი იქნება სატყეო მრეწველობის, ქიმიური წარმოების და სხვ. მოწყობა. უხვად არის აგრეთვე წყლის ენერგია, რომელიც უეჭველად დიდ როლს ითამაშებს მრეწველობის განვითარებაში.

აფხაზეთის მიწის სიღრმეში ბევრია ძვირფასი მადანი, მაგალითად, სპილენძი, ვერცხლი, ქვა-ნახშირი, ტყვია და სხვ. მაგრამ, ყოველივე ეს ჯერ-ჯერობით გამოუყენებელი და დაუმუშავებელია.

სასოფლო-მეურნეობის მთავარ დარგებს აფხაზეთში წარმოადგენს მეთამბაქოობა, მევენახეობა და სიმინდი. შეიძლებოდა აგრეთვე სხვა ტეხნიკურ კულტურების გაშენებაც, მაგრამ ყველა ამ დარგების განსავითარებლად საჭიროა თანხები და მაშინ აფხაზეთი ტვირთად აღარ დააწვება სახელმწიფოს, ის შესძლებს თავისი ცხოვრების სავსებით განვითარებას, მოგვცემს შემოსავალს, რომელიც მთელს ჩვენს საბჭოთა კავშირს მოხმარდება. ეს საშუალებები ამჟამად არ გაგვაჩნია. მრეწველობა თითქმის არავითარ შემოსავალს არ იძლევა. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უწყებაში არსებულ მთელი მრეწველობა შემოსავალი 1925—26 წელს სულ 5000 მანეთით განისაზღვრება. აფხაზეთის მთელი საგადასახადო შემოსავალი 115.000 მანეთით განისაზღვრება. ეს ციფრები არ საჭიროებენ განმარტებას.

ამჟამად ჩვენი უაღრესი შემცირებული ბიუჯეტით ჩვენ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. ჩვენ საშუალება არა გვაქვს ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის. მთელი ბიუჯეტი აფხაზეთის ცაკის მიერ დამტკიცებული იყო 1.720.000 მანეთის რაოდენობით. წვრილ-წვრილი რესპუბლიკები ყველაზე უფრო ასრულებენ დავალებას. როცა ვღებულობთ განკარგულებას ბიუჯეტის შედგენის დროს ხარჯების მინიმუმამდე შემცირების შესახებ ჩვენ სავსებით ვასრულებთ დირექტივს. ჩვენ ყოველმხრივ შევამცირეთ ბიუჯეტი და წარმოვადგინეთ ის 1.726.000 მანეთის რაოდენობით. სხვა და სხვა გზების გავლის შემდეგ ეს ბიუჯეტი შემცირებულ იქნა 766.000 მანეთამდე. როგორც ხედავთ, განსხვავება თითქმის ერთ მილიონს უდრის.

როდესაც ამ ბიუჯეტს ამცირებდენ, არ გამოდიოდენ, ალბათ, ქვეყნის არსებითი მოთხოვნილებებიდან, არამედ ხელმძღვანელობდენ რაღაც სხვა მოსაზრებით, რომლებიც ჩვენთვის უცნობია.

მრეწველობისათვის ჩვენ შეგვპირდენ 170.000 მანეთს—ეხლა კი უკვე მეშვიდე თვეა და ჩვენ მივიღეთ მხოლოდ 25,000 მანეთი... ეს ნიშნავს, რომ მთელი ჩვენი გეგმები, რომელთა განხორციელებასაც ჩვენ ვფიქრობდით, იშლებიან. ადგილობრივი ბიუჯეტი კი ფრიად სუსტია. და არ შეიძლება დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება. თანხების უქონლობის გამო ბრკოლდება საგზაო, სასკოლო, საექიმო დახმარების და სხ. საქმე.

რადგანაც მივიღეთ დამტკიცებული ბიუჯეტი 766,000 მანეთის რაოდენობით, ჩვენ ასე თუ ისე შეუთანხმეთ იგი ჩვენს ცხოვრების სინამდვილეს, მაგრამ ხშირად ყოველ ცალკე შემთხვევაში ჩიხში ვემწყვდეოდით. რომ მომავალში ცოტა მაინც გავსწიოთ ჩვენი მუშაობა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებისათვის, საჭიროა დამატებითი ასიგნობები. ამ ასიგნობების მიუღებლად, რამდენადაც ბიუჯეტი თითქმის განახევრებულია, მუშაობა შეუძლებელია. მე უცხადებ ამის შესახებ ეროვნებათა საბჭოს და მისი მოვალეობაა ყურადღება მიაქციოს მცირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა განცხადებებს.

მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირის ბიუჯეტში, რომელიც წარმოდგენილი აქვს სესიას დასამტკიცებლად ბევრი ისეთი საგასავლო მუხლებია, რომელიც ჩვენთვის ჯერ-ჯერობით, ასე ვსთქვათ, კიდევ ფუფუნებას წარმოადგენს. აქედან, ჩემი ფიქრით, შეიძლება თანხების ჩამოჭრა და მათი გამოყენება წვრილი რესპუბლიკების საწარმოო ძალთა აღორძინებისათვის: ამისათვის წინადადებას ვიძლევი გამოიყოს ცალკე კომისია. სესია, ალბათ, გაგრძელდება კიდევ ათიოდე დღე და ჩვენ საშუალება გვექნება ეს ბიუჯეტი ერთხელ კიდევ განვიხილოთ.

ამხ. ბათუას სიტყვა

„საბჭოთა აფხაზეთს, ისე, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს, აქვს თავისი მიღწევები, როგორც სამეურნეო, ისე კულტურული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აფხაზეთი მაინც ერთ-ერთ ჩამორჩენილთაგანი რესპუბლიკაა ამიერ-კავკასიაში. ეს აიხსნება იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამდე აფხაზეთში არ იყო სკოლები, გზები და საავადმყოფოები. ყველა ამის მოწყობა ჩვენ ეხლა დავიწყეთ, მაგრამ ყველგან ვაწყდებით უსახსრობას. ძმურ რესპუბლიკების დაუხმარებლად ჩვენ ვერაფრის გაკეთებას ვერ შევსძლებთ. და თუ ჩვენ დახმარება გაგვიწიეს, ეს დახმარება ფუჭად არ ჩაივლის იმიტომ, რომ აფხაზეთი მდიდარია. ყველა ამ სიმდიდრეთ აქვთ საერთო საკავშირო მნიშვნელობა, და ის, რაც დაიხარჯება აფხაზეთზე, ანაზღაურდება ერთიორად.

ჩვენი ჩამორჩენილობის ერთი მიზეზთაგანია—გზების უქონლობა. გეოგრაფიულად ჩვენ ვიმყოფებით მეტად ხელსაყრელ ადგილას, შავი ზღვის პირზე, კულტურულად მძლავრ რესპუბლიკების — საბჭოთა რუსეთის და საქართველოს შუა, მაგრამ ამავე დროს აფხაზეთი მაინც წარმოადგენს მოწყვეტილ, თითქმის მიუვალ რესპუბლიკას. მას არა აქვს რკინისგზა, არა აქვს ნავთსადგურები.

თუმცა ჩვენ ვცხოვრობთ ზღვის პირას, მაგრამ ქარიშხალის დროს გემები სრულებით არ ადგებიან ჩვენს ნაპირებს. ჩვენ არა გვაქვს ასე თუ ისე ხეირიანი შარა-გზა. ერთად-ერთი შარა გზა, გაყვანილი ძველი რეჟიმის დროის, დიდი ხანია გაუვარგისდა.

მართალია დაიწყო რაღაც სარემონტო სამუშაოები, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ის ისევ შეწყდა. ალბათ ფული არ ჰყოფნის.

ჩვენი ბილიკები და საცალფეხო გზები სავალალო მდგომარეობაში არიან. მთაგორიანობა და გზების უქონლობა აძნელებს ერთი სოფლის კავშირს მეორესთან. წინედ, ძველი რეჟიმის დროს, დაიწყო რკინის გზის აშენება, მაგრამ იგი მალე შეწყვეტილ იქნა. ჩვენ გავიგეთ, რომ კვლავ დაიწყეს ამ გზის აშენება, მაგრამ რა დროსაც მოაწია მან ჩვენ საზღვრებამდე, იმ წამსვე შეწყდა შემდეგ მისი აშენება.

საერთოდ, ამ გზას რაღაც ბედი არ სწყალობს, და ჩვენ გვეშინია, რომ ის დამთავრებული არ იქნეს. ამასთან ძალიან ცოტა მანძილი დარჩა, სამუშაოს მეტი წილი კი შესრულებულია: გათხრილია გვირაბები, დაგებულია ლიანდაგი, გასაკეთებელი კი სულ ცოტა დარჩა. აფხაზეთის სახელით გთხოვთ დაასრულოთ ამ გზის გაყვანა.

რესპუბლიკაში აქამდის არა გვაქვს საკრედიტო ასიგნობები და გაუტარებელია მიწის რეფორმა, რაც ხელს უშლის სასოფლო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. აფხაზეთში შეიძლება სასოფლო - სამეურნეო კულტურის ყოველი სახის გავითარება, მაგრამ ჩვენ საამისო ცოდნა და უნარი არა გვაქვს; სწავლით კი არავინ გვასწავლის.

ჩვენ გვესაჭიროება აგრონომები და სასოფლო-სამეურნეო სკოლები, რათა ამ სკოლებში ცოდნა მივაღებინოთ ჩვენს ბავშვებს, რომ შემდეგში კულტურული სასოფლო მეურნეობა შევქმნათ.

აფხაზეთში სასკოლო საქმე ცუდ მდგომარეობაშია. ბავშვები ილტვიან სწავლისაკენ, მაგრამ მათ სკოლებში არ ღებულობენ ან რად უნდა მიიღონ. ჯერ კიდევ ცარიზმის დროს აშენებული სკოლები უკვე დალპა: არც ფანჯრები, არც კარები და არც პარტები მათ არ გააჩნიათ და როცა ბავშვებს ვგზავნით სკოლებში, მათ არ ღებულობენ და ატირებული ბრუნდებიან სახლში. ჩვენ ძალიან გვინდა მათ ვასწავლოთ, მაგრამ ვინმემ ჩვენ საშუალებები უნდა მოგვცეს, რომ შევსძლოთ სკოლების აგება. საშენ ხე-ტყეს ჩვენ ვიშოვით.

გადავდივარ ვაჭრობაზე. ყველა ის საქონელი, რომელსაც მე აქვე ვხედავ და რომელიც იქ იაფი ღირს, ჩვენთან მოსვლამდე ორჯერ და სამჯერ ძვირდება. ეს, როგორც ჩანს, იმიტომ ხდება, რომ ჩვენ გზები არ გაგვაჩნია. ამავე დროს ჩვენი წარმოების პროდუქტებს არავითარი ფასი არ აქვს და არც არავინ ყიდულობს, მაგალითად, ღვინოს, სიმინდს, ხილსა. ეს საქონელი ჩვენ გვეკარგება. მას ხელს არ ჰკიდებენ, რადგან გვეუბნებიან, რომ მისი რუსეთში წაღება ხელსაყრელი არ არისო. ესეც ისევ უგზობის ბრალია.

ამხ. კარინიანის სიტყვა

ძნელია ბიუჯეტზე ლაპარაკი, ვინაიდან მასალები სქელ ტომებათ გადმოგვცეს გუშინ თუ გუშინ წინ, ისე რომ ამ მასალების გაცნობა ჩვენ ვერ მოვასწარით. საჭირო იყო მასალების დროზე დარიგება, რითაც ჩვენ მოგვეცემოდა საშუალება უფრო დაწვრილებით გავსცნობოდით მას. ამჟამად კი შეიძლება ლაპარაკი მხოლოთ ბიუჯეტის ძირითად და მთავარ ხაზზე.

მე ვფიქრობ, რომ ეს ძირითადი ხაზი, რომელიც გადის ბიუჯეტში თავიდან ბოლომდე,—სწორია. თუმცა არის გადახვევა ამ ხაზიდან, მაგრამ იშვიათად. ის სკეპტიციზმი, რომელიც ახასიათებს ფინანსთა კომისარიატის ზოგიერთ თანამშრომელს და ის წინასწარი სიფრთხილე, რომელსაც ისინი იჩენენ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტის განხილვის დროს და რომელიც აიძულებს ამოშალონ ესა თუ ის მუხლი—უნდა იქნეს მოხსნილი. აღნიშნული მოვლენა, უეჭველათ, არსებობს და იგი გვიშლის ხელს მტკიცე საბიუჯეტო დისციპლინის გატარებაში.

ჩემის აზრით, ფინსახკომმა და მისმა მუშაკებმა ამ მხრივ უნდა წარმართონ და განავითარონ თავიანთი საქმიანობა. მაშინ შემთხვევით გამონაკლისებს და შემთხვევით გაზვიადებებს აღარ ექნება ადგილი. როგორც მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა აქ აღნიშნეს, ფინსახკომის ზოგიერთი მუშაკი ხშირად აზვიადებს შემოსავლის წყაროს, მხედველობაში არ ღებულობს არავითარ მითითებებს და მხოლოდ შემდეგ, კონკრეტიულ სინამდვილეში, ირკვევა ხოლმე, რომ ის არ იყო მართალი. ეს გარემოება უსათუოდ დაბრკოლებას წარმოადგენს და საჭიროა მისი ერთხელ და სამუდამოთ მოსპობა. ყოველ შემთხვევაში საჭიროა აღინიშნოს, რომ ფინსახკომის მუშაობამ დიდებითი შედეგები მოგვცა და გააღვივა ინტერესი ბიუჯეტისადმი. ის გაცხოველება, რომელიც ადგილებს ემჩნევა ბიუჯეტის განხილვის დროს, ამტკიცებს რომ ადგილები ამ საკითხს უყურებენ სერიოზულად და საბიუჯეტო დისციპლინის იდეამაც მოიკიდა ფეხი. ამ მოვლენას ფინსახკომმა უნდა გაუწიოს ანგარიში. (დამახინჯებულია)... იმ ხაზმა, რომელიც აღებული იყო დიდი შედეგები მოგვცა; მაგალითისათვის მოვიყვან სომხეთს. ეს ის ქვეყანაა, რომელიც საშინლად განადგურებული იყო, სადაც გვეგონა, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, სადაც ცარიზმის პოლიტიკა ტარდებოდა სწორედ ისე, როგორც თვითეულ განაპირა მხარეში, სადაც არ არსებობდა არც ერობა, არც სასკოლო ქსელი, არც საავადმყოფოები. აი ეს სავსებით განადგურებული ქვეყანა ცენტრის დახმარებით უკვე ფეხზე დგება. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვაქვს ბამბის გაფართოებული პლანტაციები, აგებულია ქარხნები და მოსახლეობა წელში გამართულია. იგივე პოლიტიკა ტარდება ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებშიც. სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებმაც ეს დაადასტურეს. ეს დადებითი მოვლენაა, რომელიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს.

ეჭვს გარეშეა, გვაქვს უარყოფითი მხარეებიც ბიუჯეტის შედგენაში, მაგრამ მიღებულია ყველა ზომები დეფექტების აღმოსაფხვრელად. ნელ-ნელა ვითარდება ადგილობრივი მრეწველობა, მოსახლეობა განაპირა მხარეებში წელში მაგრდება და ჰქმნის შემოსავლის ახალ წყაროებს. აქ საკითხი მდგომარეობს მხოლოთ იმაში, რომ შემდეგში ბიუჯეტის შედგენის დროს დახმარების აღმოჩენის—რომელიც ზოგ შემთხვევაში მჭრალი იყო განაპირა რესპუბლიკების მიმართ, უფრო თვალსაჩინოდ გატარდეს.

საჭიროა გადიდდეს თანხების გაღება სარწყავ არხების ქსელის გასაფართოებლათ, საჭიროა განაპირა მხარეებში მტკიცე მრეწველობის შექმნა. მოსახლეობამ უნდა იგრძნოს კავშირი ცენტრის ინტერესებთან. გამოსავალი არის. ამას ჩვენ ვამჩნევთ ამიერ-კავკასიაში, კერძოთ სომხეთში. საჭიროა ფინსახკომის პოლიტიკა გატარდეს ენერგიულად, გაძლიერდეს როგორც საირიგაციო სამუშაო, ისე მუშაობა ადგილობრივი მრეწველობის შესაქმნელად. მომავალი ბიუჯეტის შედგენის დროს საჭიროა ამ მხარეს მიექცეს უფრო სერიოზული ყურადღება.

როგორც მახსოვს, გვალვასთან საბრძოლველად ბიუჯეტით გადადებულია დაახლოებით 75 მილიონი მანეთი. ეს, რასაკვირველია, აუცილებელი ღონისძიებაა. მაგრამ ამდენათვე მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ფართო მუშაობა თურქესტანისა და ამიერ-კავკასიის მოსარწყავად, ვინაიდან ეს მუშაობა ხელს უწყობს სწორედ იმ ნედლეულის დამზადებას, რომლის განსაზღვრულ ნაწილს ჩვენ ჯერ-ჯერობით ვღებულობთ საზღვარგარედან. განსაკუთრებით ამ ხაზის გატარება საჭიროა ამიერ-კავკასიაში, სადაც მიწის დიდი ნაკლებობაა.

ფინსახკომი ბევრჯერ უსაყვედურებს რესპუბლიკებს მათ დეფიციტიანობაზე. მაგრამ ხომ არის საჭირო ანგარიში გაეწიოს იმ გარემოებას, რომ განაპირა რესპუბლიკებს მეფის ხელისუფლების ეპოქაში არ ჰქონდათ ყოველივე ის, რაც სხვა ოლქებსა და რაიონებს, რომ მათ არ ჰქონდათ სკოლები, არ იყო ერობა, არ იყო განვითარებული მრეწველობა და სხვა. ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაეწიოს და განაპირა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების განხილვის დროს უნდა გამოვდიოდეთ იმ მდგომარეობიდან, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს არა აქვთ და არც შეუძლიათ იქონიონ ის მატერიალური ინვენტარი, როგორიც გააჩნიათ კავშირის სხვა დანარჩენ ნაწილებს, და რომ მათ უხდებათ დიდი ენერგიის დახარჯვა იმ დანაკლისის ასანაზღაურებლათ, რომელიც მათ აქვთ.

აი საერთო მოსაზრებანი, რომლებიც მე მინდოდა გამომეთქვა.

ამხ. ახუნ-ზადეს სიტყვა

„მე ვლაპარაკობ აზარბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალ ნახიჩევანის რესპუბლიკის მდგომარეობაზე.

ნახიჩევანის საბჭოთა რესპუბლიკა ღარიბია მიწით თითო მოსახლეზე მოდის ნახევარ დესეტინაზე ნაკლები, რომელიც ამასთან ერთად უმეტესად არ ირწყვება. ჯერ კიდევ რევოლიუციამდე მიღებულ პროექტების მთელი რიგი, ახალი არხების გაყვანის შესახებ, არაა განხორციელებული, ასე მაგალ.: ბაზარ-ჩაი, განგული და სხ. საჭიროა ეროვნებათა საბჭოში ითქვას ამ საკითხის შესახებ და გადაწყდეს, რომ მომავალ საბიუჯეტო წლის ხარჯ-აღრიცხვაში შეტანილ იქნას ბაზარ-ჩაის და განგულის არხების გაყვანა. ეს არხები აუცილებელია უნდა იქნენ შეტანილი ხარჯთ-აღრიცხვაში, ვინაიდან ჩვენი გლეხობა ჯერ ერთი უმიწოწყლოა, და მეორეც იმიტომ, რომ ის ბამბის მთესველია.

ამასთან ერთად ნახიჩევანის რესპუბლიკა სპარსეთის მოსაზღვრეა და ამიტომ, ჯერ ერთი, ჩვენ უნდა მოვაწყოთ ჩვენი გლეხობა რაც შეიძლება კარგად, და მეორე—გადავაქციოთ ნახიჩევანის რესპუბლიკა სამაგალითო რესპუბლიკად ახლო აღმოსავლეთში.

უმუშევრობის შესახებ ვიტყვი, რომ ჯულფის გზის გაყვანა უნდა დავიწყოთ ალიათიდან. ბაქო-ჯულფის გზა შენდება ალიათის მხრიდან, მაგრამ რამდენადაც ჩვენი გლეხი უმიწოწყლოა და უმუშევარნი უაღრესად გაჭირვებულნი არიან, იმდენად ჩვენ გთხოვდით, რომ იგივე გზის გაყვანა დაიწყონ მეორე მხრიდანაც—ჯულფიდან. ამის შესრულებას ჩვენ შევპირდა რუხულაძე, მისი ამიერ-კავკასიაში ყოფნის დროს, მაგრამ დღემდე ეს დაპირება განუხორციელებელია. ჩვენი თხოვნაა, რომ ეს დაპირება შესრულდეს.

ჩვენი ქვეყანა გლეხურია, მრეწველობა ჩვენ არ გვაქვს. მხოლოდ ამ უკანასკნელ წელში, ბამბის გაშენებასთან დაკავშირებით, აშენდა ბამბის ახალი ქარხანა; ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, ბაქო-ჯულფის გზის გაყვანასა და დაკვრითი წესით მორწყვის მოგვარებასთან დაკავშირებით, ნახიჩევანის რესპუბლიკა გახდება უფრო კულტურული, ვიდრე იყო აქამდე.

რევოლიუციამდე ამ მხარეში კულტურის გავრცელებაზე არ ზრუნავდენ იმიტომ, რომ მეფის მთავრობისთვის სპარსეთის მეზობლად კულტურული მოსახლეობის ყოლა არ იყო ხელსაყრელი.

აი მე, როგორც ხედავთ, რუსულად ხეირიანად ვერც კი ვლაპარაკობ; ეს კი აიხსნება იმით, რომ რევოლიუციამდე ჩვენ არ გვქონდა სკოლები და აგრეთვე იმით, რომ მეფის მთავრობას უნდოდა ჩვენ არ გვცოდნოდა ენები, რადგან მაშინ ჩვენ უფრო ჭკვიანნი ვიქნებოდით და შევეძლებოდა მეფის ტერიტორიაზე რევოლიუციის მოხდენის ან სპარსეთის გარევოლიუციონერება, რაც, რასაკვირველია, მეფის მთავრობისათვის არ იყო ხელსაყრელი.

დადგა დრო, რომ ყურადღება მიექცეს ნახიჩევანის რესპუბლიკის კულტურულ აღორძინებას".

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

მოსკოვი, 16 აპრილი. ერთა საბჭოს 15 აპრილის დილის სხდომაზე კამათში ბიუჯეტის გარშემო საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელმა ამხ. ცხაკაიამ სთქვა:

— საბჭოთა კავშირი მთელი თავისი არსებობის ხნის განმავლობაში პირველადაა, რომ მეცნიერულად მიუდგა ბიუჯეტის შედგენას. მე ვფიქრობ, რომ ბიუჯეტის შემდგენელებმა დაიჭირეს გამოცდა. არის, რასაკვირველია, დეფექტებიც. მაგრამ შეუძლებელია უშეცდომოთ რამეს გაკეთება.

ჩვენს პარტიას, ჩვენს ბელადს— **ლენინს,** რომ შინებოდა შეცდომებისა, მაშინ, მერწმუნეთ, ჩვენ შორს ვერ წავიდოდით და არც ასეთი რევოლიუცია გვექნებოდა. მომხსენებელმა სთქვა, რომ საკავშირო ბიუჯეტი 1925-26 წლიდან გაიზარდა 75%-ით.

მართალია, საგადასახადო შემოსავალი ჯერ კიდევ დიდ როლს თამაშობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არაპირდაპირი გადასახადების სიმძიმე უფრო აწვება მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს და საგადასახადო დაბეგვრა მუშას და გლეხს აწვება გაცილებით სუსტად, ვიდრე ომამდე.

განსაკუთრებით დამახასიათებელია საბჭოთა ქვეყნისათვის, რომელიც ხმელეთის ერთ მეექვსედს შეადგენს, ის, რომ მის თავდაცვაზე იხარჯება ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე ომამდე. ტრაბახის გარეშე, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ასეთი მიღწევით. მოვიგონებ ხარჯებს კულტურულ-განმანათლებელი მიზნებისათვის, რომელთაც საკმაოდ დიდი ადგილი აქვთ დათმობილი. ჩვენ ბევრი რამ გვაკლია. ახალი ცხოვრება იწყებს აღორძინებას ეხლა ყირგიზეთის უდაბნოში, ბუხარის ემირა სახანოში და ჩვენ ვმტკიცდებით, როგორც ყველა ეროვნების მშრომელთა გაერთიანება. ჩვენ გვაქვს უნახავი რევოლიუცია. ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ სახელმწიფო, ესოდენ მძიმე პირობებში, როგორშიაც საბჭოთა კავშირია, თავის განვითარებაში წინ მიდიოდა ასეთი სწრაფი ნაბიჯებით. მაგრამ საჭიროა განსაზღვრული დრო ზრდისათვის, რომ ის შევადაროთ ჯერ არსებულ, მაგრამ უკვე ისტორიულად განწირულ ევროპიულ სახელმწიფოებს. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გვაქვს ეს რუბრიკა კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისა ასეულ ეროვნებებისათვის, რომლებიც ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული არიან ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში. არა თუ მეფის დროს, არამედ სხვა, ე. წ. რევოლიუციონური ტიპის მთავრობების დროსაც ეს არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტი გადიდდა ერთი ორად ჯერ მხოლოდ მისი შედგენის და ჩამოყალიბების მეორე წელს. როგორი დასკვნები გამოაქვთ მომხსენებლებს განსაკუთრებით კი ბრიუხანოვს? ეს არის ეკონომიის მტკიცე რეჟიმი ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობის ყველა დარგებში. ქაოტიურ მდგომარეობიდან ჩვენ გადავდივართ გეგმიან წესრიგისაკენ. ჩვენ ვქმნით რამეს იქ, სადაც არაფერი არ ყოფილა. და მართლაც ღრმა შუაგულში ხდება გრანდიოზული კულტურული რევოლიუცია. საბჭოთა ქვეყანაში კომპარტიის ხელმძღვანელობით ხდება წინედ დაჩაგრულ ერების დიდი გაერთიანება და კულტურულად აღორძინება. ეს ფაქტები მოწმობენ უდიდეს პროგრესს. საქმიანი გაცხოველება ეროვნებათა საბჭოები, კავშირის ყოველი მხრიდან მოსულ ამხანაგების აქტივობა ბიუჯეტის განხილვის დროს მოწმობენ დიდ წარმატებათ.

ბურჟუაზიულ მსოფლიოს ჩვენ წავართმევთ ყოველივეს რაც ძვირფასია, მეცნიერებას და ტეხნიკას, ვაიძულებთ მათ გვემსახურონ ჩვენ და, მიუხედავათ სიძნელეებისა, სიცილით წავალთ წინ. მხნე ნაბიჯით ჩვენ გადავლახავთ ყოველგვარ სიძნელეს, ყოველგვარ ავადმყოფობას. ზრდის ავადმყოფობა არაა საშიში, იგი ამაგრებს ორგანიზმს.

ორი პალატის გაერთიანებულ სხდომაზე ჩვენ მოვისმინეთ სამი მოხსენება, ყველა ერთი აზრისაა. უშიშრად, დაუფარავად მათ გამოამჟღავნეს ყოველი ჩვენი ნაკლი. ეს მოწმობს ჩვენს ძლიერებას და აყენებს საკავშირო მთავრობის წინაშე ამოცანას იაროს იმავე გზით—წინააღმდეგობათა და დეფექტების აღმოფხვრით. მაგრამ საჭიროა არ დავივიწყოთ, რომ ჩვენი უმთავრესი ლოზუნგი არის—მუშისა და გლეხის ეკონომიურად დაკავშირება, ქალაქის გათანასწორება სოფელთან და მემამულე - ბურჟუაზიულ მემკვიდრეობის,—უგზოობის, სიძნელის მონობის და აღმოსავლეთის ქალის დაჩაგვრის აღმოფხვრა-მოსპობა. ჩვენ უნდა განვახორციელოთ ქვეყნის მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი, რადგან შეუძლებელია მათი ერთი მეორისაგან დაცილება. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევსძლებთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისაგან გამიჯვნას საწარმოო იარაღების დამზადების საქმეში.

ჩვენ გვინდა ტრაქტორები სოფლის მეურნეობისათვის, მანქანები და მოწყობილობა. ჩვენი ძირითადი კაპიტალი ილევა და საჭიროა მისი აღდგენა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოთხოვნილებები და ყველაფერი ის, რაც გამოირკვა აქ, ეროვნებათა საბჭოში შეძლებისდაგვარათ დაკმაყოფილდება მომავალ ბიუჯეტში. ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ მარტო ჩვენს კუთხეზე კი არა, არამედ უნდა ვითვალისწინებდეთ ძალთა საერთო განწყობილებას და ვზრუნავდეთ მთელი საბჭოთა ქვეყნის ინტერესებზე. ამ თვალსაზრისით უნდა ვიხილავდეთ ჩვენს მთლიან ბიუჯეტს.

ადგილობრივი ბიუჯეტები თანდათან ყალიბდებიან და მათში იჭრება საბიუჯეტო დისციპლინა. თუ იმავე ენერგიით, როგორითაც ვიცავდით ჩვენს კუთხეებს, ჩვენს რესპუბლიკებს, დავიცავთ კავშირის საერთო ინტერესებს, ამით გავამხნევებთ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს და დავეხმარებით მას საკუთარი ბედის გადაწყვეტაში, ისე როგორც ჩვენ ჩვენი გადავწყვიტეთ.

ეხლანდელი ბიუჯეტი—ესაა საბჭოთა კავშირის გამარჯვება, მაგრამ მისი განაღდება დამოკიდებულია ადგილების მუშაობაზე".

ამხ. შალვა ელიავას სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. **ელიავა,** რომელმაც სთქვა:

„მე არ მოვითხოვ არავითარი სერიოზული ცვლილებების შეტანას ბიუჯეტში, რომელიც სახალხო კომისართა საბჭომ სესიას წარმოუდგინა დასამტკიცებლად; მით უფრო, რომ ბიუჯეტი საკმაოდ დაწვრილებით იყო განხილული საბიუჯეტო კომისიის მიერ; საბიუჯეტო კომისიამ შესაძლებლად სცნო მასში ზოგიერთი ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც ამ სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილების ძირითად შეფარდებას არ სცვლის. მე მინდა მოვახსენო ეროვნებათა საბჭოს იმ ღონისძიებებზე, რომელნიც ჩემი აზრით გატარებული უნდა იქნენ მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

ბიუჯეტის ცალკე ნაწილების დაწვრილებით გაცნობის შემდეგ მე მივედი ურყევ დასკვნამდე, რომ მახლობელ წლებში საჭირო იქნება განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ადგილობრივ ბიუჯეტების შედგენისათვის. ჩვენი ბიუჯეტი, თუ მას მოვაკლებთ ადმინისტრატიულ ხარჯებს და აგრეთვე ხარჯებს ფუნქციონალურ კომისარიატების შესანახად, უმთავრესად საწარმოო ბიუჯეტია. ჩვენ კურსი გვაქვს აღებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე. ინდუსტრიალიზაციის დარგში უმთავრესია საწარმოო საშუალებათა დამზადება, რაც საშუალებას მოგვცემს დამოუკიდებელი ვიქნეთ კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან, რომელნიც ამჟამად საწარმოო იარაღებს გვაწვდიან. ეს ამოცანა იმდენად სერიოზულია, რომ ქვეყნის ძირითადი რესურსები, რომელთაც საგადასახადო და საკრედიტო ოპერაციებიდან ვღებულობთ, უნდა მივმართოთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ. მე ვფიქრობ, რომ ამ ამოცანის განხორციელება ჩვენ საშუალებას მოგვცემს სახელმწიფო საშუალებებიდან საკმაოდ დაკმაყოფილდენ ის მოთხოვნილებანი, რომლებზედაც აქ ლაპარაკობენ ცალკე რაიონების, რესპუბლიკების და ოლქების წარმომადგენლები.

ჩვენი მრავალ ეროვნებიანი ქვეყნის კულტურული მოთხოვნილებანი ძალიან დიდია. სახელმწიფოს არ შეუძლია მათი სრული დაკმაყოფილება, თუ მხედველობაში მივიღებთ კულტურულ მოთხოვნილებათა სისტემატიურ ზრდას, ნათელი გახდება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ გასწვდება ამ მოთხოვნილებებს.

აქედან გამომდინარეობს მთავარი დირექტივები: განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქვეყნის რესურსებს, რომელნიც შეიძლება სავსებით გამოყენებულ იქნენ ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ადგილობრივმა ბიუჯეტმა საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში განსაკუთრებით საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს, რადგან ეს მოთხოვნილებანი იმდენად მჭიდროთაა დაკავშირებული ადგილობრივ ცხოვრებასთან, რომ, რასაკვირველია, მათი დაკმაყოფილება ჩვენს განსაკუთრებულ საზრუნავ საგნად იქცევა. ამჟამად კი ჩვენ ქვეყანაში, თვით იმ ოლქებშიაც, რომელნიც უკეთეს პირობებში იმყოფებიან ადგილობრივ შემოსავლის წყაროების მხრივ, ადგილობრივი ბიუჯეტი მეტწილად დეფიციტიანია. მთელ რიგ რაიონებში, რომლებშიაც ამჟამად რესპუბლიკები დაარსდენ, ადგილობრივი ბიუჯეტი შეიძლება დახასიათებული იქნეს, როგორც პარაზიტული ბიუჯეტი იმ მხრივ, რომ არავითარი ღონისძიების გატარება მეურ.-ბის, აღმშენებლობის, კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დარგში, ადგილობრივი საშუალებებით არ შეიძლება. ზოგიერთ ადგილას თვით ადმინისტრატიული აპარატის შენახვაც ძალიან დიდი სუბვენციას და დოტაციას საჭიროებს სახელმწიფოს მხრივ. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის გაჯანსაღება საბჭოთა სახელმწიფოს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელსაც ამჟამად ვატარებთ, პირველ ყოვლისა დაემყარება იმ საწარმოო კერებს, რომელიც ჩვენ შემკვიდრეობად დაგვიტოვა ძველმა რეჟიმმა. ამ

მთავარ სამრეწველო რაიონებში ამ კერების რეკონსტრუქციით, ახალი წარმოებების განვითარებით, ჩვენ შევსძლებთ ამ რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტის მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. მაგრამ იმ რაიონებში, რომლებშიაც მემკვიდრეობით არავითარი სამრეწველო კერა არ დარჩენილა, სადაც მხოლოდ ეხლა ვუდგებით ამ საქმეს, იქ კიდევ დიდხანს ადგილობრივი ბიუჯეტი პროექტით გათვალისწინებულ წარმოებებიდან ვერაფერს ვერ მიიღებს. წარმოებები, რომელთა მოსაწყობად დიდი თანხებია საჭირო და რომელთა აკორტიზაცია ნავარაუდევია რამდენიმე წლით, სწრაფ შედეგს ვერ მოგვცემენ. ამიტომ ასეთ რაიონებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღონისძიებებს სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა, საგლეხო მეურნეობის საქონლიანობის გადიდებასა, ადგილობრივ მრეწველობის განვითარებისთვის, რომელიც ერთად-ერთი წყაროა სალი ადგილობრივი ბიუჯეტის ასაგებად. ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადებზე დამყარება ძნელი იქნება. ადგილობრივი ბიუჯეტი შეიძლება სალი იქნეს მხოლოდ ადგილობრივ მრეწველობის განვითარების საფუძველზე. ადგილობრივი მრეწველობის შექმნით ჩვენ გავიჩენთ შემოსავლის წყაროს, რომელიც დააკმაყოფილებს გადაუდებელ კულტურულ და სხვა მოთხოვნილებებს. ამით ერთგვარად გადაიჭრება კულტფონდის საკითხი. შარშან ჩვენ ასეთი ფონდი გვქონდა. ამიტომ წელს კულტფონდის უბრალოდ გამორიცხვა საფინანსო ანგარიშებიდან ძალიან ძნელია. მაგრამ კულტურულ მშენებლობის საკითხების გადაჭრა ასეთ შემთხვევით ფონდების შეწევნით შეუძლებელია.

სამწუხაროდ, ჩვენ ბიუჯეტს — საბიუჯეტო წლის მეშვიდე თვეში ვარჩევთ. ეს დიდი დეფექტია, მაგრამ არაფერი გასაკვირი არ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-9-ე წლის თავზე ბიუჯეტი ისევ ვერ არის აგებული, როგორც საჭირო იყო. ჩვენ ხომ ინგლისში არ ვიმყოფებით, სადაც პარლამენტი ბიუჯეტს ადგენს ორას წელზე მეტია.

ჩვენ კიდევ ბალღები ვართ ბიუჯეტის შედგენაში, მაგრამ ყოველ წლობით ვიზრდებით, მიუხედავათ დაბრკოლებებისა და ნაკლულოვანებებისა და ვცდილობთ მათ გამოსწორებას. მომავალ წელში ჩვენ უკვე აღარ დავუშვებთ იმ შეცდომებს, რომელიც დავუშვით ამა წლის ბიუჯეტის და სამეურნეო გეგმის შედგენის დროს. ჩვენ სათანადო ადგილს დაუთმობთ ყველა მოთხოვნილებებს, რომელიც წარმოიშვება. მომავალი წლიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სალ ადგილობრივ ბიუჯეტის აგებას. ალბად, კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ არ გვექნება მტკიცე და სალი ადგილობრივი ბიუჯეტი, სანამ თანხებს ვერ მივცემთ ადგილობრივ მრეწველობას.

აქედან ჩემი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს სპეციალური ასიგნობები ადგილობრივი მრეწველობის მოწყობისათვის, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ადგილობრივ ბიუჯეტს; ადგილობრივი ბიუჯეტი უნდა აკმაყოფილებდეს იმ კულტურულ მოთხოვნილებებს, რომლებზედაც აქ ლაპარაკობენ და რომელთაც არც ითვალისწინებს და ვერ დააკმაყოფილებს სახელმწიფო ბიუჯეტი. ბიუჯეტის შედგენის საკითხის გადაჭრის დროს ადგილობრივი ბიუჯეტის საკითხი ალბად დიდ კამათს გამოიწვევს, და ამიტომ მომავალი წლისათვის უნდა გვექნეს გამზადებული გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის და საკავშირო რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ. ცაკის მომავალ სესიაზე ეს საკითხი დასმული უნდა იქნეს. კიდევ ლოდინი და საბიუჯეტო უფლებების შესახებ არსებულ დებულებების გადაუსინჯავად დატოვება, როგორც სჩანს, შეუძლებელია.

თავისი სიტყვის დანარჩენ ნაწილში ამხ. **ელიავა** ეხება გზათა სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვას და ამბობს:

— ქვეყნის გაძლიერებული მოთხოვნილებანი, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სასოფლო მეურნეობის ზრდა მოითხოვენ რკინის გზების და გზატკეცილების ქსელის გაფართოებას და ხიდების აგებას. მაგრამ თუ ამხანაგები ფიქრობენ, რომ ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი ეს მახლობელ წლებში განვახორციელოთ, ძალიან სცდებიან. ტრანსპორტზე უდიდესი მოთხოვნილებაა, ხოლო სარკინისგზო ტრანსპორტის თანამედროვე ტეხნიკური და ფინანსიური მდგომარეობა არ შეეფერება და უკან რჩება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს.

ამჟამად ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა არა იმდენად ახალი მშენებლობის გაფართოება, რამდენადაც ტრანსპორტის შეგუება მოთხოვნილებებთან და მისი ტეხნიკური და მატერიალური მდგომარეობის ამაღლება. ჩვენი ტრანსპორტის მდგომარეობა სასწრაფო ღონისძიების მიღებას მოითხოვს. თუ თვალს გადავავლებთ ტრანსპორტის ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობას, თვით ტრანსპორტის შემოსავლის გზით, მივიღებთ ციფრებს, რომელიც საკმაოდ სერიოზულ შიშს ბადებს, რადგან გზებზე არსებული ტარიფები იმდენად მცირეა, რომ სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს ტრანსპორტის მოთხოვნილებებს. თუ ჩვენ ასეთი მდგომარეობა არ გამოვასწორეთ, ტრანსპორტი თავის შემოსავალში სისტემატიურად ჩამორჩება იმ მუშაობას, რომელიც მას წინ უდგას.

საგზაო მშენებლობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. სამისო ხარჯებიც რკინისგზების შემოსავლით იფარება. ვინ არ იცის ის გაჭირვება, რომელიც ჩვენ გვაქვს უბრალო გზის, გზატკეცილების და ხიდების მშენებლობის დარგში?

მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენის დროს ადგილობრივ ბიუჯეტთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრანსპორტს. სამრეწველო განვითარება შეუძლებელია ტრანსპორტის განუვითარებლად; სანამ შევადგენდეთ მრეწველობის განვითარების გეგმას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სატრანსპორტო შესაძლებლობანი. ამის გარეშე შეუძლებელია მრეწველობის განვითარება. აქედან გამომდინარეობს შემდეგი ამოცანა: გზათა სახალხო კომისარიატების განკარგულებაში თავი უნდა მოუყაროთ საკმაო რესურსებს, რათა ტრანსპორტის განვითარება შეესაბამებოდეს მრეწველობის განვითარების დონეს და აკმაყოფილებდეს სახალხო მეურნეობის და მრეწველობის ყველა მოთხოვნილებას.

ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვა

საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 15 აპრილს, საღამოს, მოსმენილ იქნა **კუიბიშევის და ბრიუხანოვის** საბოლოო სიტყვები.

ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის მონაწილე ორატორების გამოსვლებს კუიბიშევი სამ რიგად ჰყოფს: გამოსვლები ბიუჯეტის სტრუქტურის შესახებ, გამოსვლები ბიუჯეტის მატერიალური მხარის შესახებ და, დაბოლოს, გამოსვლები, რომელნიც ეხებოდენ საორგანიზაციო მომენტებს და დირექტივებს ბიუჯეტის შედგენისათვის.

„გამოსვლებს, ამბობს **კუიბიშევი**, რომელნიც ეხებოდნენ ბიუჯეტის მატერიალურ მხარეს, უნდა გამოერკვიათ ქვეყნის ესა თუ ის საჭიროებანი და გამოენახათ ზომები მათი დაკმაყოფილებისათვის.

არის თუ არა შესაძლებელი გაფართოებულ იქნეს ბიუჯეტის გასავლის ნაწილი, კითხულობს კუიბიშევი. ეს გაფართოება კიდევ უფრო დაამძიმებდა ბიუჯეტს, რადგან გასავლის ნაწილის გადიდება გამოიწვევს ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის გადიდებას, ხოლო ეს ნაწილი ისედაც ზედმეტათ დატვირთულია. ჩვენ კიდევ გვაქვს თავისუფალი სახელმწიფო რეზერვი და ყველა აქ გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა ხელშეუხებლად შევინახოთ ის მომავალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

ბიუჯეტის ორივე ნაწილი

საბიუჯეტო კომისიამ დაწვრილებით გადასინჯა ბიუჯეტის შემოსავლის და გასავლის ნაწილები იმ მიზნით, რომ უზრუნველჰყოს ბიუჯეტში აღნიშნული ყველა შემოსავალთა რეალობა. საბიუჯეტო კომისიამ სცნო, რომ ზოგიერთ შემოსავალთა რეალობა საეჭვოა და ამიტომ ასეთი წყაროების შემოსავლის ციფრები მან რამდენიმედ შეამცირა. კერძოთ, საბიუჯეტო კომისიამ დაწვრილებით განიხილა არაყის აქციზის საკითხი და საჭიროთ სცნო მისი შემცირება 44 მილ. მანეთამდე. დეტალურად გადასინჯულ იქნა აგრეთვე აქციზი შაქარზე, რის შემდეგ კომისიამ აქციზი შეამცირა ერთი მილიონი მანეთით.

ყველა ამ გადაწყვეტილებების სესიაზე შემოტანის დროს საბიუჯეტო კომისია სცდილობდა, რომ უზრუნველეყო ყველა შემოსავლის წყაროების რეალობა. ეს რეალობა არც ისე ადვილი გამოსარკვევია, და ამიტომ მთელი რიგი საბიუჯეტო საკითხებისა, როგორიც, მაგალითად, ტრანსპორტის ხარჯთ-აღრიცხვა, მისი შემოსავლის და მოთხოვნილებების გაურკვევლობის გამო, საბიუჯეტო კომისიის მიერ დამტკიცებულ იქნა ვარაუდის მიხედვით.

ცაკის ზოგიერთი წევრი, აღნიშნავს, კუიბიშევი, ამბობდა, რომ არ უნდა იქნეს შემცირებული საწარმოო ხარჯები, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს არა საწარმოო ხარჯების შემცირებას, რაც საშუალებათა ეკონომიას მოგვცემს. ეხება რა ბიუჯეტის გასავლის ცალკე ნაწილებს და ახასიათებს რა მათ მნიშვნელობას, კუიბიშევი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტში შეტანილი ასიგნობები მრეწველობისათვის, სასოფლო მეურნეობისათვის, ელექტროფიკაციისათვის და კოოპერაციისათვის დაწვრილებით იქნენ შემოწმებული, გადასინჯული და რამოდენიმედ შემცირებული და მათი შემცირება შემდეგში შეუძლებელია. ზემოხსენებული ასიგნობების შემდგომი შემცირება მხოლოდ ზიანს მოუტანს ჩვენს ბიუჯეტს.

ცალკე სახ. კომისარიატების ხარჯთ აღრიცხვების შემცირება მოუხერხებელია, რადგან საბიუჯეტო წლის ნახევარი უკვე გავიდა, ხოლო დაწესებულებათა ხარჯების და შტატების გადასინჯვის დრო საბიუჯეტო კომისიას არ ჰქონია, რომ გვქონებოდა საშუალება მეტი ყურადღება მიგვექცია ამ საკითხისათვის და ბიუჯეტი წლის დასაწყისში გადაგვესინჯა, მაშინ საბიუჯეტო კომისიას შეიძლება მოეხდინა რაიმე შემცირება. ეს შემცირებანი ეჭვს გარეშე მოგვცემდა რამოდეიმე ათეულ ათასს მანეთს, მაგრამ ეს საშუალებათა ეკონომია მაინც ვერ დაჰფარავდა ყველა არსებულ მოთხოვნილებას.

ხარჯების შემცირება

შემცირებები შეიძლება მოხდეს მხოლოდ საერთო საკავშირო და გაერთიანებულ უწყებათა ხარჯთ-აღრიცხვათა მიხედვით. საბიუჯეტო კომისია მეტის ყურადღებით მიუდგა ამ ხარჯთ აღრიცხვებს და მოახდინა ზოგიერთი შემცირება, რაც უმნიშვნელო თანხას იძლევა. ქვეყნის მოთხოვნილებასა და საჭიროების რაოდენობასთან შედარებით. მთავრობა აწარმოებს გაძლიერებულ ბრძოლას არასაწარმოო ხარჯების წინაღმდეგ. ბიუჯეტში მიღებულ საშუალებათა ეკონომია მთლიანად მიდის ქვეყნის მიმდინარე საწარმოო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად".

შემდეგ კუიბიშევი ამბობს, რომ სესიამ გადაჭრით უნდა უარყოს ბიუჯეტის შემოსავლის და გასავლის ნაწილების გაფართოება, რადგან ბიუჯეტის ორივე ნაწილი ისედაც დატვირთულია.

საკითხების მეორე ნაწილი, რომელთაც შეეხენ გამოსვლების დროს, ადგილობრივ ბიუჯეტის და რესპუბლიკანურ ბიუჯეტების ურთიერთობაა. ადგილობრივ ბიუჯეტის მოთხოვნილების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და მას ჩვენ შევეხებით ადგილობრივ ფინანსების საკითხის განხილვის დროს.

რაც შეეხება ურთიერთობას ადგილობრივ და საერთო საკავშირო ბიუჯეტს შორის, გადაწყვეტილია ეს საკითხი სპეციალურად დასმულ იქნეს საკავშირო ცაკის შემოდგომის სესიაზე 1926—27 წლის ბიუჯეტის განხილვის და დამტკიცების დროს.

ბიუჯეტის დეფიციტის საკითხი

ზოგიერთი ამხანაგი შეეხო რესპუბლიკების ბიუჯეტების დეფიციტის საკითხს. მათ აღნიშნეს, რომ რესპუბლიკების უმრავლესობის ბიუჯეტები დეფიციტიანია. საბიუჯეტო კომისიამ ბიუჯეტის განხილვის დროს მიიღო ყოველგვარი ზომები დეფიციტის შესამცირებლად და ანარიცხი საკავშირო საღერბო გადასახადიდან რესპუბლიკების ბიუჯეტის სასარგებლოდ გაადიდა 65 პროცენტამდე.

ცაკის წევრები შეეხენ აგრეთვე საკითხს საბიუჯეტო წლის დასაწყისის პირველ იანვარზე გადატანის შესახებ. საბიუჯეტო კომისიამ ეს საკითხიც განიხილა, მაგრამ თავი შეიკავა რაიმე განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებისაგან, რადგან ეს საკითხი კომისიის აზრით არის არა ტეხნიკური, არამედ, უმთავრესად, ორგანიზაციული.

ამ საკითხს თავისი ისტორია აქვს. ის ირჩეოდა ჯერ კიდევ ვლადიმერ ილიჩის დროს და მაშინ უფრო მიზანშეწონილად იქნა ცნობილი საბიუჯეტო სამეურნეო წლის დაწყება 1 ოქტომბრიდან. ამ ჟამად ეს საკითხი ისევ წამოყენებულ იქნა იმ დაბრკოლებების გამო, რომელნიც წარმოიშვენ ბიუჯეტის შედგენის დროს. ეს საკითხი დიდი და რთულია და საჭიროა მისი დაწვრილებით განხილვა, დამუშავება, და მხოლოდ შემდეგ შეიძლება გადაწყვეტილების მიღება. საბიუჯეტო კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ დაამუშაოს ეს საკითხი და წარუდგინოს დასამტკიცებლათ საკავშირო ცაკის მომავალ სესია".

დასასრულ კუიბიშევი აღნიშნავს, რომ საბიუჯეტო კომისიის მიერ შემოტანილ წინადადებებს არ გამოუწვევია წინააღმდეგობა ცაკის წევრებ. მხრივ. ეს მოწმობს იმას, რომ საბიუჯეტო კომისია სწორედ მიუდგა ბიუჯეტის შეფასების საკითხს და შეიმუშავა სწორი დირექტივები მომავალი წლის ბიუჯეტის შესადგენათ.

ამხ. ბრიუხანოვის საბოლოო სიტყვა

ბრიუხანოვი ჯამს უკეთებს კამათს, და აღნიშნავს, რომ კამათი შეეხო ბიუჯეტის ყველა პრობლემებს. ორატორები ნაკლებ ჩერდებოდენ ბიუჯეტის ნაწილების ცალკე ციფრების კრიტიკაზე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

„მთავრობამ—ამბობს ბრიუხანოვი, მიიღო ყოველგვარი ზომები სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესამცირებლად. ამ შემცირებას უკვე რეალურად გრძნობს გლეხობა. ადგილობრივ მომუშავე ამხანაგები და თვით გლეხობა აღნიშნავენ, რომ წელს ძალიან მსუბუქია სასოფლო სამეურნეო გადასახადი. გადასახადის შემდგომი შემცირება მიზანშეუწონილია და მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ქვეყანას სახელმწიფოს გადაუდებელ საჭიროებათა დაფარვის დროს.

შენიშვნების უდიდესი რიცხვი შეეხებოდა არაპირდაპირ გადასახადების პოლიტიკას.

ჩვენ გვინდოდა მოგვეხსნა აქციზი ფართო მოხმარების საგნებიდან და საერთოთ ვფიქრობთ, რომ უგადასახადოთ ცხოვრება უფრო ადვილია, მაგრამ ჩვენი მოთხოვნილებანი იმდენათ დიდია და მრავალფეროვანი, რომ ჩვენ უგადასახადოთ ცხოვრება არ შეგვიძლია.

აქციზი ღვინოზე

განსაკუთრებული ყურადღება კამათის დროს მიქცეული ჰქონდა აქციზს არაყზე. მეფის მთავრობის დროს შემოსავალი არაყის გაყიდვიდან უდრიდა 952 მილ. ომის წინადროის მანეთს, ანუ მეფის მთავრობის მთელი ბიუჯეტის 28%-ს. ჩვენ მიერ ნავარაუდევი შემოსავალი არაყის აქციზიდან, რომელიც საბიუჯეტო კომისიის მიერ შემცირებულია 450 მილ. ჩერვ. მანეთამდე, შეადგენს სულ მთელი ბიუჯეტის 11%-ს.

შემდეგ ბრიუხანოვი ეხება სატრანსპორტო მეურნეობის საკითხს და ამბობს, რომ გამოთქმულ აზრის მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია არ გაილაშქრებს სარკინისგზო ტარიფის გადიდების წინააღმდეგ. მრეწველობის შემოსავალს არავითარი შენიშვნები არ გამოუწვევია.

ეხება რა შენიშვნებს ბიუჯეტის სავასლო ნაწილის შესახებ, ბრიუხანოვი უწინარეს ყოვლისა აღნიშნავს სარეზერვო ფონდის მნიშვნელობას. ამ ფონდის შექმნა ყველამ აუცილებლად აღიარა.

რაც შეეხება არმიის ხარჯებს, არავითარი შენიშვნა არ ყოფილა წარმოდგენილი. ჩვენ კიდეც გავადიდებდით ამ ხარჯებს ჩვენი წითელი არმიელების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, თუ კი რამე შესაძლებლობა გვექნებოდა.

აგრეთვე არც ერთი შენიშვნა არ ყოფილა წარმოდგენილი სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოში გაერთიანებულ მრეწველობის ხარჯების შესახებ. პირიქით, ბევრი ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ შეიძლებოდა მრეწველობისათვის მეტი თანხები მიგვეცა. კერძოთ, საბიუჯეტო კომისიამ საჭიროდ დაინახა მრეწველობას დამატებით მიეცეს 5 მილიონი მანეთი.

სასოფლო მეურნეობა

დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სასოფლო მეურნეობის საჭიროებებს. ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ სასოფლო მეურნეობისათვის გადადებული თანხები მცირეა და საჭიროა მათი გადიდება. სასოფლო მეურნეობის განვითარება ამ ჟამად შეფერხებულია სასოფლო სამეურნეო იარაღების ნაკლებობის გამო. ამ დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ჩვენი ლითონის მრეწველობის განვითარება.

როდესაც ჩვენ გავაფართოებთ ჩვენს მრეწველობას და უფრო მეტად დავაკმაყოფილებთ სასოფლო მეურნეობის მოთხოვნილებას საწარმოო იარაღებზე, შესაძლებელი იქნება საშუალებათა უფრო თანასწორი განაწილება მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შორის.

ადმინისტრატიული აპარატის ხარჯები

„რაც შეეხება ადმინისტრატიულ აპარატს, — ამბობს, ბრიუხანოვი — ჩვენ ვამცირებთ მის შესანახავ ხარჯებს.

უპასუხებს რა შენიშვნაზე ფინანსთა სახ. კომისარიატის აპარატის შესანახავ ხარჯების სიდიდის შესახებ **ბრიუხანოვი** ამბობს, რომ თუ ასეთ გადიდებას აქვს ადგილი, ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს.

ხარჯები კულტურულ საჭიროებისათვის

ეხება რა შენიშვნებს კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ ხარჯების და კულტურულ ფონდის საკითხს, **ბრიუხანოვი** ამბობს, რომ ბიუჯეტის შედგენის დაწყებიდანვე საჭიროდ იქნა აღიარებული სუბვენციურ ფონდების გადიდება კავშირის ჩამორჩენილ ნაწილების კულტურულ დონის ასაწევად. სუბვენციის პოლიტიკა— სწორი პოლიტიკაა, მაგრამ ზედმეტია ლაპარაკი სუბვენციის თანასწორად განაწილებაზე. სუბვენცია მეტი უნდა იყოს იქ, სადაც მეტი კულტურული ჩამორჩენილობაა.

შემოსავლის მხრივ ჩვენ უკან ჩამოვრჩით შარშანდელ წელს. შარშან შემოსავალი წლის პირველ ნახევარში უდრიდა 51%-ს. წელს კი იმავე ხნის განმავლობაში—სულ 46%-ს. აქედან დასკვნა: უნდა იქნას მიცემული დირექტივი მკაცრი საბიუჯეტო დისციპლინის და სახელმწიფო ხაზინის წინაშე ყოველგვარ ვალდებულებათა სასტიკად შესრულების შესახებ.

მთავრობამ უკვე მიიღო ზომები ქვეყნის საქონლით უზრუნველსაყოფად შემოდგომიდან, როდესაც ჩვეულებრივად მოთხოვნილება იზრდება. სამომხმარებლო ხარჯების შემცირების და საწარმოო ხარჯების გადიდებასთან ერთად ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თავისუფალ ფულის აკრეფას. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რათა ყველა საწარმოო ხარჯები გატარდეს არა საბიუჯეტო, არამედ საკრედიტო საფუძველზე. ჩვენ ამოცანას შეადგენს თავი მოუყაროთ თავისუფალ ფულებს ქვეყანაში და დავაბანდოთ იგი წარმოებაში, რითაც განმტკიცდება ჩვენი ბიუჯეტი და ჩვენი ვალიუტა".

ამხ. ჩუბარის სიტყვა

ეროვნული პოლიტიკა

მოსკოვი, 17 აპრილი. „უკრაინა თავის მუშაობაში — განაცხადა **ჩუბარმა** — ყოველთვის მიდიოდა და მიდის ეროვნებათა კავშირის განმტკიცების და მცხოვრებთა ეროვნულ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზით. უკრაინის მუშები და გლეხები დარწმუნდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ისეთი ხელისუფლება, რომელიც გამოკიდა მუშათა და გლეხთა წიაღიდან.

ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საქმეში წარმოადგენს უკანასკნელ წლებში ნაციონალურ-ადმინისტრატიულ - ტერიტორიალური ერთეულების გამოყოფა.

შემდეგ ჩუბარი აღნიშნავს უკრაინის მთავრობის ღონიძიებებს სახელმწიფო აპარატის მასებთან დასაახლოვებლად და ბოლოს ეხება უკრაინის სამეურნეო მდგომარეობას

კოოპერაცია

ეხება რა გლეხობის გაერთიანებას კოოპერატივებში. ჩუბარი აღნიშნავს, რომ კოოპერატიული მოძრაობა უკრაინაში შემდეგ ციფრებში გამოიხატება: 1924 წელს უნივერსალური მაღაზიები იყო 4602, სპეციალური – 392, 1925 წ. — უნივერსალური— 5.100, სპეციალური—1.300.-ეს ამხანაგობები 1924 წელს აერთიანებდენ 647.000 გლეხის მეურნეობას; 1925 წ. დაახლოვებით — 1.300.000 მეურნეობას, რაც შეადგენს ყველა მეურნეობათა 30%-ზე მეტს.

კოოპერატიულ გაერთიანებათა ფინანსიური მდგომარეობა მტკიცეა.

სამომხმარებლო კოოპერაციას ახასიათებს შემდეგი ციფრები: 1925 წ. ოქტომბერში სამომხმარებლო საზოგადოებათა რიცხვი უდრიდა—6.382, პაების მქონეთა რიცხვი — 1.043.000. თანხების საერთო ჯამი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში 1925 წელს უდრიდა — 60 მილ. მანეთს., 1914 წელს კი დაახლოვებით— 19 მილიონ მანეთს.

სასოფლო - მეურნეობის პერსპექტივები

უკრაინის სასოფლო - მეურნეობის მომავალ პერსპექტივებს განსაზღვრავს მეურნეობის განვითარების საპერსპექტივო გეგმა. ეს გეგმა ორ ნაწილად იყოფა: გეგმის გასატარებლად ველიან ადგილებში საჭირო იქნება 7 წლის განმავლობაში 55,5 მილიონი მანეთი., ტყიან-მინდვრიან ადგილებში — 88,5 მილიონი მანეთი.

მრეწველობა

ეხება რა მრეწველობის შეფასებას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკრაინის მრეწველობას უჭირავს თვალსაჩინო ადგილი მთელ საერთო - საკავშირო მრეწველობაში.

მომხსენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შაქრის მრეწველობას და აღნიშნავს, რომ მასზეა დამოკიდებული მთელი უკრაინის მოსახლეობის ნახევრის კეთილდღეობა. ამიტომ მომხსენებლის აზრით, საჭიროა მთელი ძალ-ღონე მოხმარდეს შაქრის მრეწველობის განვითარებას.

ელექტროფიკაცია

მხოლოდ ერთ შტეროვის ელექტრო-სადგურს არ შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს მთელი ქვეყნის მოთხოვნილება. მთავრობამ მიიღო ყოველგვარი ზომები ადგილობრივ ელექტროფიკაციის განსავითარებლად.

საშინაო ვაჭრობა

საშინაო-ვაჭრობა უკრაინაში საკმაოდ ცუდ პირობებში ვითარდებოდა.

საგარეო ვაჭრობა თანდათან სერიოზული ფაქტორი ხდება უკრაინის მეურნეობაში.

რაც შეეხება ტრანსპორტს, ჩუბარი აღნიშნავს, რომ უკრაინის ტრანსპორტი უკიდურესი დატვირთვით მუშაობს.

ეხება რა საბიუჯეტო და საკრედიტო სისტემას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკრაინის მთავრობის ძირითად საბიუჯეტო პოლიტიკას წარმოადგენდა უდეფიციტო ბიუჯეტის შექმნა.

დასასრულ ჩუბარი ჯამს უკეთებს უკრაინის მთავრობის მუშაობას და აღნიშნავს, რომ მის ნაციონალურ პოლიტიკას დადებითი შედეგი მოყვა.

ამხ. ჩიჩერინის განცხადება

ამერიკაში

ნიუ-იორკი, 16 აპრ. დემოკრატიულ პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო „ნიუ-იორკ-ტაიმსი" ჩიჩერინის ნოტის შესახებ სწერს:

„ჩიჩერინის ნოტა მოხერხებით არის შედგენილი. სახელმწიფოები, რომ მართლა დაინტერესებული ყოფილიყვენ საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე დასწრებაში, იმათ ადვილათ შეეძლოთ, კონფერენციის ადგილი შვეიცარიიდან გადაეტანათ სხვაგან სადმე.

გაზეთი წინადადებას აძლევს ერთა ლიგას, რომ განიარაღების კონფერენცია ჩაატაროს საბჭოთა კავშირის დაუსწრებლად. სახელმწიფოები მეტად [illegible] საბჭოთა კავშირის მნიშვნელობას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს არა აქვს აგრესიული ზრახვანი.

ინგლისში

ლონდონი, 16 აპრ. ინგლისის გაზეთები სიჩუმით შეხვდენ ჩიჩერინის ნოტას, ინგლისის გაზეთების ჟენეველი კორესპონდენტები ნოტას ახასიათებენ, როგორც „შეურაცხმყოფელის, თავხედს და არა დიპლომატიურს". აღნიშნავს იმ „ცუდ შთაბეჭდილებას, რომელიც მან მოახდინა ლიგის წრეებში".

კრიზისი ინგლისში

მუშების სოლიდარობა

ბერლინი, 17 აპრილი. **სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის კონფერენციამ ბრიუსელში ერთხმად დაადგინა მხარი დაუჭიროს ინგლისის ნახშირის მაღაროების მუშების პოზიციას.** იმ შემთხვევაში, თუ დაიწყო ინგლისის სამთამადნო მუშების გაფიცვა, გაფიცვას გამოაცხადებენ სამთამადნო მუშების ყველა კავშირები მთელს მსოფლიოში. ტრანსპორტის მუშებმაც გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ სამთამადნო მუშებს.

ბრიუსელის სესიაზე

ბერლინი, 16 აპრილი. 15 აპრილს ბრიუსელში გაიხსნა სამთამადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის სესია. პირველ რიგში მოსმენილ იქნა გერმანელ დელეგატის ჰუზემანის მოხსენება მისი მოგზაურობის შესახებ შეერთებულ შტატებში — სამთამადნო წარმოების ყოველმხრივ შესასწავლად.

შემდეგ ინგლისის დელეგატმა რიჩარდსონმა დაწვრილებითი მოხსენება გააკეთა ნახშირის წარმოების შესახებ ინგლისში.

საერთაშორისო ფედერაციის მხრივ ინგლისის მემაღაროე მუშების დახმარებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულ იქნება 16 აპრილს.

შეთანხმებას ვერ მიაღწიეს

ლონდონი, 16 აპრ. პრემიერ ბალდვინს თათბირი ჰქონდა სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომთან. **მუშათა წარმომადგენლებმა განუცხადეს პრემიერს, რომ მეპატრონეებთან მოლაპარაკება გაუვალ ჩიხში მოექცა.**

პრემიერმა აღუთქვა, რომ კავშირს დაიჭერს მეპატრონეებთან და სთხოვა, ფედერაციის წარმომადგენელნიც მზად იყვენ ახალ მოლაპარაკებისთვის მომავალი კვირის დასაწყისში.

ამის შემდეგ შესდგა კაბინეტის სხდომა, სადაც იხილავდენ ქვანახშირის მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობას.

ხიქსის პესიმიზმი

ლონდონი, 16 აპრ. ინგლისის გაზეთების აზრით — ბალდვინთან სამთამადნო ფედერაციის აღმასკომის მოლაპარაკების შემდეგ უფრო მეტი იმედები წარმოიშვა მოსარიგებლად, ვიდრე იყო უწინ.

მიუხედავათ ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსტონ-ხიკსმა 15 აპრილს სიტყვა წარმოსთქვა და მდგომარეობა ძალიან შავ ფერებში ასახა. მან სთქვა, **რომ მინისტრთა კაბინეტი ეხლა უფრო მეტ გასაჭირშია ჩავარდნილი, ვიდრე ომის დროსა.**

დაინტერესებულ წრეებში ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება მეპატრონეებსა და მუშათა წარმომადგენლებს შორის დაიწყება არა უადრეს მომავალი კვირისა.

რადიჩის წინააღმდეგ



სტეფანე რადიჩი

ვენა, 16 აპრილი. ვინაიდან გრძელდება თავდასხმა რადიჩზე და პაშიჩთან ახლოს მდგომ უზუნოვიჩის კაბინეტის რადიკალ — წევრებზე, 3 მინისტრი გადადგა. მინისტრები გადადგომას ასაბუთებენ იმით, რომ მათ არ შეუძლიათ ითანამშრომლონ რადიჩთან. პრემიერმა უზუნოვიჩმა სთხოვა მათ შეეცვალათ თავიანთი გადაწყვეტილება, **ხოლო რადიჩს ულტიმატიური წინადადება მისცა შეიტანოს განცხადება გადადგომის შესახებ.**

მინისტრი რადიკალები სცდილობდენ მინისტრი — ხორვატების დატოვებას მთავრობაში ურადიჩოთ, მაგრამ მინისტრი — ხორვატები გავიდენ მთავრობიდან.

უზუნოვიჩის ახალმა კაბინეტმა უკვე შეფიცა მეფეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მიღებული ცნობები თავისუფალ სამინისტრო ადგილების დაჭერის შესახებ.

სამხრეთ - სლავიის პოლიტიკურ წრეებში უზუნოვიჩის მთავრობის მდგომარეობას მერყევად სთვლიან.

პარიზი, 17 აპრილი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, **რადიჩმა უარი სთქვა გადადგომაზე.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გადადგა, რადგან კაბინეტის შენარჩუნება შეუძლებელი იყო.

კაპიტალის შემოტევა

ბერლინი, 16 აპრილი. ტიურინგიის საფეიქრო, ლითონის და ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობის მწარმოებლებმა დაიწყეს შეტევა მუშების წინააღმდეგ. საფეიქრო მრეწველობის მწარმოებლებმა ძველი კოლექტიური ხელშეკრულება გაუქმებულად გამოაცხადეს და მოითხოვეს ახალი ხელშეკრულების დადება შემდეგ პირობებში: შემცირებულ იქნეს სამუშაო ხელფასი 25 პროცენტით, გაგრძელებულ იქნეს სამუშაო დღე 60 საათამდე კვირაში, შემცირებულ იქნეს ნარდი სამუშაოს ხელფასი და ფასიანი შვებულებები. შრომის ახალი პირობები ლახავს 250,000 ფეიქ. ინტერესებს. ასეთივე პირობები წარმოადგინეს მწარმოებლებმა ლითონის მრეწველობაში. ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში მწარმოებლებმა გააუქმეს ძველი ხელშეკრულება და კიდევ უარესი პირობები წაუყენეს მუშებს. ტიურინგიის რკინის გზების სამმართველო მასიურად ითხოვს რკინისგზელებს.

მიწათმოქმედების ორგანოთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა

(ზოგადი შედეგები)

სრულიად საქართველოს მიწადმოქმედების ორგანოთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა რვა დღეს გაგრძელდა—აპრილის 5-დან 12-მდე.

როგორც უკვე აღნიშნული იყო ყრილობის შესახებ ჩემს წინა წერილში*), ყრილობის პირველივე დღიდან ნათელი გახდა მისი დიდი მნიშვნელობა, სავსებით გამართლდა მასზე დამყარებული იმედები.

ამჟამად, ყრილობის დამთავრების შემდეგ, უფრო დაბეჯითებით შეგვიძლია იგივე განვიმეოროთ, ვთქვათ, რომ ყრილობის მუშაობა იშვიათად ნაყოფიერი გამოდგა, რომ არ დარჩენილა ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობის და ჩვენი მიწათმოქმედების ორგანოთა საქმიანობის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც ყრილობის პლენუმი და სექციები არ შეჩერებულიყვნენ, ყოველმხრივ არ აეწონ-დაეწონათ, არ გამოეთქვათ თავისი აზრი—არსებული მდგომარეობის და მომავალ სამოქმედო გეგმის შესახებ.

ყრილობის ნამუშევარი დღეს წინასწარი სისტემატიზაცია-შესწავლის პროცესშია. ამისდაკვალად, ჯერჯერობით მისი მხოლოდ ზოგადათ დახასიათება და ზოგადათვე შეფასება შეიძლება, მაგრამ ეს წინასწარი დახასიათება-შეფასებაც საკმარისია ყრილობის დიადი მნიშვნელობის, მისი უეჭველი დადებითი შედეგების დასამტკიცებლად.

ქვემოდ მე შევეხები ყრილობის ნამუშევარს, მთავარი დარგების მიხედვით, შევეცდები მოკლეთ შევაჯამო ის, რაც თითოეულ დარგში გაკეთდა; ჩვენი წარსული მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები აღინიშნა ყრილობის პლენუმის და სექციების სხდომებზე, ცენტრში და ადგილობრივ მუშაობისშესახებ მოხსენების მოსმენის შედეგათ, როგორ [illegible] ჩამოყალიბებული მიწათმოქმედების ორგანოთა მომავალი მოქმედების პერსპექტივები.

[illegible] მეურნეობის და მის ასაღორძინებლად მიმართულ ღონისძიებათა შეფასების შედეგათ, იმ უდავო და თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად, რაც სოფლის მეურნეობის ყველა დარგში გვაქვს, აღნიშნულ იქნა არსებულ მდგომარეობის შემდეგი უარყოფითი მხარეები:

სოფლის მეურნეობის დარგში მომქმედ დაწესებულებათა და ორგანიზაციების (მიწათმოქმედების კომისარიატი, სამაზრო საადგილ-მამულო ქვე-განყოფილებანი, წყალთა სამმართველო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, სასოფ.-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებანი), მუშაობის შეუთანხმებლობა და უგეგმობა;

ჩვენი სოფლის მეურნეობის პირობების (ნიადაგი, ჰავა, ფლორა, გლეხკაცის ბიუჯეტი) და მისი დარგების (მემინდვრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა და სხვ.), მდგომარეობის ჯეროვნად შეუსწავლელობა; არსებულ საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა უსახსრობა და შტატის სიმცირე, რის გამო ეს დაწესებულებანი სათანადოთ ვერ აკმაყოფილებდენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა საჭიროებას და მოთხოვნილებას; ზოგიერთ სოფლის მეურნეობის დარგში—კი სულაც არა გვაქვს საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებანი;

აგრონდახმარება ვერ ამჩნევს სათანადო კვალს სოფლის მეურნეობის აღორძინებას შტატის სიმცირის, აგროპუნქტების მოუწყობლობის, სამგზავრო საშუალებათა სიმცირის გამო; სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებათა მოქმედებას აბრკოლებს საკრედიტო ქსელის და მის განკარგულებაში მყოფი თანხების სიმცირე და მათი მიზანშეუწონლად განაწილება.

სოფლის მეურნეობის სპეციალურ დარგების წარმატებას და განვითარებას აფერხებს პროდუქციის დამზადების და მისი რეალიზაციის მოუწყობლობა და სათანადო სპეციალისტების კადრის სიმცირე;

შინამრეწველობითი წარმოება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხკაცის მეურ-ბის ყველა დარგში და ბაზარზედაც ანელებს ქალაქის ნაწარმოების პროდუქციის კრიზისის შედეგებს, არსებულ პირობებში სათანადოთ ვერ ვითარდება სპეციალისტების კადრის უყოლობისა და სათანადო ხელსაწყოების სიმცირის გამო;

სასოფლო-სამეურნეო განათლება ვერ აკმაყოფილებს ჩვენი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას სპეციალისტებზე, რადგან არსებული უმაღლესი სასწავლებელი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი) და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები ვერ არიან სათანადოთ მოწყობილნი სასწავლო დაწესებულებების მხრივ. დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მხოლოდ ჩანასახი გვაქვს და რაც არის, ის ვერ აკმაყოფილებს სოფლის მეურნეთა ტეხნიკურად მომზადების არსებულ საჭიროებას.

ზემოდ, ზოგადათ დახასიათებულ არსებულ მდგომარეობის უარყოფითი მხარეების გამოსასწორებლად, ყრილობის პლენუმის და სექციების მიერ დასახელებული იქნა შემდეგი უმთავრესი და **გადაუდებელი ღონისძიებანი:**

უნდა სწარმობდეს შეთანხმებული მუშაობა ყველა სოფლის მეურნეობაში მომუშავე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით, მასთან შეთანხმებული გეგმების მიხედვით;

ამ თავითვე რაციონალურ ნიადაგზე უნდა დაყენებული იქნეს საქართველოს ბუნების და ეკონომიური პირობების გამოკვლევა-შესწავლა, სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით;

არსებულ საცდელ დაწესებულებებს უნდა მიეცეს საშუალება მუშაობის გასაცხოველებლად და გასანაყოფიერებლად, სამისოდ საჭირო თანხების გაღებით და მათი სათანადო პერსონალით შევსებით; სოფლის მეურნეობის იმ დარგებში, რომლებშიაც არ არის საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებანი, ასეთები უახლოვეს მომავალში უნდა შეიქმნას;

აგრონდახმარების დაწესებულებათა განვითარებას და მათი მუშაობის გაცხოველებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს,—საჭიროა გაძლიერება ცენტრში და ადგილობრივ მომუშავე პერსონალისა, აგრეთვე აგრონდახმარების დაწესებულებათა საოპერაციო თანხებისა, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტით; აგროპუნქტების სათანადოთ მოწყობა, მათთან გლეხების მეურნეობისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მასალების, თესლეულობის და წამლეულობის საწყობების დაარსება და სხვ.;

გაფართოვებული უნდა იქნას საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვი და გადიდებული მათი საშუალებანი,—როგორც მიზნობრივი, ისე სხვა სახის სესხად გასაცემი თანხები, კრედიტების პროცენტების დაკლებით და გრძელვადიანი კრედიტების გადიდებით;

სათანადო ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული ჩვენი სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების დასახმარებლად, მათი პროდუქციის გასაზრდელად და ნაწარმოების გასაღების მოსაწყობად. ასეთია ამერიკული ვაზის ნამყენების დამზადების გადიდება და საზღვარ-გარეთიდან შემოტანა, ხილის სანერგეების მოწყობა, საკონსერვო ქარხნების, სარკვევი პუნქტების და სხვ. დაარსება, საჩვენებელ ნაკვეთების და პლანტაციების მოწყობა და სხვ.;

შინამრეწველობის განსავითარებლად საჭიროა საქართველოს ყველა კუთხეში სანიმუშო სახელოსნოების მოწყობა, მათი საჭირო ხელსაწყოიარაღით უზრუნველყოფა, დამხმარე სპეციალისტთა პერსონალის გაძლიერება, დაწვრილებითი შესწავლა შინამრეწველობის ყველა დარგების მდგომარეობისა;

ყველა ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელება და ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინება უნდა ითავოს სათანადოთ მომზადებულმა, სწავლით აღჭურვილმა, აგროპერსონალმა, რისთვისაც საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს, ვიდრე ამას აქამდე ჰქონდა ადგილი, არსებულ სასოფლო-მეურნეო სასწავლებლების სათანადოთ მოწყობას და საჭირო თანხებით უზრუნველყოფას, განსაკუთრებით კი დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მოწყობას, აგრეთვე დროგამოშვებით კურსების დაარსებას, სოფლის მეურნეობის სხვა დასხვა დარგში, როგორც გლეხკაცობისათვის, ისე ადგილობრივ მომუშავე აგროპერსონალისათვის, და სხვ.

სატყეო მეურნეობის დარგში, ყრილობამ ხაზგასმით აღიარა, რომ საქართველოს ტყეებს, მათი იშვიათი და ძვირფასი ჯიშებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ეკონომიკისათვის. აღნიშნული იყო ისიც, რომ, მიუხედავათ აპარატის სიმცირისა და საჭირო საოპერაციო თანხების უქონლობისა, მაინც უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ დარგში საკმარისი მიღწევები გვაქვს, როგორც ტყის გამოკვლევა-მოწყობის, ისე მისი განახლებისა და შემოსავლიანობის აწევის საქმეში. საერთოდ —კი ჩვენი სატყეო მეურნეობა ჯერ სათანადო დონეზე არ არის დაყენებული, ამ მხრივ საჭიროა კიდევ დიდი მუშაობის ჩატარება.

ყრილობის მიერ სავსებით მოწონებულ იქნა მიწათმოქმედების სახ კომისარიატის [illegible] წლების განმავლობაში საქართველოს სატყეო მეურნეობის მოსაწესრიგებლად, მის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, აღებული სამოქმედო გეზი, დადასტურებულ იქნა შესაფერი გეგმა, რომლის მთავარი მუხლები შემდეგია:

ნორმალურ მდგომარეობამდე აყვანა სატყეო მეურნეობის გამძღოლ აპარატისა, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ — კვალიფიკაციითაც, ნივთიერი უზრუნველყოფის მხრივაც და საჭირო საოპერაციო თანხების გამონახვით;

ჩვენი სატყეო მეურნეობის ობიექტის გამორკვევა, დაკვრითი წესით— ტყეების გამოკვლევა-მოწყობა, რაც ხუთი წლის განმავლობაში უნდა იქნას დამთავრებული;

ტყის მოწყობა-გამოკვლევის დროს საბოლოოდ უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფო სატყეო ფონდი და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, სასოფლო-სამეურნეო ფონდს გადაეცეს ის არე, რის გადაცემა შესაძლებელია;

ტყეების აღსადგენათ უაღრესი მნიშვნელობა აქვს მათ განახლება-გაუმჯობესებისათვის მუშაობის წარმოებას—ტყეკაფების განახლებას, აგრეთვე იმ ტყის ნაკაფების და ველების გატყევებას, რაც დროთა ვითარებისა გამო, დაჯაგებულ-გაბელოტებულია; დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სატყეო-სამელიორაციო მუშაობას, ტყის მეწყერების და ნამზღვლევებისაგან ბრძოლას; უნდა მოეწყოს სატყეოებში და განსაკუთრებულ რაიონებში ტყის საცდელ მუშაობის წარმოება; ტყის ექსპლოატაცია მხოლოდ სატყეო-საოპერაციო გეგმის მიხედვით უნდა იქნას წარმოებული. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს დაშორებული და შენახული ტყეების დამუშავებას, აქეთ გაყვანილ უნდა იქნას გზები; მახლობელ აგარაკებიდან სახარჯო მერქანი მხოლოდ გლეხობას უნდა მიეცეს, მისი საკუთარი საჭიროებისათვის; მთელ რიგ მაზრებში ტყის სამრეწველო ექსპლოატაცია სულ უნდა შესწყდეს; დაცულ და შენახული უნდა იქნეს ძვირფასი ჯიშები; მათი, ტყეების მოწყობის დამთავრებამდე, გაცემის სრულიად აკრძალვით; მუხის გაცემა უნდა შემცირებულ იქნას—მუხა უნდა შევინახოთ ჩვენი მეღვინეობის საჭიროებისათვის.

ტყის სამრეწველო ექსპლოატაცია გაერთიანებულ უნდა იქნას ტყის მრეწველობის ტრესტის ხელში, რომელმაც თავის საწარმოვო გეგმა უნდა შეუფარდოს სატყეო მეურნეობის გეგმას და ტყის გადასამუშავებელი ფაბრიკა-ქარხნები უნდა გამართოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, იმ რაიონებში, სადაც უმთავრესი ტყის მასივებია.

შესწავლილ უნდა იქნას ჩვენი ტყეების ცხოველები და მხეცები, დაცულ იქნას სასარგებლო ნადირი და მიღებული ზომები, მავნებელთა გასაწყვეტად;

ტყის დაცვის სათანადო დონეზე დასაყენებლად საჭიროა, საქონლის ძოვების მოწესრიგება, კერძოდ სრულიად აკრძალვა ტყეში თხის ძოვებისა; ამასთან საფუძველი უნდა ჩაეყაროს ტყის მავნებელ მწერებთან და სოკოებთან ბრძოლას; ტყის ძალადობით გამჩეხლების წინააღმდეგ საჭიროდ იქნა ცნობილი სისხლის სამ. კოდექსის 102 მუხლით გათვალისწინებული რეპრესიის გადიდება, აგრეთვე ამ კოდექსში ზოგიერთი სხვა შესწორების შეტანა.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა-გადაცემის საქმე უნდა დამთავრდეს ა.-წ. ივლისის 1-მდე, ხოლო მათი მოწყობა 1927 წლის იანვრის 1-მდე.

საშუალო ტეხნიკური ცოდნის სპეციალისტების მოსამზადებლათ საჭიროა დაარსება ორი სპეციალური სატყეო ტეხნიკუმის, სამიწათმზომლო ნაწილით: ერთისა—აღმოსავლეთ-საქართველოში, მეორესი—დასავლეთ-საქართველოში;

რადგან სატყეო მეურნეობას ბევრი გადაუდებელი ამოცანა აქვს და ამ მეურნეობის სათანადო დონეზე დასაყენებლად საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება, ამ მუშაობის წარმოებას 5 წლის განმავლობაში უნდა ჰხმარდებოდეს სატყეო მეურნეობის მთელი შემოსავალი და სხვ.

მიწათმოწყობის დარგში, ყრილობამ მთავარი ყურადღება მიაქცია ორ გარემოებას—მიწათმოწყობის სოციალურ და ტეხნიკურ მხარეებს.

პირველი მომენტია—მიწის მოსარგებლის უფლება-მოვალეობის ჩამოყალიბება. აქ ყველაზედ უფრო მტკივნეული და ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხია მიწის იჯარის საკითხი და მიწის ნაკვეთების გაცვლა-გამოცვლის საქმე. ერთიცა და მეორეც სასწრაფოდ მოითხოვს გადაჭრას. მათში ჩამალულია საშიშროება მიწის ყიდვა-გაყიდვისა. ამიტომ სრულად ბუნებრივი და აუცილებელი იყო ყრილობის მხრივ ის სიფრთხილე, რომლითაც იგი მოეკიდა ზემოხსენებული საკითხების გადაჭრას. 12 წლის მიწის იჯარამ, რაც პრინციპიალურად მიღებული იყო საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის მესამე სესიის მიერ და ამჟამად რუსეთშიაც დაკანონებულია (1926 წ. მარტის 2-ის კანონი), ვერ მოიპოვა ყრილობაზე ერთხმოვანობა და მიღებულ იქნა მხოლოდ ხმის უმრავლესობით.

ყრილობამ მოითხოვა სასტიკი ზომების მიღება სუბარენდის (მოიჯარადრის მიერ აღებულ მიწის მესამე პირზე გადაცემის) წინააღმდეგ, სადაც ასეთი შემჩნეული იქნება, რაც შეეხება მიწის გაცვლა-გამოცვლას, ასეთი დასაშვებათ იქნა ცნობილი თემალშასკომის ან სასოფლო საბჭოს დასკვნისა და სამაზრო საადგილ-მამულო ორგანოების დასტურის შემდეგ და ისიც მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც გაცვლის მიზანია [illegible] ხარეზობის, შორ ან გრძელ [illegible] და სხვა უხერხულ და მავნე [illegible] ფორმების მოსპობა მიწის სარგებლობაში, ან და სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაცვლება და სამოსახლოების გამონახვა.

ამავე კატეგორიის საკითხებს ეკუთვნის მიწის კოდექსის 22 და 62 მუხლების შეცვლის საჭიროება, რაც გამოსთქვა ყრილობამ.

მეორე მომენტი—მიწათმოწყობის ტეხნიკური მხარე შეიცავს მიწის სარგებლობის ფორმების გაუმჯობესებას. აქ ხაზი გაესვა ერთის მხრით მიწის ხარეზობის, მრავალნაკვეთიანობის, ნაკვეთების დაქუცმაცების და მათი გაფანტულობის მინიმუმამდე დაყვანის საჭიროებას, კანონიერ ზომების მიღებით, და მეორე მხრით მიწათმოწყობის საქმეში აგრონომების ჩარევის სასურველობას.

საერთოდ, მიწათმოწყობის საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროდ იქნა მიჩნეული: მიწათმოწყობის საკითხებისა და მისი შედეგების მეცნიერულად შესწავლა უნივერსიტეტის მიერ; კოლექტიურ მიწის სარგებლობის პირობების შესწავლა და ასეთი ფორმის ყოველმხრივი ხელის შეწყობა; მიწათმომწყობთა სათანადო კადრის მომზადება; სოფლის განთავისუფლება მიწათმოწყობის ყოველგვარ ხარჯებისაგან, ამ ხარჯების გადატანა სახელმწიფო სალაროზე მთლიანად ან, თუ ეს შესაძლებელი არ იქნება, მათი ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანა სამიზნო კრედიტის სახით; გრძელვადიანი სესხისათვის სათანადო თანხის გადადება; სოფლის მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად იმ შემთხვევაში, როდესაც ის საშიშარ ადგილებიდან სხვა ადგილზე გადასახლდება, [illegible] ახალ გეგმაზე აფართოვების ან შორამიწიანობის სპობს.

ბოლოს, ყრილობამ სთქვა ისიც, რაც დღემდე არა ერთხელ თქმულა და რამაც მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს ფულიც რომ ვიშოვოთ, მცოდნე და გამოცდილ მიწის მომწყობთ ვერ

---

*) იხ. გაზ. „კომუნისტი" № 79.

უკანასკნელი ცნობები

საკავშირო ცაკის სესია

მოსკოვი, 17 აპრილი. 16 აპრილს, საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი უკრაინის მთავრობის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: **ბლინოვმა** (ტამბოვი), **აფანასენკომ** (ციმბირი), **ჩელინოვიჩმა, ადამოვიჩმა** (ბელორუსია), **გრანკომ, მაკარლინმა** (უკრაინა), **ცხაკაიამ** (საქართველო), **ახუნდოვმა** (დაღესტანი), **ლარინმა** და სხვ. ორატორებმა აღნიშნავდენ უკრაინის ნაციონალურ პოლიტიკის წარმატებას და აგრეთვე უკრაინის მთავრობის ნაყოფიერ მუშაობას მეურნეობის აღდგენის საქმეში.

დუან-ცზი-ჟუის წინააღმდეგ

პეკინი, 16 აპრილი. პეკინის სტუდენტთა კავშირმა წერილით მიმართა დიპლომატიურ კორპუსს, რომელშიაც პროტესტს აცხადებს დუან-ცზი-ჟუის უცხოელთა კვარტალში დამალვის წინააღმდეგ და მოითხოვს მის გადაცემას ჩინეთის მშრომელი ხალხის სასამართლოსათვის.

რადიჩის პარტიის კრიზისი

ვენა, 16 აპრილი. სამხრეთ სლავიის უზუნოვიჩის მთავრობაში დარჩენილი ორი მინისტრი—ხორვატი ნიკიჩი და შუპერინი იმისათვის, რომ ისინი კაბინეტის რეორგანიზაციის შემდეგ დარჩენ მთავრობაში, გარიცხულნი არიან რადიჩის პარტიიდან. ფიქრობენ, რომ მათი გარიცხვის გამო რადიჩის პარტიას დასტოვებს 20—25 დეპუტატი. რადიჩის გაზეთები სწერენ პარტიაში დაწყებულ კრიზისის შესახებ. უზუნოვიჩის მთავრობის მდგომარეობა არ არის მტკიცე. შესაძლებელია პარლამენტის დათხოვა და ახალი არჩევნების დანიშვნა.

იტალია არ სცნობს რუმინეთის უფლებას ბესარაბიაზე

ვენა, 16 აპრილი. რუმინეთის ნაციონალური პარტიის ორგანო „დიმინეატა" იუწყება, რომ რუმინეთის ელჩის რომში ლაგოვარის ცდა, რათა იტალიას მოეწერა ხელი ბესარაბიის ოქმზე, ე. ი. იტალიას ეცნო რუმინეთის უფლება ბესარაბიაზე, დამარცხდა.

სამხრეთ უელსის მემაღაროები

ლონდონი, 16 აპრილი. სამხრეთ უელსის მაღაროს მუშათა კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა სრულიად ინგლისის მაღაროს მუშათა კონფერენციის რეზოლიუცია და დაადგინა არ დასთანხმდეს სამუშაო დღის გაგრძელებაზე, დაჟინებით მოითხოვოს შეთანხმება მაღაროების მეპატრონეებთან საერთოდ ინგლისის მასშტაბით და არ დასთანხმდეს სამუშაო ხელფასის დაკლებაზე.

მაღაროს მეპატრონეთა ლოკაუტი

ლონდონი, 16 აპრილი. ლანკაშირისა და ჩეშირის მაღაროს მეპატრონეებმა გამოაცხადეს ლოკაუტი.

აჯანყება უ-პეი-ფუს წინააღმდეგ

პეკინი, 16 აპრილი. ხუნანის პროვინციაში იფეთქა აჯანყებამ უ-პეი-ფუს წინააღმდეგ.

აჯანყებულებს მეთაურობს გენერალი ტან-შენ-ჩი, რომელმაც, ინგლისურ გაზეთების ცნობით, იცნო კანტონის მთავრობის ხელისუფლება და განაცხადა სურვილი გადასცეს უკანასკნელს მის ხელმძღვანელობაში მყოფი შეიარაღებული ძალები.

სააკ ტაროსიანის განთავისუფლება

ერევანი, 17 აპრილი. დაშნაკური მთავრობის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრმა და ერევანის ყოფილმა გუბერნატორმა სააკ ტაროსიანმა, რომელიც დაპატიმრებული იყო სომხეთის საგანგებო კომისიის მიერ, განცხადებით მიმართა სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიაც აღიარებს რა სომხეთის კულტურულ და ეკონომიურ ზრდას საბჭოთა ხელისუფლების დროს და აგრეთვე დაშნაკური პარტიის პოლიტიკის დამღუპველობას სომხეთის მიმართ, შუამდგომლობა აღძრა გაენთავისუფლებიათ ის.

სომხეთის ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა რა ტაროსიანის შუამდგომლობა, დაადგინა დააკმაყოფილოს იგი.

პრიმო დე-რივერას განცხადება

პარიზი, 16 აპრილი. პრიმო დე-რივერამ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჯერ-ჯერობით საერთო გეგმა შემუშავებულია ურთიერთ მოლაპარაკების საწარმოებლად. შემდეგში ჩვენ დაგვჭირდება შეთანხმება საფრანგეთთან მრავალ პუნქტებში.

თუ აბდ-ელ-ქერიმს სურს ზავი, ის უნდა დაკმაყოფილდეს პირადი ქონების, ოჯახის შენარჩუნებით და კარგი პენსიის მიღებით. თუ არა და, 8 თვის შემდეგ მას იგივე ბედი მოელის, როგორიც რიფებს.

ვანდერველდეს ცემა

პარიზი, 16 აპრილი. ბრიუსელში გამართულ მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგზე სცემეს ვანდერველდეს.

პეკინის დაცლის შემდეგ

ღალადი

პეკინი, 16 აპრილი. სახალხო არმიის მიერ პეკინის ევაკუაცია დამთავრდა 16 აპრილს დილით, მუკდენის ჯარები მიადგნენ პეკინის კარებს, მაგრამ ქალაქში არ შედიან. უ-პეი-ფუს ჯარები ტიუნ-ვეი-ჩინის სარდლობით რომელთაც დახმარება უნდა გაეწიათ სახალხო არმიისათვის, ამჟამად ჩანსინ-ტიენში იმყოფებიან (პეკინის სამხრეთ-დასავლეთით).

როგორც გამოირკვა, სახალხო არმია ღალატის მსხვერპლი გახდა: ტიუნ-ვეი-ჩინის ჯარები არ მიეშველენ მას და ამავე დროს მეცხრე დივიზიამ ტან-ჩი-ტაოს სარდლობით უკან დაიხია ტუნ-ჩჟოუს რაიონში (20 ვერსის მანძილზე პეკინის აღმოსავლეთით). მეცხრე დივიზიაში შედიან ის ჯარები, რომელნიც წარმოადგენდენ დუან-ძი-ჩჟუის დამცველ რაზმს, ხოლო შემდეგ შევიდნენ სახალხო არმიის შემადგენლობაში.

მუკდენელების და უ-პეი-ფუს მთავარი რაზმები (მათ შორის დადებულ შეთანხმებით) **არ შედიან პეკინში, სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა პოლიტიკური მდგომარეობა.**

ქალაქის მართვა-გამგეობა იმყოფება სამოქალაქო კომიტეტის ხელში ვან-ში-ჩენის მეთაურობით.

პეკინში

პეკინი, 16 აპრილი. პრესის უდიდესი ნაწილი გამოსთქვამს მწუხარებას სახალხო არმიის მიერ პეკინის ევაკუაციის ხამო. **გაზეთები სახალხო არმიას უწოდებენ „სამაგალითო არმიას, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია მთელ ხალხს".**

ამჟამად ჯერ კიდევ ძნელია შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის სწორი შეფასება, თუმცა უპირატესობა ჩჟან-ძო-ლინის მხარეზეა, რომლის ხელშია ფაქტიურად პეკინი. ქ. დამცველ რაზმის სარდალი ტან-ჩი-ტაო ჩჟან-ძო-ლინის მხარეზეა, ტან-ჩი-ტაომ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც უარყოფს თავის მონაწილეობას დუან-ძი-ჩჟუის დამხობაში და აცხადებს, რომ შეიყვანა ჯარები ქალაქში წესრიგის დასაცავად და მთავრობის მეთაურის დუან-ძი-ჩჟუისათვის დახმარების გასაწევად.

იაპონიის სააგენტო ნიპპონ დემპო იუწყება, რომ მახლობელ დღეებში დუან-ძი-ჩჟუი ისევ გამოვა პოლიტიკურ ასპარეზზე. უ-პეი-ფუს პოზიცია ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

პირველ მაისისათვის

პარიზი, 16 აპრილი. მომავალ 1 მაისის დღესასწაულის გამო რევოლიუციონურ პროფკავშირთა გაერთიანებამ გამოაქვეყნა მოწოდება საფრანგეთის პროლეტარიატისადმი.

მოწოდებაში ნათქვამია:

„უკანასკნელ საფინანსო კანონპროექტების მიღება დიდ ზიანს აყენებს მუშათა კლასს. საერთო სამოქალაქო გადასახადი უნდა გადაიხადონ მცირე ხელფასის მქონე მუშებმაც კი. გადასახადი აღებ-მიცემობასა და მოხმარების პროდუქტებზე კვლავ გამოიწვევს ცხოვრების გაძვირებას.

ამიტომ საჭიროა, რომ პროლეტარიატმა დაიწყოს კამპანია ხელფასის გადიდებისა და 8 საათის სამუშაო დღის ხელშეუხებლობისათვის.

მშრომელები უნდა იბრძოდენ ვალიუტის სტაბილიზაციის მაროკოში და სირიაში მშვიდობიანობის დამყარებისა, პროფკავშირთა უფლებების დაცვისა, საყოველთაო ამნისტიისა და და ფაშისტურ ლიგების განიარაღებისათვის".

ზავი რიფებთან

პარიზი, 17 აპრილი. **მოლაპარაკება აბდ-ელ-ქერიმთან დაიწყება არა უახლოეს ორშაბათისა, საფრანგეთის და ესპანეთის დელეგაციები პირველ რიგში შეეცდებიან დროებითი ზავის ჩამოგდებას.**

ფუნტიკოვის გასამართლება

ბაქო, 17 აპრილი. დღეს, საღამოს 6 საათზე, ბუნიატ-ზადეს სახელობის თეატრში, ამხ. **კამერონის** თავმჯდომარეობით, სასამართლოს წევრების—**ინაშვილი, მირ-ბაშირ კრუმოვის** და პროკურატორ **ქავთარაძის** მონაწილეობით, გაიხსნა **საბჭოთა კავშირის** უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის პირველი სხდომა თედორე ფუნტიკოვის, კასპიის იქითა მხარის ე. წ. მთავრობის თავმჯდომარის, საქმეზე.

ფუნტიკოვის ბრალდება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 58, 59 და 64 მუხლებით.

სასამართლოს დარბაზი ვერ იტევს სხდომაზე დასწრების ყველა მსურველთ.

გარეგნულად ფუნტიკოვს დინჯათ უჭირავს თავი. კითხვაზე პარტიულ მიმართულების შესახებ, ფუნტიკოვი უპასუხებს, რომ 1905 წლიდან ის იყო სოციალისტ-რევოლიუციონერი, მაგრამ კასპიის იქითა მხარეში თეთრგვარდიელთა ხელისუფლების დამარცხების შემდეგ, მან გამოიცვალა თავისი რწმენა.

მოწმეთა შორის არ არის გოჯოიანი, კუკაევი და ჟუკოვი.

ქავთარაძე სთხოვს სასამართლოს გამოიწვიოს ახალი მოწმეები: **ხტურუა, დოვლათოვი, ალამიროვი, ლეშაკოვი, ლოლობერიძე, არტაკი, დალინი და პანკიანი.**

შემდეგ ქავთარაძე შუამდგომლობს, რათა შეუერთდეს ფუნტიკოვის საქმეს კრასნოვოდსკის ყოფილ ბოქაულის **ალანიას** და მემანქანე **შჩეგოლიუტინის** საქმე.

სასამართლომ დააკმაყოფილა პროხვის შემდეგ, ბრალდებულს მისცეს შეკითხვები.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, სცნობს თუ არა ფუნტიკოვი თავს დამნაშავეთ იმაში, რომ ის იდგა იმ ორგანიზაციის სათავეში, რომელმაც კასპიის იქითა მხარეში 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო, ფუნტიკოვი უპასუხებს:

„ვცნობ".

შეკითხვაზე, ხელს უწყობდა თუ არა ფუნტიკოვი, როგორც ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ინგლისის ინტერვენციას და მოაწერა თუ არა მან ხელი, ფუნტიკოვი უპასუხებს:

„დიახ, ხელშეკრულებას მე მოვაწერე ხელი".



ფუნტიკოვი

კითხვაზე, მიიღო თუ არა მან მონაწილეობა ასხაბადის 9 კომისარის დახვრეტაში, ფუნტიკოვი უპასუხებს:

„დიახ, ვსცნობ თავს დამნაშავეთ".

კითხვაზე, ბაქოს 26 კომუნართა დახვრეტაში მონაწილეობის შესახებ, ფუნტიკოვი უპასუხებს:

„დახვრეტის შესახებ წინასწარ არაფერი ვიცოდი. დახვრეტაში მონაწილეობა არ მიმიღია".

ამით დამთავრდა სასამართლოს პირველი სხდომა.

მიუხედავათ იმისა, რომ სასამართლოს სხდომა დაიხურა, მუშები მაინც არ იშლებიან და ერთი-მეორეს უზიარებენ თავის შთაბეჭდილებებს. სხდომის დარბაზიდან ქუჩაში გასვლა ძნელია, რადგან მთელი ქუჩა, ბუნიატ-ზადეს სახელობის თეატრის წინ, ხალხით არის გაჭედილი.

ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

ლენინგრადი, 17 აპრილი. სამეცნიერო აკადემიის მეცნიერულ ექსპედიციების მდივანმა და პოლიარულ ქვეყნების ცნობილმა მკვლევარმა პროფესორ ვიტენბურგმა გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში გამოსთქვა თავისი მოსაზრებები ამუნდსენის ექსპედიციის შესახებ:

„კაპიტანი ვისტინგი, რომელიც 1922 წელს გაჰყვა ამუნდსენის გემს „მოდ"-ს პოლიარულ ოკეანეში, სცდილობდა გამოერკვია პოლიარულ ოკეანეს საიდუმლოება—პოლიარული აუზის მიუღწეველ ნაწილში ხმელეთია თუ ოკეანე.

ამ საკითხის შესახებ არსებობს ორი სხვადასხვა აზრი. ერთ მათგანს, რომელიც გამოსთქვა **ნანსენმა**, პოლიარული აუზი წარმოდგენილი აქვს ღრმა ორმოს სახით. **ჰარრისი** კი ფიქრობს, რომ აუზის მიუღწეველ ნაწილში ხმელეთია. ამ შესაძლო ხმელეთს უწოდეს ჰარრისის ხმელეთი.

ჰარრისი ფიქრობს, რომ ამ ხმელეთს უჭირავს 500.000 კვ. მილის სივრცე და აქვს ტრაპეციის ფორმა.

რუსეთის ცნობილი ჰიდროლოგი **ვიზე**, რომელმაც გამოიკვლია მიმდინარეობა კარსის ზღვაში, ფიქრობს, რომ პოლიარულ აუზში 78 და 80 გრადუსს შორის არის ხმელეთი, ეგრედწოდებული, ვიზეს ხმელეთი. ამ საკითხს ამუნდსენის ექსპედიცია, თუ ის წარმატებით ჩატარდა, საბოლოოდ გამოარკვევს.

ლენინგრადი, 17 აპრილი. **პოლკოვნიკ ნობილემ ნება დართო ექსკურსიებს და დელეგაციებს დაათვალიერონ დირიჟაბლი ელინგში ყოველდღიურად დღის 12 საათიდან 3 საათამდე.** დირიჟაბლის შიგნითა ნაწილის დათვალიერების უფლება აქვთ მხოლოდ საჰაერო საქმის სპეციალისტებს. პოლკოვნიკ ნობილემ განაცხადა, რომ ის მზად არის პირადათ მისცეს მათ ახსნა-განმარტება.

ლენინგრადი, 17 აპრილი. **16 აპრილს ლენინგრადში ჩამოვიდნენ ამერიკული გაზეთების სპეციალური კორესპონდენტები უოლტერ დიურანტი („ძიუ-იორკ-ტაიმს") და ჯუნუს ვუდი („ჩიკაგო დეილი ნიუზ"), რომელნიც გაზეთებს მიაწვდიან ცნობებს ამუნდსენის გაფრენის შესახებ.**

ლენინგრადი, 14 აპრილი. **დირიჟაბლი „ნორვეგია", რომელზედაც ამუნდსენი გაფრინდა ჩრდილოეთ-პოლიუსზე, სოფელ სალიუზში 7 დღეს დაჰყოფს.**

ლენინგრადი, 17 აპრილი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში დირიჟაბლ „ნორვეგიას" კომანდირმა პოლკოვნიკმა ნობილემ განაცხადა:

„დირიჟაბლი ლენინგრადში დარჩება მანამდე, სანამ შპიცბერგენიდან არ მიიღებს ცნობას, რომ იქ მზად არის მისადგომი ანძა. ამ ცნობის შემდეგ დირიჟაბლის გაფრენა დამოკიდებული იქნება ამინდისაგან.

ექსპედიციის უმთავრესი მიზანია უცნობი ხმელეთის აღმოჩენა, რომლის არსებობა მტკიცდება სერიოზულ სამეცნიერო გამოკვლევებით.

ექსპედიციის გზა მოებარეობს ჩრდილოეთ-პოლიუსზე. ექსპედიცია მიიღებს ყოველივე ზომებს სწორ ასტრონომიულ დაკვირვების საწარმოებლად და ამ პუნქტის სისწორით გამოსარკვევად".

დასასრულ პოლკოვნიკ ნობილემ განაცხადა:

„**მე არ შემიძლია წარმოვიდგინო დირიჟაბლის უფრო მხურვალე და საზეიმო შეხვედრა, ვინემ ის, რომელიც გაუმართეს „ნორვეგიას" ტროცკში. მე მიზნად დავისახე პოლიარული მგზავრობის დამთავრების შემდეგ დავბრუნდე საბჭოთა კავშირში და შევისწავლო რუსული ენა**".

პოლკოვნიკ ნობილეს ცნობით, ამუნდსენი ამჟამად გემით მიემგზავრება შპიცბერგენში.

ლენინგრადში დირიჟაბლის კომანდირის პოლკოვნიკ ნობილეს მისამართზე მოდის მრავალი მისალმება საზღვარ-გარეთიდან და საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.

ლარ ვშოულობთ—სახელდობრ, მან აუცილებლად სცნო მიწის მოწყობის მუშაკთა ნივთიერი უზრუნველყოფა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მიწის მოწყობა ერთ მთავარ საჭიროებათ იქნა ყრილობის მიერ აღიარებული სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში და მისი დაჩქარება და წესიერათ ჩატარება მიჩნეულ იქნა გადაუდებელ ამოცანად.

სახალშენო საქმესაც, რომელიც ორგანიულათ არის დაკავშირებული მიწათმოწყობასთან, ყრილობა დიდის ყურადღებით მოეპყრო.

საქართველოს არა აქვს ამჟამად სახალშენო მიწის ფონდი, პირიქით, მან რომ მოინდომოს მთელი თავისი სოფლის მოსახლეობის დაკმაყოფილება თუნდ იმ ნორმა-მინიმუმით, რაც ჩვენი კანონით არის დაწესებული, მას კიდევ რამოდენიმე ასი ათასი დესეტინა მიწა დააკლდება.

არც მელიორაციას და არც მით უმეტეს, მიწათმოწყობას არ შეუძლია არასოდეს მოგვცეს იმდენი მიწა, რომ ის ეყოს ყველა უმიწაწყლოს და მცირე მიწის მქონეს. საჭიროა გამონახვა სხვა შესაძლებლობისა, რომ მიწით დამშეული ჩვენი მიწის-მუშა მიწის მიღებას ელირსოს. ასეთი შესაძლებლობა ყრილობამ დაინახა საქართველოს საგანაპირო მიწების გამოყენებაში.

სახალშენო საქმის სათანადო დონეზე დასაყენებლად ყრილობამ საჭიროდ დაინახა შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება: სათანადო აპარატის შექმნა, სახალშენო კონტინგენტის გამორკვევა მჭიდროთ დასახლებულ რაიონების გამოკვლევის გზით, გაჯანსაღება სახალშენო რაიონებისა, რომლებიც უმთავრესად მალიარიიან ადგილებს შეიცავენ, მოახალშენეთა უზრუნველყოფა ყოველმხრივი დახმარებით, კერძოდ, ახალშენებში აგრონომიული დახმარების საქმის წესიერათ დაყენება.

ყველა ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭიროა დიდი თანხები, რაც გამონახულ უნდა იქნას, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს—ასეთია ყრილობის გარკვეული აზრი იმ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის შესახებ, ურომლისოდაც თვით მიწათმოწყობა რჩება საეჭვო მდგომარეობაში, რადგან რა შრომამაც არ უნდა გავწიოთ მიწის მოწყობაზე ისეთ ადგილებში, სადაც მიწის სივიწროვეა, მიწის მოწყობა მაინც ვერ მიაღწევს სასურველ შედეგებს და თავის თავად დგება საკითხი: აქვს თუ არა აზრი მიწის მოწყობის წარმოებას ასეთ რაიონებში, თუ იქიდან ზედმეტი მოსახლეობა არ იქნა გადაყვანილი ახალშენებში.

საძოვრების და მათი მოწყობის საკითხი, რამაც უკანასკნელი სამიოთხი წლის განმავლობაში დიდი კამათი და შეხლა-შემოხლა გამოიწვია როგორც ჩვენს რესპუბლიკებში, ისე მთელს ამიერ-კავკასიის ფედერაციაშიაც, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით იქნა ყრილობაზე განჯილ-გაშუქებული. საქართველოს მომთაბარე მესაქონლეობის ბედი და ახლო მომავალი, დამოკიდებულია ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე.

ყრილობამ მიიღო მხედველობაში ის, რომ საქართველოს მესაქონლეობა თანდათან იზრდება, საძოვრების სარგებლობის ფორმები-კი ჯერ-ჯერობით ძველი რჩება; რომ საწარმოო ძალთა განვითარების ინტერესები მოითხოვენ მესაქონლეობის ფორმის შეცვლას, ე. ი. მომთაბარეობიდან მკვიდრ მესაქონლეობაზე გადასვლას; რომ საძოვრები ზედმეტი დატვირთვის გამო გაითელა და გამოიფიტა; რომ საძოვრების ნაკლებობა წლითი-წლობით უფრო და უფრო იჩენს თავს და ავიწროებს მესაქონლეობის განვითარებას. ამისდაკვალად ყრილობამ საჭიროდ დაინახა განხორციელება ღონისძიებათა მთელი რიგისა, რომელთაგან უმთავრესი შემდეგია: საიჯარო საძოვრების ფონდის გამორკვევა დასახელებულ საძოვრების მოწყობით, ე. ი. სანადელო საძოვრების გამოყოფის გზით, სანახირო გზებისა და დასასვენებელ ადგილების გამომიჯვნა, საძოვრების ნაკვეთების მიმაგრება მომთაბარე მესაქონლეებზე, სავეტერინარო პუნქტების მოწყობა სახაზინო გზებზე და საძოვრებზე, ალპიურ ზონების მიერ ნაკარნახევ მომთაბარეობას ხელს არ შეუშლის მეცხვარეობის გამოკვლევა და შესწავლა, საძოვრების განახლება ბალახის თესვითა და დაფარცხვით, გამონახვა საძოვრებისა საქართველოს გარეთ და სხვ.

სავეტერინარო დარგში, როგორც სხვა დარგებში, აღნიშნული იყო დიდი სიმცირე ვეტ-პერსონალის არსებული შტატისა—თითო ვეტ-ექიმზე, საშუალოდ, მოდის 50.000 სული საქონელი (ნორმით უნდა მოდიოდეს—5—10 ათასი სული საქონელი) და 1.050 ოთხკუთხი ვერსის სივრცის რაიონი (ნორმით უნდა მოდიოდეს არა უდიდეს 10 ვერსიანი რადიუსისა); გამოითქვა აუცილებლობა ამ მხრივ არსებულ მდგომარეობის გაუმჯობესებისა, საუბნო-სავეტერინარო ქსელის გადიდებისა, თითოეულ პუნქტში სავეტერინარო ამბულატორიის დაარსებით, შესაფერი მოწყობილობით და დიაგნოსტიური კაბინეტით.

ამას გარდა, საჭიროდ იქნა ცნობილი: სავეტერინარო საქმისათვის კრედიტების გადიდება, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტით, ქალაქებში და დიდ სოფლებში სასაკლაოების ქსელის გაფართოვება, სავეტერინარო-სატრანსპორტო პუნქტების რიცხვის 16-მდე გადიდება, ვეტ-პერსონალის ჯეროვანად უზრუნველყოფა, ყოველწლიურად არა ნაკლებ ორი ვეტერინარის სპეციალურ სავეტერინარო-სამეცნიერო ცენტრებში მივლინება სამეცნიერო მიზნით, რესპუბლიკაში მომუშავე ვეტ-ექიმების რიგ-რიგათ მივლინება შრატის დამამზადებელ დაწესებულებებში სამუშაოდ, სავეტერინარო ცოდნის გავრცელების მიზნით, დაბალ და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში ვეტერინარიის, როგორც სავალდებულო საგნის, სწავლების შემოღება, დროგამოშვებით სავეტერინარო მომავალ სამოსწავლო წლიდან სავეტერინარო ფაკულტეტის დაარსება და სხვ.

ეპიზოოტიებთან ბრძოლის საქმის გასანაყოფიერებლად ყრილობის მიერ საჭიროდ იქნა ცნობილი: მიწსახკომის განკარგულებაში საგანგებო თანხის გადადება საქონლის ჭირთან საბრძოლველად, ამავე კომისარიატთან დროებით მივლინებულ ვეტერინართა რაზმის შექმნა, დროებით სავეტერინარო ცხენოსანი მილიციის დაარსება, შრატის დამამზადებელ დაწესებულებათა პროდუქციის გადიდება, ვეტმოღვაწეთა პერიოდიული თათბირების გამართვა და სხვ.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგისათვის მთავარ საორგანიზაციო ღონისძიებათ აღიარებულ იქნა სოფლად მომუშავე მიწათმოქმედების მოღვაწეთა მუშაობის შეთანხმება-გაერთიანება მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებებთან, ადგილობრივ მომუშავე სპეციალისტებისაგან (აგრონომი, მიწის-მზომელი, ვეტერინარი, სატყეოს გამგე) შემდგარ კომიტეტში, ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით; ამ განყოფილებაში გაერთიანებულ-შეჯამებულ უნდა იქნას მიწათ-მოქმედების ყველა დარგის ორგანოს ადგილობრივ მუშაკთა საქმიანობა.

ცენტრში და ადგილობრივ მომუშავე პერსონალის შორის სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხების გამოსარკვევად და დასამუშავებლად აუცილებლად იქნა ცნობილი მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან სასოფლო-სამეურნეო პერიოდული გამომცემლობის არსებობა.

ასეთია სრ. საქართველოს მიწათმოქმედების ორგანოთა წარმომადგენლების პირველი ყრილობის მუშაობის წინასწარი შედეგები.

ყრილობის ნამუშევარი, როგორც ნათქვამია, ამჟამად სისტემაში მოგვყავს. ახლო მომავალში ყრილობის პლენუმის და სექციების სხდომის ოქმები ცალკე წიგნათ გამოვა. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ყრილობის მთელი მნიშვნელობის სავსებით გაგება და ზედმიწევნით შეფასება. მაგრამ ამ თავითაც, ყრილობის მუშაობის მოკლედ დამახასიათებელ შედეგების მიხედვით. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ყრილობა იშვიათად საქმიანი და ნაყოფიერი იყო, რომ მან სავსებით გაამართლა მასზე დამყარებული იმედები.

მორიგი ამოცანაა—ყრილობის ნამუშევარის, მის მიერ გამოთქმულ სურვილების რეალიზაცია, რაც შესრულებულ უნდა იქნას ცენტრისა და ადგილების შეერთებული ძალღონით.

ა. გეგეჭკორი.

უცხოეთში

რუმინეთი

ავერესკუს მთავრობა

ავერესკუს მთავრობაში უმრავლესობა ეკუთვნის „სახალხო" პარტიას, რომელიც ეყრდნობა ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის და საშუალო გლეხობის ფაშისტურ-რეაქციონურ ნაწილს. მთავრობაში ოთხი გენერალი შედის. გარდა ამისა მთავრობაში შედის 5 წარმომადგენელი სემიგრადიის, რომელიც ომის შემდეგ ძალით შეუერთეს რუმინეთს და ამ დღიდან განუწყვეტლივ იბრძვის ავტონომიისათვის. მაგრამ აღნიშნული 5 მინისტრი როდია ავტონომისტი. ორი მათგანი—გოგი და გროზეა—ავერესკუს „სახალხო" პარტიის წევრებია, ისინი იცავენ რუმინულ ცენტრალიზმს. სამი დანარჩენი კი—გოლდიში, ლაპადატუ და ლუპასი—სემიგრადიის „ნაციონალური პარტიის" წევრები იყვნენ. მაგრამ იმ წამსვე დაივიწყეს თავისი პარტია, როგორც კი ავერესკუმ მათ პორტფელები შესთავაზა.

მთავრობის ყველა ეს წევრები დიდი ხანია ცნობილი არიან თავისი ფაშისტური მიდრეკილებებით. მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა ამ ფაშისტურ სამინისტროში თვით გენერალი ავერესკუ. ის ბესარაბიელი გლეხის შვილია. მოხერხებით და „თავდადებული" სამსახურით ჩქარა გაიკაფა გზა უმაღლეს თანამდებობებისაკენ. პირველათ პოლიტიკურ ასპარეზზე იგი გამოჩნდა 1907 წ., როცა სახელი გაითქვა გლეხთა აჯანყების სისხლში ჩახრჩობით. შემდეგში მას მრავალჯერ ჰქონდა შემთხვევა თავისი სახელი და დიდება ჯალათისა კვლავ განეახლებია—მუშათა მოძრაობის დევნით და გაფიცვების საშინელი სისასტიკით ჩაქრობით. მის სახელთან არის დაკავშირებული ბესარაბიის სამხედრო ოკუპაცია, ხოტინის აჯანყების სისხლში ჩაქრობა, 1920 წ. გაფიცვის საშინელის სისასტიკით ჩაქრობა, რუმინეთის კომპარტიის ბელადების პირველი პროცესი, რუმინეთის საიდუმლო პოლიციის რეორგანიზაცია და უფლებების გაფართოება და სხვა მრავალი საქმენი „საგმირონი". რასაკვირველია, ასეთი „დამსახურების" არდაფასება არ შეიძლება და ამიტომ ავერესკუ ხშირათ მჯდარა პრემიერისა და მინისტრის სავარძელში. უკანასკნელად ავერესკუ 1920-22 წ.წ. იყო პრემიერათ.

მთავრობის პარტიულ შემადგენლობასთან და მისი ცალკე წევრების წარსულის გაცნობის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი იქნება ახალი მთავრობის პოლიტიკა.

ავერესკუ უფრო გაბედულათ, ფაშისტური მეთოდებით განაგრძობს იმავე პოლიტიკას, რომელსაც ატარებდა ბრატიანუ „პარლამენტარული" საშუალებით.

პრესის აზრით მოსალოდნელია ცვლილება რუმინეთის პოლიტიკის ორ პუნქტში:

შესაძლებელია, რომ ავერესკუ შეეცდება კავშირი დაიჭიროს უნგრეთის რეაქციონურ წრეებთან და ამით ბოლო მოეღება გაუთავებელ კონფლიქტს რუმინეთსა და უნგრეთს შორის. მეორე მხრივ, შესაძლებლათ თვლიან, რომ ავერესკუ გააფართოებს აგრარულ რეფორმას—გაადიდებს მემამულეებისათვის ჩამოსართმევ მიწის ნორმას, რადგან მისი პარტია ნაკლებ არის დაკავშირებული მემამულეებთან, ვიდრე ბრატიანუს „ლიბერალური" პარტია. ამით ავერესკუ აპირებს გლეხების გულის მოგებას.

მუშებისათვის, განსაკუთრებით მისი რევოლიუციონური ნაწილისათვის, კომპარტიისათვის—არაფერი არ შეიცვლება, ისინი ისევ იქნებიან ჩადენილი ჯურღმულში, როგორც ბრატიანუს მთავრობის დროს იყვნენ.

აღმოსავლეთი

ეგვიპტე

საპარლამენტო არჩევნების წინ

მაისში უნდა დაიწყოს არჩევნები ეგვიპტის პარლამენტში. არჩევნების მოახლოვებასთან ერთად დაიწყო უთანხმოება ოპოზიციონურ ბლოკში, რომელიც შესდგება სამი პარტიისაგან: „ვაფდ" (სახალხო პარტია), „ვატანი" (სამშობლოს პარტია) და ლიბერალურ-კონსტიტუციონური პარტია. სამივე ეს პარტია წარმოადგენს ეგვიპტის ბურჟუაზიას და ერთმანეთისგან განირჩევიან მხოლოდ ტაქტიკით, ტაქტიკური განსხვავება კი დამოკიდებულია იმაზე, თუ ბურჟუაზიის რომელ ჯგუფს, რომელ ფენას ეყრდნობა ესა თუ ის პარტია.

ლიბერალურ კონსტიტუციონური პარტია წარმოადგენს ბურჟუაზიისა და ბიუროკრატიის იმ ნაწილის ინტერესებს, რომელიც დაკავშირებულია ინგლისთან. ამ პარტიას მემარჯვენე ფრთა უჭირავს ოპოზიციონურ ბლოკში. „ვატანი" ეყრდნობა უმთავრესად რადიკალურ ახალგაზრდობას. და ეს ფიცს სდებს, რომ „იბრძოლებს ეგვიპტის სრული განთავისუფლებისათვის იმ დრომდი, სანამ ერთი ინგლისელი არ დარჩება ეგვიპტის ტერიტორიაზე. ცენტრი ოპოზიციონურ ბლოკში უჭირავს" (სახალხო პარტიას) რომლის სათავეში სდგას ეგვიპტეში ყველაზე პოპულიარული პიროვნება—ზაგლულ ფაშა, რომელიც პრემიერათ იყო ეგვიპტეში ინგლისის ჯარების მთავარ-სარდალის გენერალ-სტეკის მოკვლამდი 1924 წ. ნოემბერში. „ვაფდ" წარმოადგენს ეგვიპტის ახალგაზრდა ბურჟუაზიას, რომელიც მიზნათ ისახავს ეგვიპტის სრულ ეროვნულ დამოუკიდებლობას, მაგრამ არ ამბობს უარს კომპრომისებზე, თუ ეს გარემოებამ მოითხოვა.

ამ პარტიის (ზაგლულ-ფაშას პარტია მეტად პოპულიარულია ეგვიპტეში) ტაქტიკის დასახასიათებლად სანიმუშოა შემდეგი შემთხვევა. 1925 წ. თებერვალში უნდა შეკრებილიყო „სხვადასხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების ნაციონალური კონგრესი". განწყობილება ძალიან გამწვავებული იყო. ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს, რომელიც უნდა მომხდარიყო ზივარ-ფაშას მთავრობის მიერ შემუშავებული კანონის საფუძველზე. კონგრესის შეკრება ძლიერ აშინებდა ზივარ-ფაშას მთავრობას. ფიქრობდენ, რომ მთავრობა აკრძალავს კონგრესსო და მაშინ მოსალოდნელი იყო აღშფოთებული მასების გამოსვლა. მაგრამ საქმემ სულ სხვა ხასიათი მიიღო. რამდენიმე დღით ადრე ოპოზიციის წარმომადგენლებმა წერილობითი მიმართვა გაუგზავნეს მთავრობას, რომელშიც მიუთითებდენ ეგვიპტეში პარლამენტარული რეჟიმის აღდგენის საჭიროებაზე. ზივარ-ფაშა შეეკითხა ოპოზიციას, თუ რომელი საარჩევნო კანონია სასურველი მათთვის. და როცა მიიღო პასუხი, რომ სასურველია წინათ არსებული კანონის აღდგენა, თანხმობა განაცხადა. კონგრესი შეიკრიბა, ზაგლულ-ფაშამ შემარიგებელი კილოთი ილაპარაკა, თითქო არაფერი არ მომხდარაო.

უთანხმოება ოპოზიციონურ ბლოკში დაიწყო ადგილების განაწილების გარშემო მომავალ პარლამენტში. „ვატანი" მოითხოვდა 20 ადგილს მომავალ პარლამენტში. მაგრამ სახალხო პარტიის ინტერესებს არ შეადგენს პარლამენტში უკიდურეს ნაციონალისტების ძლიერი ფრთის არსებობა და ამიტომ დასთანხმდა ვატანისათვის მხოლოდ 10 ადგილის მიცემაზე.

უფრო მეტ დათმობაზე წავიდა სახალხო პარტია კონსტიტუციონერ-ლიბერალური პარტიის მიმართ და დაუთმო მას 45 მანდატი (დღემდე ლიბერალებს მხოლოდ 89 მანდატი ჰქონდათ). ლიბერალებმა მოითხოვეს 70 მანდატი და შეთანხმება კინაღამ ჩაიშალა, მაგრამ უკანასკნელ წუთში სახალხო პარტია უმნიშვნელო დათმობაზე წავიდა (ლიბერალებს და „ვატანის" მიეცა უფლება სამი კანდიდატი წამოაყენონ ცალკე და მათ მოუხდებათ ბრძოლა ზაგლულის პარტიის კანდიდატებთან). ამრიგად გაერთიანებული ოპოზიციონური ბლოკი არჩევნებში მხარს დაუჭერს: სახალხო პარტიის 160 კანდიდატს, ლიბერალების 42 კანდიდატს და ვატანის 9 კანდიდატს.

ოსმალეთი

„ტაიმსის" კორესპონდენტის გაძევება

ანგორიდან გააძევეს „ტაიმსის" კორესპონდენტი მაკ-გარტნეი. რეიტერის სააგენტოს ცნობით მას ძლიერ თავაზიანად მოეპყრნენ, მაგრამ გაძევების მიზეზის განმარტებაზე უარი უთხრეს.

ნაციონალური თავდაცვის კომისარმა რეჯებ-ბეიმ, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად დაბრუნდა ვენიდან, მაკ-გარტნეის გაძევების გამო სთქვა, რომ მომავალშიც რადიკალური და მკაცრი ზომები იქნება მიღებული ევროპიულ გაზეთების იმ კორესპონდენტების წინააღმდეგ, რომლებიც ჭორებს ავრცელებენ ოსმალეთის რესპუბლიკის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

ბრძოლა მტკივნეულ მოვლენებთან კომკავშირის ცხოვრებაში

მოსკოვი, 17 აპრილი. კომკავშირის ცხოვრებაში მტკივნეულ მოვლენებთან ბრძოლის საკითხის შესწავლის მიზნით საკავშირო ა. ლენ. კომკავშირის ცეკასთან დაარსდა საკონფლიქტო კომისია. კომისიაში შედიან: **მილჩაკოვი, ემელიანოვი, რეპინი, მიხალევიჩი და ტარაკანოვი.**

საკავშირო ა. ლ. კომკავშირის ცეკამ დაადგინა დაწყებულ იქნეს აქტიური ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ ახალგაზრდა მუშებსა და გლეხებს შორის შემდეგი ლოზუნგით: „კომკავშირელი მაგარ სასმელებს არ უნდა სვამდეს". ცეკამ აირჩია პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კონკრეტიული ღონისძიებები და დირექტივები დაუგზავნოს ადგილობრივ ორგანიზაციებს ლოთობასთან ბრძოლის შესახებ.

ყველა რაიკომებს, უჯრედებს და ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომებს

იმ მიზნით, რათა მუშათა ფართო მასები გაეცნონ საბჭოთა კავშირის, კერძოთ საქართველოს სამეურნეო მდგომარეობას და თბილისის საბჭოს მუშაობას, საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტმა და საქ. პროფკავშირთა საბჭომ დაადგინეს მოიწვიონ თბილისში მუშათა კონფერენციები.

კონფერენციისათვის მოსამზადებელი მუშაობა ადგილობრივ დავალებული მუშაობა ადგილობრივ დავალებუტებს და ადგილკომებს საქ. კომპარტიის უჯრედთა აქტიურ მონაწილეობით.

თბილისის კომიტეტი და საქ. პროფკავშირთა საბჭო წინადადებას იძლევა კონფერენციებზე განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა.

2. თბილისის საბჭოს მოხსენება.

3. II და VI რაიონებში—**სახ. მეურნეობის საბჭოს მოხსენება**, IV რაიონში—**მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება.**

I რაიონში კონფერენცია არ უნდა გაიმართოს, რადგან მაისში მოწვეული იქნება რკინისგზელთა საუბნო კონფერენცია.

კონფერენციების ჩასატარებლად რაიონებში გამოყოფილი არიან სარაიონო კომისიები.

არჩევნები უნდა დაიწყოს 20 აპრილს.

საქ. კომპ. თბილისის კომიტეტი.
საქ. პროფკავშირთა საბჭო.

პარტმუშაობა ლეჩხუმის მაზრაში

(თემკომების სისტემა სწორი გამოდგა).

წარსულ წელთან შედარებით, ორგანიზაციულ მუშაობას ემჩნევა საგრძნობი გამოცოცხლება. ამას უმთავრესად ხელი შეუწყო თემკომების სისტემაზე გადასვლამ და მათ მიერ მეტი ცოცხალი კავშირის დაჭერამ უჯრედებთან. თემკომების სისტემაზე გადასვლით და გლეხობასთან მეტი ცოცხალი კავშირის დამყარებით,, ორგანიზაციას დაეტყო საგრძნობი ზრდა. 1925 წ. 1-ლ აგვისტოდან მიღებულია პარტიის წევრად 4 და კანდიდატი 63 ამხანაგი. სულ მაზრის მასშტაბით არსებობს 12 თემკომები და 30 უჯრედი. ამათ შორის 27 სოფლის და 3 ქალაქის უჯრედია.

მთელ მაზრაში პარტიულ ხაზით მუშაობა სწარმოებს გეგმის მიხედვით. გაღრმავებულია ცოცხალი კავშირი მაზრკომსა და უჯრედებს შორის. ხდება პერიოდული დათვალიერება უჯრედების და ადგილებზევე ეძლევა მათ შესაფერი მითითებები.

გ. მ.

ჩვენი კავშირი პიონერებთან

მე-5-ე ლეგიონის კომუჯრედს განმტკიცებული აქვს ცოცხალი კავშირი როგორც სოფლის უჯრედებთან, ისე ქალაქის მუშათა უჯრედებთან. გარდა ამისა უჯრედმა მჭიდრო კავშირი დაამყარა პიონერთა ორგანიზაციასთან, მას შეფად ჰყავს აყვანილი, „ტროცკის სახელობის ბავშვთა კოლექტივი". უჯრედის წარმომადგენელი ესწრება ბავშვების სამეცადინო კრებას, უხსნის წითელარმიელთა მუშაობას და ყოფაცხოვრებას, ჩვენი ჯარის საერთო მდგომარეობას, სამხედრო კუთხის შინაარსს და სხვა, რითაც ძლიერ დაინტერესებული არიან ბავშვები. წევრები სარგებლობენ წიგნებით და ბროშურებით ლეგიონის ბიბლიოთეკიდან. პიონერებმა ჩვენს კლუბში ჩაატარეს რევოლიუციონური პიესა, რომელსაც დაესწრნენ როგორც წითელარმიელები, ისე სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ბავშვებმა ჩინებულად ჩაატარეს წარმოდგენა. შემდეგ მოეწყო ექსკურსია წითელ ყაზარმებში. მათ დაათვალიერეს წითელი ჯარის იარაღები, საწოლი და ყოველივე მოწყობილობა. დათვალიერების დროს მათ განმარტებას აძლევდენ არმიელები და მეთაურები. სამწუხაროდ უჯრედმა მატერიალური დახმარება, თავისი სიღარიბის გამო, ვერ აღმოუჩინა კოლექტივს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ეს დაბრკოლებაც ჩქარა გადაილახება.

მ. ჭყონია.

მუშაობა დაწყებულია

(შავიზღვის რკინისგზის 1-ლი უბნის უჯრედი)

გასული წლის ნოემბერში დაარსდა შავიზღვის რკინისგზის პირველი უბნის კომუჯრედი. უჯრედში შედის 16 წევრი და 14 კანდიდატი. უჯრედმა იმ თავითვე შემოიკრიბა გარშემო უპარტიო ამხანაგების საგრძნობი რიცხვი. ხშირად იმართება უპარტიოებთან გაერთიანებული ღია კრებები. დაარსდა აგრეთვე პოლიტსკოლა, რომელშიაც მეცადინეობენ უჯრედის წევრები. უჯრედმა შეფობა მიიღო აგრეთვე ერთ სოფელზე, რომელიც დაშორებულია მაზრისაგან. უჯრედის მუშაობა დაწყებულია, მომავალში ის თანდათანობით გაუმჯობესდება.

კოლია.

პოლიტსკოლის მუშაობა წარმატებით დამთავრდა

(საჭამიასერი, გურია)

საჭამიასერის, ზემოხეთის და კონჭკათის თემებისათვის დაარსებული იყო ერთი მოძრავი პარტსკოლა. სკოლაში პარტიის 90 წევრი და კანდიდატი მეცადინეობდა.

მეცადინეობა უკვე დასრულდა ამ სკოლაში და მსმენელებმა ჩააბარეს გამოცდები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ საკმაოთ დიდი სარგებლობა მოუტანა ამ თემების პარტორგანიზაციას. საერთოდ სკოლების ნაყოფიერი მუშაობისათვის სოფლად საჭიროა შესაფერისი დროს შერჩევა. გლეხობა, თუ თავისუფალია, სიამოვნებით ეწაფება ცოდნას. ამაში დაგვარწმუნა საჭამიასერის მოძრავ პოლიტსკოლის გამოცდილებამ.

აქაური.

მანგლისის თემკომის მუშაობა

მანგლისის თემის ორგანიზაციაში ირიცხება სულ 120 პარტიის წევრი და კანდიდატი. უჯრედის კრებები ეწყობა კვირაში ერთხელ; დღის წესრიგში პირველ ყოვლისა სდგას ადგილობრივი ხასიათის საკითხები. უჯრედების კრებებს თვეში ერთხელ ესწრება თემკომის წარმომადგენელი. გლეხობის ლტოლვა პარტიისაკენ საგრძნობია. შემოდის მრავალი განცხადებები.

ღია კრებებს გლეხები ბლომად ესწრებიან და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას.

ადგილობრივ ინტელიგენციასთან განწყობილება კარგია.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. არის მოჯამაგირეთა კომიტეტი, რომელსაც ჰყავს თავისი რწმუნებულები.

ქალთა შორის მუშაობა ადგილობრივ პირობების მიხედვით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

პარტიის ხელმძღვანელობა კომკავშირის ორგანიზაციაზე კარგია. კომკავშირის წარმომადგენლები ესწრებიან თემკომის პრეზიდიუმის და პლენუმის სხდომებს. სწარმოებს კომკავშირის ჰასაკგადაცილებულ წევრების პარტიაში მიღება. კომკავშირის ორგანიზაციაში ამ ჟამად არის 132 წევრი. პიონერთა ორგანიზაციაში კი ირიცხება 450 ბავშვი. თემის პარტორგანოები სათანადო ხელმძღვანელობას უწევენ თემის ორგანიზაციებს (კოოპერატივს, სოფლის საბჭოებს და სხვა). საბჭოთა არჩევნები მანგლისის თემში დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. გლეხკომის მუშაობა მოიკოჭლებს. ადგილობრივ პარტორგანიზაციას აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება და ღებულობს ზომებს მისი მუშაობის გამოსასწორებლად. თემკომს აქვს წინასწარ შემუშავებული გეგმა, რომელიც საფუძვლად უდევს მის ყოველდღიურ მუშაობას.

მანგლისელი.

ქალთა შორის

ქალთა წრე დაიშალა

(ხორგა, ზუგდიდის მაზრა)

ხორგის თემში ქალთა შორის მუშაობა ძალიან მოისუსტებს. 1925 წელში არსებობდა დელეგატ ქალთა წრე, სადაც მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობდა, მაგრამ ეს წრე დაიშალა.

1926 წლის განმავლობაში კი ერთხელაც არ ჩამოსულა მაზრის ქალთა განყოფილების გამგე ან ინსტრუქტორი, რათა ისევ მოეწყო ხორგის თემში დელეგატ ქალთა წრე. ამ საქმის გაკეთება ჩამოუსვლელადაც შეეძლებოდა. ქალთა განყოფილებას შესაფერისი დავალება უნდა გამოეგზავნა ადგილობრივ მუშაკებისათვის, რადგან ისინი თვით ვერ იჩენდენ თაოსნობას. ქალთა წრის დაარსება არ არის ძნელი ჩვენს თემში, თუ ამაზე იზრუნებს შესაფერისი ორგანიზაცია.

უგურყელი.

პარტიული ქრონიკა

სამშაბათს, 20 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის ც. კ. ბინაზე (რუსთაველის გამზ. 22) შესდგება **საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის სხდომა.**

სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება.

ორშაბათს, 19 აპრილს, საღამოს 6 საათზე მუშათა ახალი კლუბის ბინაზე (სასახლის ქ. № 5) შესდგება ქალაქის რაიონის აგიტპროპორგანიზატორების თათბირი.

ეკონომიური ცხოვრება

ა.-კ. ფინსახკომში

მომჭირნეობისათვის

ხვალ, 19 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ამიერ-კავკასიის ფინსახკომის ბინაზე ამხ. **გუსეინოვის** თავმჯდომარეობით შესდგება ფართო თათბირი, რომელიც განიხილავს მომჭირნეობის და ფინანსიური კონტროლის საკითხებს.

თათბირს დაესწრებიან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ყველა უწყებების კრედიტების განმანაწილებლები, რომლებიც თბილისში იმყოფებიან და აგრეთვე პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

თათბირი მომჭირნეობის შესახებ ბათუმში

ბათუმში შესდგა ქალაქის აღმასკომის პლენუმის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა მომჭირნეობის საკითხები.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის საფინანსო-საკანტროლო სამმართველოს უფროსმა ამხ. ავაკიანმა მოხსენება გააკეთა საფინანსო კანტროლის ამოცანების შესახებ. მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს სახალხო თანხების კანონიერათ, მომჭირნეთ და მიზანშეწონილად ხარჯვას. აღმასკომის პრეზიდიუმს წინადადება მიეცა გაორკეცებული ბრძოლა აწარმოოს ყოველგვარ დავალიანებასთან, ავანსების გაცემასთან, მიზანშეუწონელ ხარჯებთან და სხვა.

დასასრულ თათბირმა მოუწოდა ყველა პასუხისმგებელ ამხანაგებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ საფინანსო კანტროლის შენიშვნებს და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მუშაკებს ჩვენი ფინანსების გაჯანსაღების საქმეში.

კოოპერაცია

წარმოკავშირში

აბუსალათინის დათესვა

წარმოკავშირი წელს სთესავს 500 დეს. აბუსალათინს (клещевина); 400 დესეტინას ყარაიას რაიონში, დანარჩენს—ბორჩალოში.

თესლი უკვე მიღებულია და ურიგდება ქვედა საფეხურის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს.

რამოდენიმე დესეტინა აბუსალათინი დაითესება აგრეთვე დასავლეთ-საქართველოში.

დამზადებულ აბუსალათინს ჩაიბარებს "სელსკოსოიუზი". წინასწარი ვარაუდით თვითეულ დესეტინაზე საშუალოდ მოვა 10—60 ფუთამდე აბუსალათინი.

კანაფი

წარმოკავშირმა ხელშეკრულება დასდო უკრაინის საფეიქრო ტრესტთან 600 დესეტინა კანაფის დათესვის შესახებ; აქედან 400 დესეტინა დაითესება აღმოსავლეთ და 200 დესეტინა დასავლეთ-საქართველოში.

სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობების გაერთიანება

თანახმად საკავშირო პარტორგანიზაციის დადგენილებისა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა და წარმოკავშირმა შეიმუშავეს შეთანხმება სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობების გაერთიანების შესახებ.

კოოპერაციის ამ ორი სისტემის გაერთიანება მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ძირითადი ქსელის გაჯანსაღებას; რეორგანიზაციის შედეგად მიღებული უნდა იქნეს კოოპერატიულად მაგარი და სამეურნეო საქმიანობით დატვირთული კოოპერატიული ამხანაგობა.

სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხ. გაერთიანება მოხდება შემდეგი წესით:

1. სადაც ერთსა და იმავე პუნქტში არსებობენ ერთის მხრივ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და მეორეს მხრივ საკრედიტო ამხანაგობა, ასეთები გაერთიანდებიან. ასეთი პუნქტები მთელ საქართველოში არის 46.

2. სადაც პუნქტში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არსებობს, მაგრამ არ არის საკრედიტო ამხანაგობა, საკრედიტო ფუნქციები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ეძლევა. ასეთი პუნქტები საქართველოშია შვიდი.

3. სადაც პუნქტში საკრედიტო ამხანაგობა არსებობს, მაგრამ არ არის სას.-სამეურნეო კოოპერატივი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ფუნქციები საკრედიტო ამხანაგობას მიეცემა. ასეთი პუნქტები საქართველოშია 76.

მუშაობა ამხანაგობების გასაერთიანებლად ადგილებზე დაიწყება 20 აპრილიდან.

მოკავშირე ამხანაგობების გაწმენდა

წარმოკავშირის ახალმა გამგეობამ მოახდინა თავისი მოკავშირე ძირითადი ამხანაგობების გაწმენდა. უმოქმედო და მეტათ სუსტი ორგანიზაციები გამორიცხული იქნენ წარმოკავშირის წევრობიდან.

164 ორგანიზაციიდან გამორიცხული იქნა 46 ორგანიზაცია, დარჩა 118. სათანადო გამოკვლევების შემდეგ მოხდება დარჩენილი ორგანიზაციების განმეორებითი გაწმენდა.

მატყლის დამზადება

წარმოკავშირმა თავის მოკავშირე მეცხვარეთა ორგანიზაციებს დაურიგა ავანსები მატყლის დასამზადებლად.

დადებულია ხელშეკრულება საქციო საზ-ბა „შერსტ"-თან 30.000 ფუთი გაზაფხულის მატყლის დამზადების შესახებ. მატყლის მიღება უკვე დაიწყო. მატყლის დამზადებას აწარმოებენ „მწყემსი", „ბირლიკი" და „თერგის-ხევი".

სასოფლო მეურნეობა

სახალხო მეურნეობის საკანტროლო ციფრები

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებია საქართველოს სახალხო მეურნეობის საკანტროლო ციფრები.

16 აპრილს კომისიამ წარადგინა საგეგმო კომისიის პრეზიდიუმში მოხსენება საკონტროლო ციფრების გამომუშავების მსვლელობის შესახებ.

საკანტროლო ციფრების შედგენის მუშაობის წარმატებით დასამთავრებლად საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო მოწვეულ იქნეს საკანტროლო ციფრების შედგენაზე მომუშავეთა ამიერ-კავკასიის კონფერენცია იმ მიზნით, რომ გამომუშავებული იქნეს სწორი სისტემა და ერთნაირი მეთოდები ამ დარგში მუშაობისათვის.

ვინაიდან საკანტროლო ციფრები დაჩქარებით უნდა იქნეს წარდგენილი ცენტრში, საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა სთხოვოს ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიას, რომ საკანტროლო ციფრების შედგენაზე მომუშავეთა კონფერენცია მოწვეული იქნეს არა უგვიანეს აპრილის ბოლო რიცხვებისა.

თათბირი აღმშენებლობის შესახებ

უკანასკნელი სხდომა

გუშინ დილით შესდგა თათბირის უკანასკნელი პლენარული სხდომა, რომელზედაც ეკონომიური და ტეხნიკური სექციების ხელმძღვანელებმა ინჟ. **სამოილოვმა** და პროფ. **ზავრიევმა** მოხსენებები გააკეთეს სექციების მუშაობის შესახებ; მათ მიერ წაკითხული იქნა აგრეთვე სექციებში დამუშავებული რეზოლიუციები თათბირის დღის წესრიგში დასმულ ცალკე საკითხების შესახებ.

პლენუმმა დაამტკიცა წარმოდგენილი რეზოლიუციები, რის შემდეგ ამხ. **გუსეინოვმა** თათბირი დახურულად გამოაცხადა.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. **გუსეინოვმა** ჯამი გაუკეთა თათბირის მუშაობას და აღნიშნა, რომ თათბირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საფუძვლად უნდა დაედვას შემდგომ მუშაობას აღმშენებლობის დარგში; თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებით აღმშენებლობა დადგება მტკიცე ნიადაგზე და მას გეგმაშეწონილი ხასიათი მიეცემა.

აგარაკები თბილისის მაზრაში

თბილისის მაზრის აგარაკებს შორის თბილისის აღმასკომს აქვს ისეთი აგარაკები, რომელსაც იჯარით აძლევს იმ პირებს, ვისაც სურთ საზაფხულო დასვენება.

იმ ოთახების საერთო რაოდენობა, რომელიც გაქირავებულ იქნება მსურველებზე,—უდრის 1.100.

ოთახის საშუალო ზომა უდრის 35-40 კვადრატ. არშინს. ყველა ოთახების საცხოვრებელი მოედანი 40-40 ათასს კვადრატ. არშინს მიაღწევს.

ოთახები საცხოვრებლად ეძლევათ მოაგარაკეებს 1 ივნისიდან პირველ ოქტომბრამდე.

ქირა ხდებათ ნიხრის მიხედვით, რომელიც მომავალი საგარაკო სეზონისათვის ჯერ არ არის გამომუშავებული.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სექციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგარაკების კეთილმოწყობას და ამ მიზნით, პირველ რიგში მოაწესრიგა მოაგარაკეებისათვის წყლის მიწოდების საქმე.

წყნეთსა და მანგლისში გაყვანილ იქნა ახალი წყალსადენები, ხოლო დანარჩენ აგარაკებზე გასუფთავებული და სავსებით მოგვარებულ იქნა ჭები და წყაროები.

ამ ჟამად სეზონის დაწყების მოახლოვების გამო, დაწყებულ იქნა ყველა ოთახების საფუძვლიანი შეთეთრება და დეზინფექცია.

ამ გვარად მსურველს ოთახი გადაეცემა იმ სახით, რომ არ იქნეს მავნებელი, ის ოთახიც კი, სადაც წინა წლით გადამდებიანი სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფი სცხოვრობდა.

გარდა ამისა მიმდინარე სეზონისათვის კოოპერატივების საშუალებით მოწესრიგებულ იქნება მოაგარაკეებისათვის საჭმელი პროდუქტების (მათ შორის ხორცის) მიწოდების საქმეც.

სავსებით უზრუნველყოფილია აგრეთვე სამკურნალო დახმარების საქმეც აგარაკებზე. ყველგან—თბილისის აგარაკებზე მუშაობენ ექიმები და აფთიაქები. დაზღვეულთ საექიმო დახმარება და წამლები მიეცემათ უფასოთ.

კოჯორში, როგორც სპეციალურ საბავშვო აგარაკზე, იმუშავებენ საბავშვო ექიმები.

მანგლისში ეწყობა მზის ვანების სამკურნალო.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა მუშაობას რესპუბლიკის ყველა დაწესებულებების ტეხნიკური აპარატის გასაუმჯობესებლად.

ინსპექციამ დაამთავრა სოფლის საბჭოების და სათემო აღმასკომების გამოკვლევა; საბჭოებში და აღმასკომებში შემოღებულ იქნა საქმის წარმოების ახალი სისტემა, რომელიც შემუშავებულია მუშათა და გლეხთა ინსპექციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების თათბირის მიერ.

სოფლის საბჭოების და სათემო აღმასკომების მუშაკებმა ადვილად შეითვისეს საქმის წარმოების და ანგარიშწარმოებას ახალი სისტემის ყველა ფორმები და მეთოდები.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის დადგენილებით, სამაზრო ცენტრებში სასწრაფოდ უნდა მოეწყოს შვიდდღიანი კურსები სათემო აღმასკომების მდივნების გადასამზადებლად. ამ მიზნით მუშათა და გლეხთა ინსპექციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილი იქნება სპეციალური ინსტრუქტორები.

გადაწყვეტილია, რომ ახალი საბიუჯეტო წლიდან ცენტრალურ დაწესებულებებში შემოღებული იქნეს სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის ინსტრუქტორების სპეციალური თანამდებობანი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ გადაწყვიტა ყველა დაწესებულებებთან და სახალხო კომისარიატებთან დასდოს სპეციალური ხელშეკრულებები, რომლებიც მოაწესრიგებენ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის საჭირო მუშაობას.

პირველ რიგში სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია ჩატარებული იქნება საბჭოთა მეურნეობებში, შრომის ბირჟებში, კოოპერატიულ აპარატში და სასამართლოს ქვედა საფეხურის აპარატში.

საბჭოთა საქართველო

შავი-ქვის ექსპორტი

ფოთი, 17 აპრილი. 1-დან 15 აპრილამდე გავიდა უცხოეთის 4 გემი, რომლებმაც წაიღეს საფრანგეთში—900, ჰოლანდიაში—5,249 და ამერიკაში—7,000 ტონა შავი-ქვა.

ქალაქის რკინისგზის სადგური

ოზურგეთი, 17 აპრილი. 15 აპრილიდან მუშაობს ქალაქის ახლად გახსნილი რკინისგზის სადგური.

საადგილ-მამულო კოლეგიები

ახალსენაკი, 17 აპრილი. სამაზრო აღმასკომთან მოეწყო სადგილ-მამულო კოლეგია, რომელმაც უნდა გაარჩიოს საჩივრები მიწის შესახებ.

წინადადება მიეცა ყველა სათემო აღმასკომებსაც გამოჰყონ ასეთივე კოლეგიები ორ-ორი კაცის შემადგენლობით.

1 მაისისათვის

ახალსენაკი, 17 აპრილი. მაისის დღესასწაულის ჩამტარებელ სამაზრო კომისიამ შეიმუშავა ამ დღესასწაულის ჩატარების პროგრამა.

მოეწყობა უფასო წარმოდგენები. დღესასწაულის დღეს თავისუფლების მოედანზე გაიმართება მიტინგი პროფესიონალურ, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მონაწილეობით. გამოვლენ ტანთმოვარჯიშენი და სხვ.

გზატკეცილის შეკეთება

ლიუქსენბურგი, 17 აპრილი. დაიწყო გზატკეცილების შეკეთება 4 კილომეტრის მანძილზე სოფელ არუხლოსა და ყიზილ-აჯლოს შორის.

თოვლის გადნობის შემდეგ

ლიუქსემბურგი, 17 აპრილი. ამას წინად მოსულმა თოვლმა დიდი ზარალი მიაყენა მესაქონლეობას, დაიღუპა რამოდენიმე ათასი სული ნორჩი ბატკანი. მაზრაში თივის დიდი ნაკლებობაა. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებამ („ქართუშლიკ“) თივა მახლობელ რაიონებიდან გამოიწერა.

აჭარისტანი
კოოპერატიული ქსელი

ბათომი, 17 აპრილი. აჭარისტანის მაზრებში 38 კოოპერატიული დუქანია. კოოპერატივების წევრების რიცხვი 4,500 კაცს უდრის.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

ბათომი, 17 აპრილი. ქობულეთის მაზრის ლიკპუნქტმა მარტის განმავლობაში გამოუშვა 980 მსმენელი, აქედან 80 აჭარელი ქალია.

ბიდონის ქარხანა

ბათომი, 17 აპრილი. აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველოს ბიდონის ქარხანამ მარტის განმავლობაში 42,000 ბიდონი დაამზადა.

პროგრამა მთელი ასი პროცენტით არის შესრულებული.

კოოპერაციაში მოსახლეობის ჩაბმა

ბათომი, 17 აპრილი. ქობულეთის მაზრაში კოოპერაციის წევრთა რიცხვი 800-დან 1,140-დე გაიზარდა.

საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის განახლისება
(ახალ-სენაკი)

ახალ-სენაკის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობაში უკანასკნელ დროს უთანხმოებამ იჩინა თავი.

ამას ხელი შეუწყო გამგეობის თავმჯდომარე ადამიას დაპატიმრებამ, რომელსაც მატარებელში, როგორც თვითონ განაცხადა, მოპარეს 1920 მან. ამხანაგობის გასასესხებელი ფული. ამის შემდეგ გამგეობის სალაროს დიდი დეფიციტი დაეტყო.

საჭირო შეიქნა საქმის გამოსწორება.

ამიტომ 11 აპრილს მოწვეულ იქნა საკრედიტო ამხანაგობის არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 200-მდე წევრი. ქუთაისის სახ. სამ. ბანკის თ-რე ამხ. გოლეთიანმა გააკეთა მოხსენება საკრედიტო ამხანაგობის მნიშვნელობის სესხების გაცემის და ანაბარების შემოტანის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გ. თოფურიამ გამგეობის 6 თვის მუშაობის შესახებ გააკეთა მოხსენება, სადაც აღნიშნა დეფიციტიანობის მიზეზები.

კამათის შემდეგ, არჩეულ იქნა სრულიად ახალი გამგეობა, სადაც შევიდნენ: თ—რეთ კიზირია, წევრებად საჯაია და ჯოჯუა.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა 3 კაცი.

უჩა.

რით აიხსნება ასეთი გარჩევა?
(აბაშა, სენ. მ.)

ჩვენი სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა დიდ დახმარებას უწევს გლეხებს.

ამხანაგობას აქვს ერთი ტრაქტორი, რომელზეც დიდი მოთხოვნილება არსებობს.

მაგრამ ამასთანავე გამგეობის მუშაობას ბევრი ნაკლიც ახლავს, რომელიც უნდა გამოსწორდეს. არის ასეთი შემთხვევა: ზოგიერთ წევრს ამხანაგობა სესხს აძლევს გრძელი ვადით, მაგ.; 9 თვით და კიდევ მეტი, ზოგს კი 3 თვის და უფრო ნაკლები ვადითაც. ღარიბი გლეხი ვერ ახერხებს ვალის ასეთ მოკლე ვადაში გასტუმრებას, რის გამო ამხანაგობას ხშირად სასამართლოში გადააქვს მათი საქმე.

იყო შემთხვევა, რაც 9 თვის გაცემული სესხის ვადა გაუგრძელეს, ხოლო სამ თვიანებს კი ამის საშუალება არ მისცეს. გამგეობამ უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

პერო.

აღმშენებლობა სამიქაოს თემში
(სენაკის მ.)

ამ თემში ორი წლის უკან, სკოლის შენობები უვარგისი იყო და ნახევრად თითქმის დაუხურავი. წვიმიან დღეში მეცადინეობა შეუძლებელი იყო, თემში არ იყო კოოპერატიული სავაჭრო და სხვა.

ამ ჟამად სკოლები შეკეთებულია, სოფ. მაიდანში შეძენილია სკოლისათვის შენობა, მოწყობილია კოოპერატიული სავაჭროები, როგორც სოფ. სამიქაოში, ისე მაიდანში, გამართულია კოოპერატიული სავაჭროები. თემის მშრომელი გლეხობა ძლიერ კმაყოფილია.

თემში არსებობს ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, საექიმო პუნქტი და სამკითხველო; რომლებშიაც მუშაობა თავის დონეზე სდგას.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობენ თემის საკეთილდღეოთ, რამაც უკვე მოიტანა სათანადო ნაყოფი.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება თემში არსებულ კერძო სავაჭროებში, ადგილი აქვს ნარდის და კარტის თამაშს, რასაც დროზე უნდა მიექცეს ყურადღება ადგილობრივ ამხანაგების მიერ.

გ. ღენიავა.

გაფლანგული კოოპერატივი
(ვანის რაიონი, ქუთაისის მაზრა)

ვანის სარაიონო ცენტრში არსებობდა კოოპერატივი. ამ კოოპერატივის მთელი ქონება გაფლანგეს თანამშრომლებმა, რომლებიც დღესაც ბრძანდებიან ქუთ. გამსახლში. გამსახლში ისინი მხოლოდ მაშინ მოათავსეს, როცა მთელი ქონება გაფლანგული იყო უკვე, მანამდის კი სარევიზიო კომისიას ეძინა.

აირჩიეს ახალი გამგეობა, მაგრამ ნათქვამია: „რომელი მთის იმედი ჰქონდეს, იმ მთამ დაგითოვოსო“.

ვანის კოოპერატივი გაკოტრების გზაზე დადგა, გლეხობაში ავტორიტეტი დაჰკარგა. გამგეობის თავმჯდომარე **იაგორ მესხი**, როგორც ძველი მამასახლისის მწერალი, სეირნობას ნაჩვევია და დადის ქუთაისსა და ვანს შუა.

მან გაყიდა ეპოს ცხენი 150 მანეთად.

დღეს ჩვენს ეპოში არის მოანგარიშე და ნოქარი.

ნოქარი კრებებზე არის აყუდებული და მოანგარიშე კი ძველი ვალების ანგარიშს უნდება. დარაჯი მთლად თავისუფალია იმიტომ, რომ დასაგველი არაფერია, ვინაიდან კოოპერატივში არავინ დადის და იატაკიც სუფთაა მუდამ.

ა. მ. ორხველიძე

წერილებიდან

მუხიანი, (ქუთ. მაზრა)

მატყუარა მოიჯარადრე. სამტრედიის აღმასკომს მუხიანიდან მიაქვს ქვა. ქვის მუშაობა მინდობილი აქვს კერძო მოიჯარადრე ნიკო ფუთურიძეს. ის შეჰპირდა გლეხებს საჟენ ქვაში 13 მანეთს. გლეხებმა ჩააბარეს მას ქვა, მაგრამ ფუთურიძემ პირობა აღარ შეასრულა და 13 მანეთის მაგიერ გლეხებს 8 მანეთი შეაძლია.

ვინ მოსთხოვს ამ მატყუარას პასუხს?

მუშა.

დილიკაური, (შორ. მაზ.)

მუშაობა დაიწყო. ახალი საბჭო უკვე შეუდგა მუშაობას. არჩეულია სექციები. სასკოლო სექციას დაევალა იზრუნოს სკოლისათვის ბინის მოწყობაზე, პარტების შეძენაზე და სამკითხველოს მოწყობაზე.

საბჭოს მიერ არჩეული ყველა სექციები უკვე შეუდგენ საქმიან მუშაობას.

ა. სალაძე.

ციხის-ძირი, (ქნის ხეობა)

მგლების ხროვამ ცხვარი დააზარალა. ცხრა აპრილს ქნის ხეობაში სოფელ ციხის-ძირის ახლო დაბანაკებულ ცხვარს მგლის ხროვა შეესია და 140 ცხვარი დაგლიჯა. მგლებმა დააქციეს აგრეთვე გლეხის საქათმე და ქათმები სულ დახოცეს.

მგლები გათამამდენ და სოფელსაც არ ერიდებიან. მათ წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა შეერთებული ძალით.

ვორთამაშვილი.

სანდროს ოსტატობა
(ს. ფშაველი, თელ. მ.).

დიდხანს ჰყავდა მასწავლებელ სანდრო რამაზაშვილს მიზანში ამოღებული სკოლის დარაჯი მორბედაძე. არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ მორბედაძე როგორც დარაჯი უვარგისი იყო. პირიქით, სკოლას კარგათ უვლიდა, დავალებებსაც წესიერათ ასრულებდა, სისუფთავესაც თვალყურს ადევნებდა, მაგრამ არ მოსწონდა და არა რამაზაშვილს მორბედაძე.

რა იყო ამის მიზეზი, არავინ იცოდა. ბევრი უხიმანკლა ათვალისწუნებულ დარაჯს მასწავლებელმა, საწადელი კი ვერ გაიმართლა. მაგრამ რამაზაშვილს, როგორც იტყვიან, ბედი კალთაში ჩაუვარდა. მოხდა სასწაული მის თავზე და რამაზაშვილი სკოლის გამგეთ დაინიშნა, ამასთანავე ის ადგილკომის მდივნობითაც გააბედნიერეს.

რაღა უნდოდა მეტი სანდროს? ადმინისტრაციაც ის გახდა და პროფკავშირიც. სკოლის გამგე სანდრო რამაზაშვილი ადგენს დარაჯ მორბედაძის სამსახურიდან მოხსნას, ადგილკომის მდივანი სანდრო რამაზაშვილი ადასტურებს დარაჯის დათხოვნას. მოდი და ნუ დაგმობ ამის შემდეგ ჩვენი პროფკავშირების და დაწესებულებების ბიუროკრატიზმს. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ამაზე უკეთესი ვის მოლანდებია?

მაგრამ ეს რა უნდა იყოს. თქვენ სანდროს ოსტატობას აქ დამიხედეთ. ვერ მოასწრო ფშაველის სკოლის ადმინისტრაციამ და პროფკავშირმა დარაჯ მორბედაძის დათხოვნის საკითხის შეთანხმება, რომ განთავისუფლებულ თანამდებობაზე თავი ამოჰყო ახალმა კანდიდატმა—ტატიანა ტისჩენკომ.

აქაც იგივე შრომის მეცნიერული ორგანიზაციაა. ტატიანა ტისჩენკო დარაჯი, გამგის ხელქვეითი, როცა ის სკოლის კედლებში იმყოფება და ტატიანა ტისჩენკო სანდროს პატივცემული მეუღლე, მისი თანასწორი ამხანაგი და ჭირ-ვარამის მოზიარე, როცა ადმინისტრატორი და მისი ხელქვეითი სკოლის კედლებს გარეთ იმყოფებიან.

იდეა საუცხოვოა, თქვენ ნუ მომიკვდებით. ადმინისტრაცია, პროფკავშირი, ხელქვეითი—ყველა ერთ მჭიდრო ოჯახს წარმოადგენენ. მუშაობაც შეხმატკბილებულია და სარგებელიც ხომ არის და არის.

მართალია, ფშაველის სკოლის დარაჯს... უკაცრავად, სანდროს მეუღლეს ჯერ-ჯერობით თანამდებობის ასრულება არ დაუწყია, მაგრამ ნიადაგი უკვე მზათაა. ტატიანა ტისჩენკო უკვე კავშირის წევრი გახლავთ. მოგეხსენებათ, ძნელია სამსახურში მოხვედრა უკავშიროთ. ეხლა გზა გაკაფულია, ქმარი სკოლის გამგე, ქმარი ადგილკომის მდივანი, რედიკულში პროფკავშირის ბილეთი, რაღა დაუდგება წინ ტატიანას დარაჯობას? იკითხოს მხოლოდ მორბედაძემ, რომელმაც დროზე ვერ შეიგნო შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მნიშვნელობა და ვერ მიხვდა იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ ქმარი საყვარელ ცოლს მორბედაძეს კი არა საკუთარ თავსაც ანაცვალებს.

ნადიკვრელი.

თავგასული კაჭარავა
(სუფსა, გურია)

ღირსეული საბჭოთა ადმინისტრატორი უსაქმოდ არასოდეს არ მოიწყენს. განა წესრიგის დაცვა იმაში გამოიხატება, რომ გინდა აღმოაჩინო ბოროტმოქმედი იმისდა მიუხედავათ არსებობს თუ არა ასეთი შენს რაიონში? პირიქით, რაც უფრო დამშვიდებულია კუთხე, რაც უფრო ნაკლებ ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი, მით უფრო მოხარული უნდა იყოს ადმინისტრაცია, მით უფრო სასახელოა მისთვის ასეთი მდგომარეობა.

რკინის გზის საგანგებო კომისიის რწმუნებული სადგურ სუფსაში კაჭარავა, სულ სხვანაირათ მსჯელობს. მოგეხსენებათ, ეს სადგური პატარაა, ხალხის მოძრაობაც არც დიდია, რომ ისეთმა საქმის მოყვარულ წესრიგის დამცველმა, როგორიც კაჭარავაა, არ მოიწყინოს.

ბევრი უცადა შემთხვევას კაჭარავამ, ბევრი უთვალთვალა გამვლელ-გამომვლელთ, მაგრამ ყველას გვრიტებივით მშვიდათ ეჭირათ თავი და აბა რა მიზეზს მოსდებდა გულმოდგინე ადმინისტრატორი.

ბოლოს, როგორც იქნა, კაჭარავას ბედმა გაუღიმა. ის იყო ბაზრობა დამთავრდა. სადგურის ბაქანზე მატარებლის მოლოდინში გლეხებს დაეყარათ თავი. ვინ ნავაჭრი საქონლით მიეჩქარებოდა სახლისკენ, ვინ კიდევ ნავაჭრი ფულებით და ვინ თავის პირად ან სხვა საქმეზე. სადგურში ერთი სიტყვით ხალხის დიდი მოძრაობა იყო.

კაჭარავა ქორივით აბრიალებდა თვალებს მისი ყურადღება მიიპყრო ხინოშვილის თემის მცხოვრებ ინვალიდ გლეხმა ჩხარტიშვილმა. მივარდა წამსვე კაჭარავა ჩხარტიშვილს და ცემა-ტყეპით შეათრია თავის სამორიგო ოთახში. მაგრამ ის, რაც ბაქანზე დღე დაადგა ჩხარტიშვილს, შაქარი იყო იმასთან შედარებით, რაც სამორიგო ოთახში უბედურება მოუვიდა მას.

აქ კაჭარავამ მუშტებისა და წიხლების გარდა ხმარებაში იარაღიც გაუშვა. ისეთი დღე დააყენა ინვალიდ ჩხარტიშვილს, რომ მისი გულშემზარავი კვნესა-ყვირილი იქაურობას იკლებდა. ოთახთან თავი შეიყარა აღშფოთებულმა მგზავრებმა, მაგრამ კაჭარავას შიშით კრინტი ვერავის დაეძრა.

ასეთი, უკაცრავად ხსენებაა, წესრიგის დამცველნი მხოლოდ უწესრიგობას და უკმაყოფილებას თუ უწყობენ ხელს მოსახლეობაში. გარდა ამისა ისინი ჩირქს სცხებენ საბჭოთა ადმინისტრაციის პატიოსან სახელს და თავის მოქმედებით ძველი დროის დერჟიმორდებს მოგვაგონებენ.

დამხწრე.

გზა ავტო მობილს
(წერილი ზუგდიდის მაზრიდან)

ყოველთვის შეფერხებული იყო ფოსტის გადატანა ზუგდიდ-სენაკ შორის. ეს საქმე პირველად იჯარით იყო გაცემული კერძო მეფაეტონეზე, რომელსაც დაქონდა ისე, როგორც მას ესიამოვნებოდა. შემდეგ როდესაც გაიხსნა ავტომობილების მოძრაობა, ფოსტის გადატანა იჯარით გადაეცა ა.-კ. რკინისგზათა სამმართველოს, რომლის ავტომობილებიც მოძრაობდა სენაკ ზუგდიდ შორის.

ამის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა სოფლად ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე. თუ წინეთ კვირაში ერთხელ ნახავდა გლეხი გაზეთს, ეხლა ყოველდღე ღებულობს ახალ ჟურნალ-გაზეთებს. მაგრამ დიდი მოძრაობისაგან გზატკეცილი ისე გაცვდა და დაზიანდა, რომ მაზე მგზავრობა შეუძლებელი ხდება.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება. გამოსავალი თვით მდგომარეობიდან არის მხოლოდ შემდეგი: ან შეკეთება გზატკეცილის, რომ შესძლონ ავტომობილებმა სისტემატიურად სიარული. ან და ფ.-ტ. სამმართველომ უნდა იზრუნოს, რომ არ შეფერხდეს ფოსტის გადატანის საქმე. თუ კი გზები არ იქნება შეკეთებული, ფოსტის გადატანა უნდა გადაეცეს შ. ზღვის რკინისგზის სამმართველოს, სენაკიდან ხეთამდე, ან სენაკიდან ზუგდიდამდე. ზუგდიდამდე შავი ზღვის რკინისგზაზე მოძრაობა დაიწყება ა.-წ. 1 მაისიდან.

ა. ივლიანიშვილი.

მუშაობას შეუდექით
(სენაკი)

ქალაქის ახალი საბჭო უკვე შეუდგა მუშაობას, ქალაქის საბჭოს მეორე საქმიან სხდომაზე გადაწყდა, რომ სხდომის დრო საბჭოს წევრებს ეცნობოს უწყებაზე ხელის მოწერით. ხოლო უწყებაზე უნდა იქნეს აღნიშნული წინდაწინ საბჭოს დღიური წესრიგი, რომ ამით მიეცეს წევრს საშუალება მოფიქრებული დასკვნა გამოიტანონ სხდომაზე ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

შემდეგ საბჭომ მოისმინა ამხ. ს. მამულაის საინსტრუქციო მოხსენება ქალაქის საბჭოს მომავალი მუშაობის შესახებ.

საბჭოს დადგენილებით დაარსებულია შემდეგი სექციები! საფინანსო საგადასახადო, სას. სამეურნეო, კულტგანმანათლებელი, საექიმო-სასანიტარო და სამშენებლო კეთილ-მოწყობის.

შემუშავებულ იქნა სექციების სამუშაო გეგმა. საფინანსო-საგადასახადო სექციაში საბჭომ აირჩია 5 წევრი, სას. სამ. სექციაში 7, კულტგანში 8 საექ. სასან.—5 და სამშენებლო-კეთილმოწყობის 15.

სექციებმა უნდა შეიმუშაონ დაწვრილებითი სამუშაო გეგმები უნდა წარმოადგინონ მომავალ სხდომას.

ბ. უჩანეიშვილი.

პროფკავშირებში

საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის სამაზრო განყოფილებებს, სამაზრო ადგილკომებს ადგილობრივ ადგილკომებს და ყველა კავშირის წევრებს.

ძვირფასო ამხანაგებო! ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის განმტკიცების, გარემავების და ამ მონაპოვართა შენარჩუნების საქმე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ფხიზლათ სდგას თავის სადარაჯოზე წითელი რესპუბლიკების მუშათა კლასი, მისი წიაღიდან წარმოშობილი წითელი არმია და მის ირგვლივ განუწყვეტელი რგოლივით შეკავშირებული შემოკრებილი გლეხობა.

რომ მუშათა და გლეხთა წითელი არმია მტკიცედ სდგას თავის საგუშაგოზე ამას ამტკიცებს მისი რვა წლის არსებობის ისტორიასთან გადანასკვული მრავალი გამარჯვებანი როგორც გარეშე, ისე შინაურ ფრონტებზე. ამ ბრწყინვალე გამარჯვებების ხელის შემწყობი და მთავარი დასაყრდნობი ძალა იყო თავის სამუშაო დაზგებთან ფხიზლათ მდგომი პროლეტარიატი და მისი დაუშრეტელი ენერგიის წყალობით გაუმჯობესებული საომარი ტეხნიკური საშუალებანი. მათ შორის კი საკმაოდ მდიდარი ისტორიის მქონე საჰაერო ფლოტი.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ამჟამად ვაწარმოებთ მშვიდობიან სამეურნეო აღმშენებლობას, ერთი წუთითაც არ უნდა შევასუსტოთ საჰაერო ფლოტისადმი მზრუნველობა. საჰაერო ფლოტი ჩვენი კავშირის ღვიძლი შვილია და ამ მხრივ მისი გაძლიერების მიზნით, საერთოდ წარმოებულ მუშაობას არც ჩვენი კავშირის ცენტრალური კომიტეტი ჩამორჩა. თანახმად მეოთხე პლენუმის დადგენილებისა სოც. საბჭოთა რესპუბლიკების საჰაერო ფლოტის გაძლიერების მიზნით, ც/კომიტეტი შეუდგა საკუთარი ძალებით ჰაეროპლანი „წითელი ტრანსპორტელი“-ს აშენებისათვის საჭირო თანხების მოგროვების კამპანიების ჩატარებას. ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მიზნით გაიღო 1000 მანეთი. საქართველოს ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც/გამგეობამ-კი დაადგინა გაიღოს 100 მანეთი და ჩაატაროს სათანადო კამპანიები.

რათა საქართველოს ყოველგვარი ტრანსპორტზე მომუშავე კავშირის წევრები არ ჩამორჩენ ამ მხრივ წარმოებულ საერთო მუშაობას და როგორც ყოველთვის მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ ფრიად სიმპატიურ და სასარგებლო საქმის შენებლობაში, მოგიწოდებთ თქვენ, დაუყოვნებლივ შეუდგეთ ამ საქმისათვის ნებაყოფლობით თავისუფალ პრინციპებზე აგებული შემოწირულებათა და ანარიცხების გაღების კამპანიების ჩატარებას.

შემოწირულებანი უნდა ატარებდენ წმინდა ინდივიდუალურ სახეს და არამც და არამც ადგილი არ უნდა ექნეს იძულებითი ხასიათის მქონე ღონისძიებებს. დასაშვებია აგრეთვე საერთო კრებებზე მიღებულ დადგენილებების საშუალებით დღიური ხელფასიდან განსაზღვრული ანარიცხების გადადება იმ პირობით, რომ თუ რომელიმე მუშას გაუძნელდება ანარიცხების გადახდა, ის სრულებით განთავისუფლებული უნდა იქნეს ასეთისაგან.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც/გამგეობა იმედოვნებს, რომ ჰაეროპლანი „წითელ ტრანსპორტელი“-ს აშენებისათვის დაწყებული საქმე თქვენში ჰპოვებს სათანადო გამოძახილს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ძლიერი საჰაერო ფლოტის გარეშე შეუძლებელია სახალხო მეურნეობის აყვავება-აღორძინება და კულტურულად ამაღლება.

საქართველოს ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის წევრნო! ხელი შეუწყვეთ „წითელი ტრანსპორტელი“-ს აშენების საქმის წარმატებით დაგვირგვინებას.

გაუმარჯოს წითელ საჰაერო ფლოტს და მათ ერთგულ მეგობრებს!

შეგროვილ თანხების შენახვის და გადმოგზავნის წესებს გაცნობებთ დამატებით.

ამხანაგური სალამით!

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც—გამგეობის პრეზიდიუმი.

მედსანშრომის მუშაკთა კავშირში

მედსანშრომის კავშირი 1926 წ. პირველ იანვრისათვის აერთიანებდა 8.274 კავშირის წევრს. ეხლა ეს რიცხვი 9,000 კაცამდე ავიდა. თბილისის მაზრაში 45 ადგილკომი ითვლება. სულ 21 სამაზრო განყოფილებაა. ამ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ იქნა ურთიერთ დამხმარე სალაროების დეცენტრალიზაცია, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო.

კულტურული მუშაობა

თბილისში არის სამი მუშათა კლუბი. საკლუბო მუშაობაში ჩაბმულია წევრების 60 პროც.. გამგეობას განზრახული აქვს გახსნას სანიტარული კურსები. ქალაქში—20-მდე სამკითხველოა. წიგნები სახლში წასაკითხავად ეძლევა მუშა მოსამსახურეებს. მედსანშრომის მე-5 ყრილობის შემდეგ კავშირთან მოეწყო ლიტერატურული, სამხატვრო და სხვა წრეები. მიღებულია სათანადო ზომები ამ წრეების მუშაობაში კავშირის წევრების ჩასაბმელად.

კავშირის კულტგანყოფილება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საექსკურსიო მუშაობასაც. წინათ ამ მიმართულებით მუშაობა მოიკოჭლებდა. დღეს კავშირის წევრებს შეგნებული აქვს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საექსკურსიო მუშაობას მათი კულტურული დონის ასამაღლებლად. კულტგანყოფილების მიერ მუშავდება გეგმა— ექსკურსიების სათანადოდ მოწყობისა და ჩატარებისათვის.

სტარიფო - საეკონომიო მუშაობა

სატარიფო-საეკონომიო დარგში გამგეობამ შესძლო მედსანშრომის კავშირის მე-5 ყრილობის დადგენილებების მთლიანად ცხოვრებაში გატარება. ამის მიხედვით ზოგიერთ დარგის მუშაკებს გაუდიდდათ ხელფასი. მწვავედ სდგას ხელფასის საკითხი მაზრებში მომუშავე ამხანაგებისათვის. მაგრამ ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება ახალ კოლხელშეკრულებების დადებით.

დასასვენებელი სახლების შესახებ

მომავალ სეზონში კავშირის მიერ დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე მუშა-მოსამსახურეები გაიგზავნებიან ვაცილებით მეტი რაოდენობით გასულ წელთან შედარებით. ამ მიზნით კავშირი მოლაპარაკებას აწარმოებს სათანადო ორგანოებთან.

გარდა ამისა გამგეობას განზრახული აქვს საკუთარი დასასვენებელი სახლი აგოს სუმბათაშვილის ყოფ. აგარაკზე. კავშირი ენერგიულ ზომებს ღებულობს ამ საქმის დროიანად მოსაგვარებლად. მომავალ სეზონის განმავლობაში აღნიშნულ დასასვენებელ სახლში გაიგზავნება—350 მუშა-მოსამსახურე.

კ-ვ-ლია.

პროფმუშაობის ქრონიკა

მბეჭდავთა კავშირში

— **დახმარების გადიდება.** მბეჭდავთა კავშირის დადგენილებით მაისიდან გადიდებული იქნება დახმარების გაცემა. 1—კატ. უმუშევრებს თვეში მიეცემა, 15 მან. 2—კატ. 10 მ. 3—კატ. 5მან.

— **უმუშევართა ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა.** მბეჭდავთა კავშირმა გამოჰყო განსაკუთრებული კომისია უმუშევართა მატერიალური მდგომარეობის (ყოფა-ცხოვრების) გამოსაკვლევად.

— **კავშირიდან გამორიცხვა.** ამავე კავშირმა საწევრო გადასახადის შეუტანლობისათვის კავშირის წევრობიდან გამორიცხა ბერიძე და შარაძე.

— **ამხ. ნიკიტინის გამგზავრება.** მბეჭდავთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ნიკიტინი გაემგზავრა მოსკოვში საკავშირო საეკონომიო-სატარიფო ყრილობაზე დასასწრებლად.

მედსანშრომის კავშირში

— **აპრილ-ივნისის სამუშაო გეგმა.** მედსანშრომის კავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კავშირის აპრილ-ივნისის განმავლობაში სამუშაო გეგმები.

აღმშენებელთა კავშირში

◆ **სადელეგატო კრებები.** აღმშენებელთა კავშირმა გადასწყვიტა საერთო სადელეგატო კრებები თვეში ერთის მაგიერ მოწვეულ იქნას ორჯერ.

◆ **საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიების მოწყობა.** აღმშენებელთა კავშირის ც. გ.-ბამ საჭიროთ სცნო შორაპნის მაზრაში მოეწყოს დამატებით 5 საკონფლიქტო-შემფასებელი კომისია.

სენაკის სამპროფბიუროში

— **იურიდიული დახმარების გასაფართოებლად.** სენაკის სამპროფბიურომ საჭიროდ სცნო სამპროფბიუროსთან მოაწყოს იურიდიული დამხმარე ბიურო.

— **კულტურულ ფონდის გაერთიანება.** სენაკის სამპროფბიურომ გააერთიანა კულტფონდში მაზრის ფარგლებში.

— **კავშირების მუშაობის გამოკვლევა.** ბიუროს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ უფრო კარგი ხელმძღვანელობა გაუწიოს კავშირებს. დათვალიერებულ იქნეს მათი მუშაობა, რის შემდგაც ყველას გააკეთებინოს მოხსენებები პრეზიდიუმის სხდომაზე.

ლეჩხუმის სამპროფბიუროში

— **უმუშევართა ფონდები.** ლეჩხუმის სამაზრო პროფკავშირებთან დაარსდა უმუშევართა ფონდები.

— **საზოგადოებრივ სამუშაოებისათვის.** ლეჩხუმის სამპროფბიურომ შუამდგომლობა აღძრა პროფსაბჭოსთან საზოგადოებრივ სამუშაოების საჭიროებისათვის შრომის სახ. კომისარიატთან შუამდგომლობის შესახებ.

— **მუშაობის სისუსტის გამო.** მედსანშრომის კავშირის ლეჩხუმის სამაზრო ადგილკომი ძალიან სუსტად მუშაობს. სამპროფბიურომ შუამდგომლობა აღძრა მედსანშრომის კავშირის ცენტრ. გამგეობასთან სამაზრო კონფერენციის მოწვევისა და ადგილკომის გადარჩევის შესახებ.

— **დახმარების აღმოსაჩენად.** ლეჩხუმის სამპროფბიურომ სთხოვა საქ. პროფსაბჭოს დახმარების გადიდების შესახებ. პროფბიურომ უარი უთხრა დახმარებაზე და განუმარტა, რომ ყოველი პროფკავშირი უნდა ცდილობდეს, რომ შემოსული თანხით დაფაროს გასავალი.

მუშათა ცხოვრება

მუშათა კლუბების მუშაობის ნაკლი

მუშათა კლასის კულტურულად გათვითცნობიერების საქმეში უდიდეს როლს თამაშობენ მუშათა კლუბები. სწორედ ამიტომაც არის, რომ ასე დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მუშათა კლუბების გაფართოვების საქმეს საბჭოთა რესპუბლიკებში. ყველა ნათლად ხედავს თუ რა აქტივობას იჩენენ მუშათა და გლეხთა მასები კულტურულ საქმიანობაში, ამიტომ გასაგებია ის ლტოლვა კლუბების გამრავლებისა და გაფართოვებისადმი, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში ყველგან, როგორც ცენტრში, ისე პროვინციაშიაც. სახელმწიფოც ანგარიშს უწევს ამ გარემოებას და ამიტომ არავითარ ხარჯებს არ ერიდება მასების ამ მოთხოვნილების „დასაკმაყოფილებლად“.

მაგრამ კლუბების რიცხვობრივი გამრავლება საკმარისი არ არის, რომ ამ მიზნისათვის სახელმწიფოს მიერ გაღებულმა ხარჯებმა შესაფერისი ნაყოფი გამოიღოს და მიზანს მიაღწიოს: ყველა ამისათვის აუცილებელია სისწორით იქნას გაგებული მუშათა კლუბების მნიშვნელობა ჩვენი კლუბების მუშაკთა მიერ და თვით მუშათა კლუბებიც შესაფერის სიმაღლეზე უნდა იდგენ თავის საქმიანობით.

ამ მხრივ საგრძნობლად მოვიკოჭლებთ და ეს კოჭლობა აშკარათ გამოსჭვივის ჩვენი კლუბების მუშაობაში არა თუ პროვინციებში, არამედ ცენტრშიაც.

ბევრს ჯერ კიდევ არა აქვს სისწორით შეთვისებული მუშათა კლუბების მნიშვნელობა და როლი. ბევრი ჯერ კიდევ ვერ ახდენს იმ გამიჯვნას საკლუბო და თეატრალურ მუშაობათა შორის, რომელიც ასე აუცილებელია.

მაგალითისათვის ავიღოთ თბილისის უფრო მნიშვნელოვანი კლუბები, აქ თითქმის ყველა კლუბებთან არსებობს სხვადასხვა წრეები: პოლიტიკური, პროფესიონალური, სამხატვრო-სალიტერატურო, მომღერალთა წრე და სხვა. ამ წრეების მუშაობაში ჩაბმული არიან უმთავრესად თვით მუშები. მატერიალურად თუ აქამდე ხელი ეშლებოდათ მუშაობაში, დღეს ამ მხრივ ჩვენი კლუბები უზრუნველყოფილი არიან, რადგანაც პროფესიონალური ორგანიზაციები საკმაო თანხებს აძლევენ მათ. ამ მხრივ ჩვენი კლუბები საყვედურს ვერ იტყვიან. ზოგიერთი კლუბები ვერც ახერხებს ყოველ თვიურად მიცემულ თანხების მთლიანათ დახარჯვას.

თანხა არის, სურვილი და ლტოლვა თვით მუშების მხრივ. ერთი სიტყვით ყველაფერი ხელს უწყობს, რომ მუშაობა შესაფერისად იყვეს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის ბევრ ალაგას და ამის მიზეზი უმთავრესად შემდეგია: კლუბის წრეებთა შორის არ არის მჭიდრო კავშირი, მათი მუშაობა არ არის ერთი მეორეზე გადაბმული და ყოველი წრე განმარტოვებით მუშაობს.

გასული წლის საშემოდგომო სეზონის დასაწყისში პროფკავშირთა კულტგანყოფილების მიერ გადამჭრელი ზომები იყო მიღებული, რომ აღნიშნულ წრეებს თავი დაეხწიათ მუშაობის ძველი თეატრალური მეთოდებისაგან და გადასულიყვნენ მუშაობის ახალ მეთოდზე, მაგრამ სამწუხაროდ ეს თითქმის არც ერთ კლუბში არ მოხერხდა და მუშაობა ისევ ძველი მეთოდით სწარმოებს. ჩვენც ვიცით რომ მუშათა წრეებს აქვს სურვილი მოისმინოს დრამატიული პიესები მხატვრულ ფორმებში ჩამოსხმული. სახელმწიფოს ჰყავს აკადემიური დასები, რომელიც სისტემატიურად წარმოდგენებს მართავს მუშათა კლუბებში. ეს დადგმები იშვიათია, დროგამოშვებითია და არ აკმაყოფილებს მუშათა წრეებს, დასაშვებია, რომ ადგილობრივმა წრეებმა თვეში ერთხელ აჩვენონ კლუბის წევრთ წარმოდგენები, მაგრამ ისიც პიესის შინაარსის შესაფერისი შერჩევით.

ყოვლად მიუღებელია ის, რომ კლუბის წრეები სისტემატიურად აწარმოებდენ ასეთ მუშაობას და ამით კმაყოფილდებოდნენ. ჯერ ერთი, რომ სამისო საშუალება ნაკლებია, როგორც ძალებს, აგრეთვე მხატვრული შესაძლებლობის მხრით. მთელი საზამთრო მუშაობის სეზონი ისე გავიდა, რომ თითქმის ვერც ერთმა კლუბის წევრმა ვერ შესძლო ცოცხალი გაზეთის სისტემატიური და შინაარსიანი ფორმით მიწოდება კლუბის წევრთათვის. ამისათვის კი დიდი სურვილები იყო გამოთქმული და შესაფერისი ინსტრუქციებიც მიეცათ კლუბის მუშაკთ, მაგრამ უნაყოფოთ.

მართალია, ჩვენში ჯერ ეს ახალი საქმეა, წრეებს უჭირსთ საკუთარი ძალებით სამისო მასალების დამზადება, ქართული მწერლობა და დრამატურგია დღემდე ნაკლებათ იძლეოდა სამისო მასალებს, მაგრამ თუ სურვილი იქნება და მუშაობის გეგმაც სწორათ შეთვისებული, ეს მიზეზები ადვილი გადასალახავია. ამ მხრივ დიდი მოვალეობა აწევთ კლუბის გამგეობათ. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთების გამოკლებით გამგეობები ვერ სდგანან თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე. მათ ახასიათებს საქმისადმი სრული პასივობა. ხშირია მაგალითი, როცა კლუბის გამგეობა მთელი თვეობით არ იკრიბება და საკლუბო მუშაობა თითო-ოროლა პირების ამარა მიტოვებულია.

გამგეობის წევრთ უნდა ახსოვდეთ, რომ კლუბის წევრთა ინდივიდუალურ წევრობაზე გადასვლის შემდეგ მუშაობას უნდა ქონდეს მასიური ხასიათი და კლუბის გამგეობაც უნდა სწარმოებდეს გამგეობის მთლიანი, კოლექტიური მუშაობის სახით.

საერთოდ ჩვენი კლუბების მუშაკებს ყოველგვარი საკლუბო საქმიანობის დროს უნდა ახსოვდეთ, რომ მუშათა კლუბები უნდა იყოს პროლეტარული კლასიური და პროფესიონალური, რომ ჩვენი კლუბები მშრომელი მასებისათვის უნდა იყვნენ ბუდე კულტურული აღორძინებისა. კომუნისტური აღმზრდელობისა, პროფგანვითარებისა, პროლეტარული განათლებისა და აგრეთვე იგი უნდა გადაიქცეს ისეთ ადგილად, სადაც ყოველ დღიურ შრომის შემდეგ მუშამ. თავის ოჯახის წევრებთან ერთად უნდა ჰპოვოს დასვენება და ისეთი გასართობი, რომელიც მას [illegible] სულიერ საზრდოს მისცემს.

სხვადასხვა დრამატიული პიესების ([illegible]) მაგიერად უნდა იმართებოდეს ლექციები და დისპუტები. კითხვა-პასუხის საღამოები, ცოცხალი გაზეთი და სხვა.

ვ. ნინიძე.

პროფაქტივის კრება

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შვიდ აპრილს გაიმართა თბილისის კვანძის პროფაქტივის კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. უსტიაშვილი. კრება საერთოდ ეხებოდა რკ. გზელთა მერვე ყრილობის რეზოლიუციების გარჩევას.

მომხსენებლებად გამოვიდენ ამხ. ამხ. ასლანოვი და პრუსეცკი.

მომხს. ასლანოვი შეეხო ყრილობის რეზოლიუციებს სატარიფო ეკონომიურ დარგში, ხოლო მომხს. პრუსეცკი კი საორგანიზაციო კულტურულ დარგში.

მომხსენებლებმა აღნიშნეს ამ ყრილობის მნიშვნელობა და მიღწევები ხელფასის და მუშათა დასვენების საკითხში. შეეხნენ შრომის დაცვის საკითხს და გაარჩიეს ცალკე რეზოლიუციები.

საკლუბო მუშაობის შესახებ მომხსენებელმა პრუსეცკიმ გამოსთქვა აზრი კლუბის ცალკე გამგეობის მაგიერ საერთო გამგეობის დაარსების აუცილებლობაზე. კრებამ მთელი მოხსენება მიიღო სახელმძღვანელოდ და ცნობად.

მუშკორი ლ—ია.

მუშებში ლოთობას ბოლო უნდა მოეღოს

რამოდენიმეჯერ იყო აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე რ. გ. მთ. სახელოსნოში ბოროტმოქმედების შესახებ: ამდენი ფუთი კალა მოიპარეს, ამდენი ბაბიტი—მატერია და სხვადასხვა. რასაკვირველია, ყოველთვისვე მოიპარავენ, თუ ჩვენი დარაჯები თავიანთ საგუშაგოზე ღვინით გალეშილები და გრძნობა დაკარგულები გამოვლენ და დაეგდებიან კარებში. აი ფაქტიც: 5 აპრილს, საღამოს 8 საათზე, როდესაც სადურგლო საამქროს კ. უჯრედის ბიუროს სხდომა ვათავეთ, 4 ამხანაგი გავეშურეთ შინისაკენ, საშინელი თოვლიანი საღამო იყო. როცა გასავალ კარებთან მივედით, შევამჩნიეთ, რომ დარაჯი ქრისტიაშვილი ძალზედ მთვრალი იყო. ამიტომ ჩვენ იქვე ამბულატორიაში შევედით მორიგე ექიმთან, რათა სათანადო ოქმი შეგვედგინებინა და მოგვეხსნა ქრისტიაშვილი სადარაჯოდან. მაგრამ ექიმის თანაშემწე ბალუაშვილი საშინელი გულცივი აღმოჩნდა და ჩვენი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა.

ამ დროს იქვე გამოჩნდა დარაჯების უფროსი ვასო პაპიაშვილი და შეგვპირდა მთვრალი დარაჯის სადარაჯოდან მოხსნას, და მოხსნა კიდეც. მომავალში მაინც ადგილკომმა უნდა მიიღოს ზომები, რომ დარაჯები იდგნენ თავიანთ სადარაჯოზე ფხიზლათ, აქედან იქნება ორთქლმავალიც მოპარონ!

მუშკორი ჯ—ტ—ელი

ბიუროკრატთან
(ძღვნად საბჭოთა ზოგიერთ ბიუროკრატებს)

იმას ეგონა მოწყალებას
ვეაჯებოდი,
ვიყავ გლახაკი, მათხოვარი
და მაწანწალა.
ისე უკმეხად მედიდურად
გადმოიხედა;
რომ მისმა „სახემ“ შემაშფოთა
და შემომზარა.
„მისალმებშიც“ კი არ ინება,
რომ მე ვხლებოდი,
ალბად იფიქრა ჩემ მიზეზით
შეწუხდებოდა.
თვის წინ ხედავდა იგი მუშას,
უსწავლო კაცსა,
ჩემთან დაკარგვა ორის წამის
ენანებოდა.
მას არა სურდა გულის სიღრმეს
რომ ჩამწვდომოდა;
მედიდურებამ მას ამისი
არც მისცა ნება.
არც კი ისურვა რიგიანად
შემკითხებოდა,
რად მივსულიყავ, ვისგან მქონდა
მე დავალება,
და გამოვბრუნდი უკმეხობით
ლახვარ ნაკრავი,
გული არ გასტყდა, თუმც მოშხამა
ჩემი არსება...

მუშა შაქრო ნავთლუღელი

შრომის სასამართლოები მაზრებში

შრომის სასამართლოები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სათანადოთ. შრომის კანონმდებლობაში არის ნათქვამი, რომ შრომის საქმეები უნდა გაირჩეს არა უგვიანეს ორი კვირისა, მაგრამ ეს სამართლიანი მუხლი შრომის კანონდებულობის ვერ ტარდება ცხოვრებაში ორი კვირა კი არა, არის შემთხვევები, რომ წელიწადიც კი გადის მანამდის, სანამ საქმე გაირჩეოდეს აღნიშნულ სასამართლოებში. არც ამ ერთი წლის შემდეგ ბოლოვდება საქმე.

დამქირავებელი არ არის კმაყოფილი განაჩენით და შეაქვს საკასაციო საჩივარი, ასახელებს სხვა ახალ მოწმეებს, და ამის შემდეგ იწყება ხელახალი გაჭიანურება საქმის.

განაჩენს არღვევს ცენტრი, შემდეგ ბრუნდება ადგილებში და ასე იტანჯება მუშა ან მოჯამაგირე. მან რაღაც ორი „გროში“ უნდა აიღოს თავისი ნაშრომ-ნადაგი და მისი საჩივარი კი უნდა გაგრძელდეს ერთი ან ორი წელი.

აი მაგალითიც: თელავის ცეკავშირის განყოფილების გამგემ დაითხოვა თავისი მოანგარიშე, ვითომდა როგორც შეუფერებელი თავის თანამდებობისათვის. დათხოვნილმა მოანგარიშემ ეს საკითხი გადაიტანა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში. კომისიამ დანიშნა ორი ბუღალტერის შემადგენლობით სპეციალური კომისია, რომელმაც მოანგარიშე სცნო კარგ მომუშავედ თავის დარგში და უკანონოდ მოხსნილი მოანგარიშე აღადგინა თავის თანამდებობაზე. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში ადმინისტრაციის მხრით მეორე წარმომადგენლად იყო თვით ხსენებული განყოფილების გამგე. და შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის დადგენილებას აწერდა ხელს. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ იგი ისევ ითხოვს ამ მოანგარიშეს იმავე მიზეზის გამო. საქმე გადადის შრომის სასამართლოში და რამოდენიმე თვის შემდეგ ინიშნება საქმე. მაგრამ ცეკავშირის განყოფილების გამგემ იცის ხრიკები, თუ როგორ უნდა „მოუაროს თავის საქმეს“ და როგორც კი მიიღებს უწყებას ხსენებული გამგე და ახლოვდება გასამართლების დღე, იგი სწერს მოსამართლეს მიმართვას: „მე ამა და ამ დღეს სამსახურის საქმეების გამო მივემგზავრები თბილისში და სასამართლოს ვერ დავესწრებიო“. ასეთი „ვერ დასწრება“ ხდება ოთხჯერ და ჯერ კიდევ არ ვიცით, სანამდის გასტანს.

ასეთი შემთხვევები და საქმის ხელოვნურად გაჭიანურება უკარგავს მნიშვნელობას შრომის სასამართლოს. მასთან ეს იწვევს ბევრ ხარჯებს სასამართლოს მხრივ, რაც წარმოება-დაწესებულებას აწვება. ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია და მის აღმოსაფხვრელად უნდა იქნეს მიღებული სასტიკი ზომები.

შრომის ინსპექტორი.

პროფსაბჭოს საყურადღებოდ

მე ვარ სავსებით უდედ-მამო მოქალაქე 15 წლისა. სამოწყალოდ კეთილი ადამიანები (შორეული ნათესავები) პურს არ მამადლიან და მათთან ვცხოვრობ. მამა ჩემი მსახურობდა სად. ქუთაისში მემუხრუჭე-კონდუქტორად და სამსახურის მოვალეობის დროს გარდაიცვალა, რონოდაში ხოლერით 1918 წელში არავითარი თანაგრძნობა და დახმარება მე რკინისგზებიდან არ მიმიღია. ეხლა უკვე მოზარდ ასაკს მივეწიერები და მე მგონია მოვალეობისათვის მესაჭიროება რაიმე ხელობის შესწავლა, რომ მეც მშრომელთა რიცხვში ჩავეწერო, რათა არ გავიხრწნე უსაქმობით.

მიუხედავათ ჩემი არა ერთი მიმართვისა სხვადასხვა რკ. გზების პროფკავშირის ორგანოებისათვის მაინც, მე მიმაწერეს შრომის ბირჟის ბავშვთა სექციაში. ამ რამოდენიმე ხნის წინად აღნიშნულ სექციიდან ბევრი ისეთები გაგზავნეს თბილისის დეპოში, რომ თუ დედ-მამა არა, ძმები მაინც ჰყავდათ და მე-კი სავსებით ობოლი ისევ დამტოვეს.

თუ საჭიროება მოითხოვს მე პერსონალურად დაგისახელებთ ასეთ პირებს. მე მგონია აქ რაიმე „ბიძაშვილობას“ უნდა ჰქონდეს ადგილი და ასეთი-კი საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუშვებელია.

გთხოვთ გამოიჩინოთ ჩემზე მშობლიური მზრუნველობა და მომცეთ სამუშაო.

დათიკო კუბლაშვილი.

როგორ მოვიქცე ან ვის მივმართო
(საბინაო სასამართლოს საყურადღებოდ)

ვარ მტვირთავი მუშა წიგ. № 2330. ვცხოვრობ ვაკეში (ათენის ქ. № 1-ში) 1921 წლიდან ივანე ტრაჩუკის სახლებში. თითონ სახლის პატრონი სცხოვრობს სხვის სახლებში. მიქირავს სამი პატარ ოთახი. როგორც შენობა, ისე სახურავი თავის შემოღობილი ეზოთი (ორ ადგილას გავჭერი წყლის ღარი ნიაღვარის თავიდან ასაშორებლად) მოითხოვდა აუცილებელ შეკეთებას. სახლის პატრონი კი უარს ამბობდა. 1925 წ. ოქტომბერში შევიტანე განცხადება უძრავ ქონებათა განყოფილებაში, რომელმაც შეაყენა სათანადო ქმანი. ჩამოართვეს სახლის პატრონს ხელწერილი, რომელსაც ერთი თვის განმავლობაში უნდა შეეკეთებია ზემოაღნიშნული შენობა (ესე იგი მიმდინარე წლის 5 იანვრამდის), მაგრამ დღემდის არა გაუკეთებია რა. იანვრის დიდმა ქარმა მეტად დააზიანა ეს ეზო და შენობა; სახლის პატრონმა კვლავ არ მოიწადინა რამის გაკეთება. შემდეგ მივმართე აღმასკომის საბინაო „კოოპერაციას“ ოთახი № 327, იქ დამარიგეს: რადგანაც სახლის პატრონი არ აკეთებს—შენ გააკეთე და ყოველივე დახარჯულის საბუთები იქონიეო. მეც ამრიგათ შეუდექი კეთებას. გარდა საკუთარი შრომისა ფული გამიღია 22 მ. 88 კ. შემდეგ ფული, რომელიც შემქონდა ხაზინაში, შეუწყვიტე და შრომის საფასური და დანახარჯის ანაზღაურებისათვის მივმართე როგორც აღმასკომის უძრავ ქონებათა განყოფილებას, ისე შრომის ინსპექტორს. შემდეგ საქმე მივიდა 1 უბნის მილიციის უფროსთან, რომელმაც კვლავ დამაბრუნა აღმასკომის კეთილმოწყობ განყოფილებასთან, მაგრამ მაინც ვერ გამოვნახე ის საშუალება, რით და როგორ ავინაზღაურო ეს ხარჯები და შრომა, რომელიც მე გავიღე. ვფიქრობ, რომ საბინაო სასამართლო დაიცავს ჩემს კანონიერ ინტერესებს.

მუშა გერასიმე მიქელაძე.

სამაგალითო მუშაკი

ა.-კ. რკინის გზის სამმართველოსთან არსებულ საფინანსო-საკონტროლო განყოფილებაში მუშაობს კონტროლიორის თანამდებობაზე ყრუ-მუნჯი ა. დავითაშვილი. ბევრს გაუკვირდება ყრუ-მუნჯი და ისეთი პასუხსაგები თანამდებობა, როგორიცაა კონტროლიორობა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხსენებული დავითაშვილი მიუხედავათ იმისა, რომ ბუნების სტიქიას მისთვის ბავშვობიდანვე მოუტაცებია ორი მთავარი გრძნობა მეტყველებისა და სმენის, მაინც ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკია ხსენებულ განყოფილებაში. გარდა ამისა, ის არის ყრუ-მუნჯთა კომიტეტის თავმჯდომარე სადაც სრულიად უსასყიდლოდ მუშაობს საღამოობით და ყოველმხრივ ცდილობს მოაგვაროს საკითხები, რომლებიც ეხება მის ხელში მყოფ პირებს. ასეთ გულწრფელ და ენერგიულ მუშაობისათვის მადლობის ღირსია ხსენებული ამხანაგი და სასურველია ასეთი მუშაკების რიცხვის გამრავლება ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში.

მუშკორი ჰ. ჩხიკვაძე.

[illegible] სტუდენტთა საბჭოში

თბ. სახ. უნივ. არსებობს პროფსექციათა აღმასრულებელი ბიურო (სტუდენტთა საბჭო). აღმასბიუროს აქვს თავისი კულტგანყოფილება, რომლის გამგედ ბრძანდება ბ-ნი გიორგი პერტაია. ამ ვაჟბატონის მოვალეობას შეადგენს თეატრების ტალონების დარიგება (სამწუხაროდ მხოლოდ და მხოლოდ ნაცნობებზე). უნივერსიტეტში გამოკრულ განცხადებაში სწერია, რომ სტუდენტები ტალონებს მიიღებენ თავიანთ ფაკულტეტების პროფკომების საშუალებით.

ეს ასეც ხდება, მაგრამ პერტაია „თავისიანებისათვის“ ინახავს ხოლმე დასარიგებელ ტალონების ნახევარს და როდესაც სტუდენტობა რჩება უტალონოდ (რადგან პროფკომებს მხოლოდ რამოდენიმე ტალონს აძლევს და უკანასკნელი კი ვერ აკმაყოფილებს სავსებით მოთხოვნილებებს). მიდიან პერტაიასთან თხოვნით ის კი ცივი უარით და ლანძღვა-გინებით ისტუმრებს თავაზიან სტუდენტს.

სტუდ. მ. მათიკაშვილი.

დაეხმარეთ ქვრივ-ობლებს
(პროკურორის და მიწათ-მოქმედების კომისარიატის საყურადღებოდ).

ზოგი ერთი ვაჟბატონები ამ საკითხს ასე არ უდგებიან და რაღაცა პირადი ინტერესების და ჯავრის ამოსაყრელად დახმარების მაგიერ ავიწროებენ და სჩაგრავენ ისედაც დაჩაგრულ ქვრივ-ობლებს.

აი მაგალითიც: რკ.-გზ. ელსადგურში მსახურობს დამლაგებლად ქვრივი ღარიბი ქალი ეკატერინე სახურია, რომელსაც ყავს სარჩენად ოთხი ობოლი.

პატიოსან ქალს სოფელ დიდ გარეჯვარში აქვს საკუთარი ორ ოთახიანი სახლი და მასთან დესეტინის სამი მეოთხედი ხილის ბაღი, რომელსაც თავის შრომით უვლიდა იგი. ერთ ოთახში იყო დროებით მოთავსებული სკოლა, რომელიც ამხ. კატომ თავის სურვილით დაუთმო სოფელს კულტურულ-განვითარებისათვის, მაგრამ უკანასკნელ ხანებში (ვინაიდან სკოლა გადაიდეს იქიდან) ქვრივმა მოითხოვა ამ ოთახის ისევ დაბრუნება, მაგრამ დაბრუნების მაგიერ მეორე ოთახიც ჩამოართვეს მის და ახლო მომავალში ბაღის ჩამორთმევასაც უპირობენ.

კანონი და ნორმა ხომ არსებობს?! მაშ, რა დააშავა ღარიბმა ქალმა?

სადღა არ მიმართა ადგილობრივ და არავინ ყურადღებას არ აქცევს. გულხელ დაკრეფილი დადის საწყალი ქალი.

განა მას შეუძლია 18 მანეთით არჩინოს ოთხი სული?.

პროკურატურავ! საჭიროა დაეხმარო საწყალ ქვრივს და ობლებს და მისცეთ საქმეს საჩქარო მსვლელობა.

მუშკორი ია.

დაგვიარსეთ ურთ-ერთ დამხმარე სალარო

თბილისის საბპარტსკ. ამ სამი თვის წინეთ არსებობდა კურსანტთა ურთიერთ-დამხმარე სალარო, მაგრამ შემდეგში იგი რაღაცა გამოურკვეველი მიზეზების გამო გაუქმდა, რამაც კურსანტებში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება.—მიმართეს კურსკომს აღნიშნული სალაროს ხელახლა დარსების შესახებ. კურსკომის თავმჯდომარემ ამხ. გრატიაშვილმა მოიწვია სხდომა, დასვა საკითხი სალ. შესახებ, „მოისმინეს, დაადგინეს“ გამოაკრეს კედელზე უშველებელი ოქმი სალაროს ხელახლა დაარსების შესახებ, მაგრამ ოქმი დარჩა ოქმად, და სალარო კი არსებობს მხოლოდ კურსანტების ოცნებაში. კურსკომო გვეყოფა ოქმებით ნუღარ გვკვებავ, საჭიროა საქმე.

ანდ. შა—რი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **რისთვის დაითხოვეს ეს მუშა?!** „ზაჰესის“ მეორე საამშენებლო უბანში რვა თვის განმავლობაში მუშაობდა მუყაითად და კეთილსინდისიერად ამხ. ი. ქიქინაძე. ა. წ. 1 მარტს იგი მძიმედ ავად გახდა. მას გაუკეთეს ოპერაცია და მთელ 13 დღის განმავლობაში სახლში იწვა. ამხ. ქიქინაძემ თავის სამუშაოზე გამოიწვია ერთი მუშა, რომელიც ასრულებდა მის მოვალეობას. ამხ. ქიქინაძის ავადმყოფობას ადმინისტრაციამ არ გაუწია არავითარი ანგარიში და იგი მოხსნა სამსახურიდან.

რაშია საქმე პროფკავშირო?!

მუშკორი კარგი.

— **ავადმყოფობის სიმულიაცია მუშის შემარცხვენელია და ხელისუფლებისათვის ღალატი.** არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი მუშები იგონიბენ სხვადასხვაგვარ ავადმყოფობას, მიდიან სავადმყოფოში და აცდენენ სამუშაო დღეებს. ამით დიდი ზარალი მოსდის წარმოებას და დამზღვევ სალაროს. ასეთ შეუგნებელ და ცრუ მუშათა ჯგუფს ეკუთვნის რკ. გზის მთავარი სახელოსნოს სადურგლო საამქროს მუშა მიხეილ მელიქოვი, რომელიც „მოგონებული ავადმყოფობით“ რამოდენიმე დღე იწვა რკინისგზის სავადმყოფოში, აწუხებდა ადგილობრივ მოსამსახურეთ ლანძღვა-გინებით და დროს ატარებდა სეირნობაში.

საჭიროა სიმულიანტების წინააღმდეგ მიღებული იქნეს სასტიკი ზომები.

ა. ნატალეველი.

— **მოარჯულეთ ეს ურჯულო „ადამიანი“.** ტრამვაის ქ. სახ. № 17-ში, ერთ პატარა ოთახში (32 კვად. არშ.) ცხოვრობს განათლების კავშირის ორი უმუშევარი წევრი და სტუდენტი. ამ გაჭირვებულმა ხალხმა შეაკეთა თავის ხარჯით ბინის სახურავი, რადგან წვიმა ჩამოდიოდა და სახლის პატრონი მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ბინის ქირას სახლის პატრონი მათ მაინც სთხოვდა და მიმართა სასამართლოს მათი გამოსახლების შესახებ. სასამართლომ სახ. პატრონს სარჩელზე უარი უთხრა. ამის შემდეგ იგი გადაეკიდა მდგმურებს, ავიწროვებს მათ და სთხოვს მათ ბინის ქირის გარდა მეეზოვეს ხელფასსაც.

მილიციავ, ალაგმე „უხეირო“ ვინმე.

მუშკორი გონი.

— **კიდევ სახლის პატრონის თავგასულობა.** გრიბოედოვის ქ. სახ. № 5-ში ერთ 25 კვად. არშ. ოთახში ცხოვრობს კავშირის ორი წევრი ამხ. ჯუცეცი და მისი ერთი ამხანაგი. სახლის პატრონმა მათ წინდაწინ გადაახდევინა 80 მან. ოთახის ქირად. შიგ ამ პატარა ოთახში მან დასტოვა ძველი, გაბინძურებული ნივთები, რაც საშინლად ავიწროვებს მდგმურებს. ოთახი მოითხოვს კაპიტალურ რემონტს. სახლის პატრონი კი მის შეკეთებაზე არც კი ფიქრობს, პირიქით მდგმურებს ემუქრება გამოსახლებით.

მილიციავ, ამასაც ასწავლე ჭკუა.

მუშკორი მართალი.

— **ამ პატიოსან მუშაკს რას ერჩოდენ.** წარს. წლის ნოემბერში ოზურგეთის შვიდწლედის ერთ-ერთ მასწავლებლის შვებულებაში მყოფობის გამო მაზრის ინსპექტორმა თავისუფალ ადგილზე მასწავლებლად მოიწვია ამხ. ანნა ბღელაძე. ამხ. ბღელაძე, თავის მოვალეობას ასრულებდა პირნათლად ა. წ. 27 მარტამდის, როდესაც იგი სრულიად უმიზეზოდ მოხსნილი იქნა სამსახურიდან და დაინიშნა სხვა. შვებულებაში მყოფი მასწავლებელი ჯერაც არ დაბრუნებულა. ამხ. ბღელაძეს არ მისცეს არავითარი (გასავლელი) ჯილდო.

განათლების მუშაკთა კავშირო, რაშია საქმე?!

განათლების მუშაკი

— **„ვოლოკიტაც“ ამას ჰქვიან.** რკ.-გზის სამმართველოს ადმინისტ. განყოფილებამ ა. წ. 15 იანვარს „დ.ბ.ნ.“-ს გაუგზავნა მიმართვა, სადაც იგი ითხოვდა ადმინისტ. განყოფილების „სტეკლოგრაფის“ გამგესათვის 50 %-ის დატვირთვა შეეთანხმებია. ეს მიმართვა დღემდე წითელ მაუდის ქვეშ ისვენებდა.

რისთვის და ვინ აჭიანურებდა საქმეს?

ფაქტორი.

— **მეთამბაქოები ეხმარებიან უმუშევრებს.** თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი“-ს მუშებმა 14 აპრილს საერთო კრებაზე გადასწყვიტეს თავის კავშირის უმუშევარ წევრებს გაუწიონ შეძლებისდაგვარად ფულადი დახმარება.

იმედია სხვა მუშებიც მიბაძავენ მათ მაგალითს.

მუშკორი ბაჟიაშვილი.

მუშათა ქრონიკა

— **ინვენტარის შესაძენად.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა განაწილა 7000 მანეთი საუბნო პროფკავშირებზე ადგილკომების ინვენტართა შესაძენად.

— **უმუშევრობის ფონდის განაწილება.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირების სატარიფო ეკონომიური განყოფილება ამუშავებს საკითხს უმუშევრების ფონდის გასანაწილებლად საუბნო პროფკავშირებზე.

— **ჯამაგირების მომატება.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაადგინა 1 აპრილიდან გაუდიდოს ხელფასი საკავშირო ორგანოების დაქირავებულ მუშებს: ციებ-ცხელებიან ზოლში პირველი თანრიგით ეძლევათ 15 მანეთი, ხოლო დანარჩენებში 14 მანეთი.

პროფკავშირებ

ბალკანეთის ჯოჯოხეთში

აი რა მიამბო ერთმა ბულგარელმა ემიგრანტმა, რომელიც კონსტანტინოპოლში შემხვდა და რომელიც ეხლა მიუწვდომელია თავისი ქვეყნის გარეული მხეცებისათვის:

„ბურგასში ჩვენ შევადგინეთ კომიტეტი მთავრობის უკანონობის და რეპრესიებთან საბრძოლველად, მაგრამ როცა შევიტყვეთ, რომ დახოცვას გვიპირებდნენ, გავიქეცით და ვენახებში დავიმალეთ. მოვიდა ჯარი, გარს შემოერტყა და თოფები დაუშინა ვენახებს. ორი ამხანაგი მოგვიკლეს. სხვები გავიქეცით.

ერთი გაქცეულთაგანი, ივან რაშეევი, დაჭრილი იყო ფეხში და იძულებული გახდა შინ მისულიყო. მაგრამ მამა მისმა გასცა მთავრობის შიშით. ის დახვრიტეს ქუჩაში.

მეორე ამხანაგი სურსათის საყიდლად წავიდა მეზობელ სოფელში, სადაც ის იცნეს და დაიჭირეს. შეეცადა თავი მოეწამლა, მაგრამ ექიმმა გადაარჩინა.

ამ ამხანაგს პასკალ ნენოვი ერქვა. პოლიციამ გაიგო, რომ ნენოვს ძალიან უყვარდა თავისი დედა, დააჭერინა ეს უკანასკნელი და აწამა მთელი ღამის განმავლობაში, ისე რომ შვილს ყველაფერი დაენახა. ამრიგად ნენოვს ყველაფერი ათქმევინეს.

მაგრამ შემდეგ პოლიციამ მაინც ნაკლებ საინტერესოდ მიიჩნია ნენოვის ჩვენება და მოხუცი დედაკაცი მის თვალწინ ჯვარს აცვა. ნენოვი ჭკუაზე შესცდა, მაგრამ მეორე დღეს მაინც დახვრეტილ იქმნა ჟანდარმერიის ადგილობრივ განყოფილების ეზოში.

—:—

ბულგარელი პოლკოვნიკი კაზმანოვი ჯგუფ-ჯგუფათ ხვრეტდა ახალგაზრდებს, მათი მშობლების თვალწინ; შემდეგ ამ უკანასკნელთაგან ითხოვა, რომ ხელებზე ეკოცნათ მისთვის. იმ სოფლებში, სადაც მან გაიარა, ძაღლები რამდენიმე დღის განმავლობაში ადამიანთა სხეულის ნაწილებს ათრევდნენ ქუჩაში.

ერთ ადგილას ტუსაღები საბარგო ავტომობილს მიაბეს თოკით, სანამ გზას გაუდგებოდნენ.

მეორე სოფელში ჯერ დაჭრილები დახოცეს, შემდეგ ორი ექიმი და ორი ახალგაზრდა მოწყალების და, რომელნიც მათ უვლიდნენ, ბოლოს აჯანყებულთა შვილები და ძმები, ოცდა ორი კაცი. დახოცეს თვით ისეთებიც, რომელთაც შეწყალება აღუთქვეს, თუ მთავრობას დანებდებოდნენ.

—:—

ამ ბოლო დროს რუმინიაში ლეიტენანტი მორარესკუ გაასამართლეს. ამ ოფიცერის კარიერა მკვლელობათა სერიას წარმოადგენს; მოწმეებმა, მის შესახებ სწორეთ, რომ ფანტასტიური სურათი მოგვცეს.

როცა მორარესკუს ჰკითხავდნენ ჯანს, როგორ ბრძანდებითო, ის უპასუხებდა: „არა მიშავს, რა სანამ დასახოცი ხალხი მყავსო“. მან დახვრიტა უამრავი გაქცეული, მითვისა მათი ქონება და გამდიდრდა. თავის ხელით ყელს სჭრიდა მსხვერპლს, ქალი იქნებოდა თუ კაცი. მის მიერ დახოცილ ადამიანებს სასაფლაოს, დნესტრის ნაპირას, უზარმაზარი სივრცე უჭირავს.

—:—

ქალებს ქმრების თვალწინ სტანჯავენ, კაცებს ცოლების თვალწინ.

არ არსებობს ისეთი ველური და გამძაფრებული ზომა, რომელიც პოლიციის კომისრებს, ჟანდარმებს, ოფიცრებს და ხშირათ თვით გამომძიებლებს არ ეხმაროთ, რათა ფიზიკური ტკივილების შემწეობით უბედური მსხვერპლი გამოეტეხათ.

მსხვერპლს სცემენ, სანამ გული წაუვიდოდეს, შემდეგ ცივი წყლით ასულიერებენ და ხელ-ახლა სცემენ. ამ მიზნისთვის, ხმარობენ რკინის ჯოხს, რომელსაც კაუჩუკი არტყია. ყურში ცხელ წყალს უსხამენ. იღლიაში შემწვარ კვერცხს უდებენ; ეს აუტანელ ტკივილებს იწვევს.

ბელგრადში, ცენტრალური პოლიციის შენობაში დიდი ღუმელი სდგას, სადაც ტუსაღებს ცეცხლის ალს მიუცხუნებენ, როცა გამოტეხა უნდათ. ამბობენ, რომ ერთ ქალს ფეხებს შუა გავარვარებული რკინა ჩაუდვეს.

ხმარობენ აგრეთვე თავზე მოსაჭერ ჩახრაკს. შიუმენში „სპეციალისტები“ ჰიპნოტიზმითა და ელექტრონით მოქმედობენ. მათ ხელში რამოდენიმე კაცი მოკვდა.

ჩვენ ერთ სავადმყოფოში ვნახეთ კაცი, რომელსაც ფეხები დაგლეჯილი და დამბლა დაცემული ჰქონდა ინსტრუმენტების შემწეობით.

ეს არ არის შემთხვევითი მოვლენები. დაუსრულებლივ შეიძლებოდა მაგალითების ჩამოთვლა. არ არსებობს ისეთი ტუსაღი, რომელმაც მსგავსი შემთხვევა არ გიამბოს...

—:—

კონსტანტინე მილლმა, რომელიც ზომიერი მიმართულების ჟურნალისტი და პოლიტიკოსია, მაგრამ ამასთანავე მგრძნობიარე ადამიანიც, მჭერმეტყველი აღშფოთებით აგვიწერა ეგრედწოდებული „ბაყაყის“ სატანჯველი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ბაყაყივით მოკრუნჩხული მსხვერპლს მსხვერპლი ჯოხის გარშემო ატრიალებენ, სანამ მიწაზე დაენარცხებოდეს; მეორე ინსტრუმენტს „გულთმისანს“ ეძახიან: ესაა ერთგვარი ხელთათმანი, რომელსაც მსხვერპლს ხელზე უჭერენ, სანამ „გამოტყდებოდეს“.

ზოგიერთმა ტუსაღმა შესძლო ტანჯვის შემოკლება იმით, რომ ფანჯარაში გადახტა. ყველგან რკინის ბადე შემოიღეს, რათა ამ საცოდავებს წართვან თვითმკვლელობის საშუალება.

—:—

შეუძლებელია დამაკმაყოფილებელი სისრულით იმ წამების ისტორიის გადმოცემა, რომელსაც ტუსაღები განიცდიან ბულგარეთსა და რუმინეთში.

რუმინეთში საგანგებო ციხე არსებობს პოლიტიკური ტუსაღებისთვის. ეს არის დოფტანას ცენტრალური სატუსაღო. ის ბნელი საკნებისაგან შესდგება. საწოლები კედლებზე მიმაგრებული, დღისით ზევით იწევა და ტუსაღები იძულებულნი არიან მთელი დღე ფეხზე იდგნენ. საკვები ყოვლად უვარგისია და ტუსაღები ქრონიკულად შიმშილობენ.

ამ ციხეს საგანგებო განყოფილება აქვს, რომელსაც „წამების სექციას“ უწოდებენ. ამ განყოფილებაში ტუსაღებს ხელ-ფეხი ბორკილებით აქვთ შეკრული და კვირაში სამჯერ „მარხულობენ“ (შავი პური და წყალი). ეს უბედურები ამ ჯურღმულებში სიკვდილს მოუთმენლად ელიან, როგორც მხსნელს ჭუჭყისა, წამებისა და მწუხარებისაგან. აქ დამნაშავეებს აგდებენ სულ მცირედი შეცდომებისათვის, მაგალითად, თუ სატუსაღოს უფროსს თავი არ დაუკრეს.

ვინც ადამიანურ მოპყრობას მოითხოვს, მაშინვე საგანგებო სიაში ჩანიშნავენ; ასეთ პირებს რამდენიმე წელიწადს მიუსჯიან და ციხიდან ციხეში ატარებენ. ისინი მხოლოდ თითო კვირას რჩებიან თითო სატუსაღოში ისიც ხელფეხშეკრული; ამრიგად მათ მთელი რუმინეთი აქვთ შემოვლილი.

ჟილავას ციხე-სიმაგრე გერმანელებმა სატუსაღოთ გადააკეთეს, როცა ბუქარესტი ეჭირათ. ეს ნამდვილი, სასაფლაოა ცოცხალი ადამიანებისათვის. ქვედა ნაწილი ორი მეტრის სიღრმეზე მიწაშია ჩაფლული და ბეტონით არის ნაშენი. აქ რეჟიმი განსაკუთრებით მკაცრია „დისციპლინარულად“ დასჯილნი მთელ კვირეებს ატარებენ „ცემენტის საკანებში“, სადაც მათ განძრევაც არ შეუძლიათ.

—:—

დაცვის უფლება ბალკანეთში ფაქტიურად არ არსებობს. ბულგარეთში ნაფიც ვექილს უფლება არ აქვს პირისპირ ელაპარაკოს ტუსაღს, რომელსაც იცავს. ყოველთვის მოხელე ესწრება მათ საუბარს.

ზეჟორი გაგიჟდა უსარკმლო საკანში. არსენ ვასაროვი გაგიჟდა მუხრუჭის მოჭერის შემდეგ. შემდეგ ის გაანთავისუფლეს, შინ მიიყვანეს და თავი ჩამოიღრჩო.

ახლა დამტკიცებულია, რომ ჟურნალისტი ჰერბსტი დასწვეს სოფიაში, მასთან ერთად ორი ყოფილი ოფიცერი და კიდევ ერთი ჟურნალისტი დაიღუპა. ჰერბსტის შეცოდება იმაში იყო, რომ მან თავის გაზეთში წერილი დასწერა, რომელიც უმაღლეს სფეროებში არ მოეწონათ.

მაქს გოლშტეინმა, რომელსაც უვადო დაპატიმრება ჰქონდა მისჯილი, შიმშილის გაფიცვა გამოაცხადა. მეოთხე დღეს, მახლობლების თხოვნით, მან გადასწყვიტა საჭმელის მიღება, მაგრამ ციხის უფროსმა საჭმელი აღარ მისცა. ის მოკვდა ათი დღის შემდეგ.

ამ რუმინელ ციხეში ტუსაღებს ისე უწყალოთ სცემენ, რომ მათ ტანისამოსი სისხლით აქვთ შეღებილი. სტატისტიკის მიხედვით, რომელიც 1925 წლის მაისში იყო შედგენილი, გამოირკვა, რომ 70 ტუსაღმა საერთოდ 1.840 დღე იშიმშილა. ამ უბედურებს სხვა საშუალება არ აქვთ, თავიანთი ჯალათების მიმართ გულისწყრომის დასაცხრომათ, გარდა შიმშილობისა და თვითმკვლელობისა.

ჰანრი ბარბიუსი.

„კოტიდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივები

„გადაფრინას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს.
გაანათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს".

ამ კალმის ორი მოქნევით როგორი მოხდენილია სურათია გადმოტყორცნილი პოეტის მიერ!

როდესაც გავივლი მადათოვის კუნძულზე და აბრეშუმის ჰიებივით დარაზმულ ტივებს გადავავლებ თვალს, გუნებაში ყოველთვის ვიმეორებ ამ მოხდენილ სტრიქონებს.

ტივები—სულ უბრალო რამეა!

სწორათ და თანაბრად გაჩორკნილი ხეები!

მაგრამ ეს უბრალო ხეები სულს იდგამენ, მაზდებიან თავიანთ მოძრაობაში, ცურავში და ერთი ადგილიდან მეორე ადგილისკენ გადანაცვლებაში.

ტივი ლამაზია და თვალწარმტაცი, სანამ მტკვრში მოსცურავს, სანამ მდინარის ავარდნილ ტალღებში მოუსვენრად ირყევა და მისრიალებს უძრავ ნაპირებ შორის, როგორც პირველი ამბავი დაკოდილის მთისა.

ტივები—თბილისში!

ეს პრიმიტივის პირველყოფილური შემოჭრაა თანამედროვე ცხოვრების გულში.

აგერ მოსცურავს ტივი ქალაქის გულში. მისი ამირბარი—მეტივეები უხეში ორთაყურებით მარჯვეთ მიიკვლევენ გზას მტკვრის აჩქარებულ დინაში. ხიდებზე ჩერდებიან ყველა მგზავრები და გადაეკიდებიან მოაჯირებზე ტივის საცქერად.

აქ ყველას ფიქრი ლამაზი და მარტივი ხდება, როგორც თვით ტივი.

სოფლის ბავშვებს თვალწინ ეხატებათ სოფელი, ტყეები და მთები.

ქალაქელებში კი ილვიძებს რაღაც იდილიური გრძნობა დაშორებულ ბუნებისა და სილამაზისა.

ტივები—ეს ჩვენი ფლოტისა და დრედნოუტების მაგიერია.

თუ ისინი ვერ გასწევენ ისეთ სამხედრო გმირულ გავარდნას როგორც „ჰამიდიე"—ოსმალეთ-ბალკანეთის ომის დროს, სამაგიეროდ არც ჩაიძირებიან როგორც „ტიტანიკი" და „ლუსიტანია".

ჩვენი ტივები არ ეზიდებიან დიზელებს და ორთქლმავალებს. იმათ თავიანთი თავი მოაქვთ მხოლოდ მაღალი მთებიდან, და თუ ზოგჯერ დაიტვირთებიან—მხოლოდ ხილის გოდრებით.

მაგრამ ტივებს ყველაზე მეტად პოეტები ვერ უცქერიან გულგრილად.

ეს არის ტყისა, მდინარისა და ადამიანის პირველყოფილური შეერთება ცალმხრივად გახელებულ მოძრაობაში.

ეს არის ბუნების პირველი სიტყვის შემოჭრა ჩვენი ქალაქის აურზაურში.

ტივების მთავარი ნავთსაყუდარი—მადათოვის კუნძულია.

აქავე თავდება მათი სილამაზეც.

ჩქარა კი „ზაჰესის" მდივური ჯებირები შეუპოვრად გადაჰლობავენ მტკვარს მცხეთის არეში და თბილისიც ვეღარ იხილავს შემოდგომაში ტივებს—მადათოვის კუნძულზე.

მაშინ კი თბილისელებისთვის ლამაზ მოგონებათ დარჩება ვანა მარტო ტივები, არამედ მათზედ თქმული პოეტის სიტყვებიც—

„გადაფრინას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს.
გაანათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს".

მოკეთე.

რკინის გზეზე

ა.-კ. რკ. გზების მუშაობის პერსპექტივები

ა.-კ. რკ. გზებმა ცენტრში წარადგინეს თავის მოქმედების გეგმა 1925—26 წლიდან—1929—30 წლამდე.

ამ გეგმის თანახმად მიმდინარე სამეურნეო წელს გათვალისწინებულია გზებზე 8½ მილიონ მგზავრის გადაყვანა და 288.800 ათასი ფუთი ტვირთის გადაზიდვა; 1926—27 წელში გადაყვანილი იქნება 11 მილიონი მგზავრი და გადაზიდული 329.900.000 ფ. ტვირთი; 1927—28 წელში—13 მილიონი მგზავრი და 365 მილიონი ფუთი ტვირთი; 1928—29 წელში—15 მილ. მგზავრი და 433 მილ. ფ. ტვირთი. გადაზიდვათა ზრდა მოხდება უმთავრესად: ნავთის პროდუქტების, მარგანეცის, პურის, ბამბის, შაქრის, ფართლის და სხვა—ხარჯზე.

გადაზიდვათა ზრდასთან ერთად მოხდება გადასაზიდ საშუალებათა გამრავლებაც—გზებზე მოწყობილი იქნება მუშაობა ტვირთზიდვის უნარიანობის განვითარების მიზნით, რათა ეს უკანასკნელი შეეფარდოს მოთხოვნილებებს.

გადაზიდვის საშუალებათაგან ორთქლმავლების რაოდენობის შევსება მოხდება არსებულ უვარგის ორთქლმავლების შეკეთებით (5 წლის განმავლობაში შეკეთებული იქნება 15 ორთქლმავალი) და ახლების მიღებით შეძენილი უნდა იქნეს 120 ორთქლმავალი.

რაც შეეხება რონოდებს, სამგზავრო რონოდების რაოდენობა მიმდინარე და მომავალ სამეურნეო წლებში უნდა გამრავლდეს 16%-ით, ამით დაკმაყოფილდება ხუთი წლის მოთხოვნილებაც.

5 წლის განმავლობაში შესაძენ საბარგო რონოდების და ცისტერნების რაოდენობა უდრის 2346-ს.

გზების საქმიანობის გადიდება გამოიწვევს მუშა ხელის რაოდენობის გადიდებასაც. ხარჯები მუშა ხელზე, რომელიც გეგმის მიხედვით წელს 28 მილიონ მანეთს უდრის, 1929 წლისათვის აყვანილი უნდა იქნეს 41 მილ. მანეთამდე.

გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ხარჯებს გზების მასალებით მომარაგებისათვის. მიმდინარე წლისათვის ეს ხარჯი გამოანგარიშებულია 17 მილ. მანეთით რაოდენობით ხოლო 29 და 30 წლებში იგი უნდა გამოიხატოს 22 მილ. მანეთში.

გზების შეკეთების მიზნით გათვალისწინებულია აგრეთვე: გადაკეთება მთელ რიგ ძველ ხიდებისა, რელსების შეცვლა, ახალ ბაქნების გახსნა, მეორე ლიანდაგების დაგება და სხვა. ამასთანავე, რკინისგზელთა საბინაო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გაფართოებული იქნება საბინაო მშენებლობა.

გამოანგარიშებულია აგრეთვე ხარჯები პირველ რიგში ხაშურ-ზესტაფონის და მეორე რიგში თბილის-ხაშურის უბნების ელექტროფიკაციისათვის.

ხუთი წლის განმავლობაში შემოსავალ-გასავლის შეფარდების მიხედვით მოსალოდნელია 1926—27 წლის უდეფიციტოთ დამთავრება და 27—28 წელში კი მოსალოდნელია მოგებაც.

ხარჯები გადასაზიდ საშუალებათა შესაძენად გამოანგარიშებულია 100 მილ. მანეთის ფარგლებში, ელექტროფიკაციისათვის 19½ მილ. მანეთით.

წითელ ჯარში

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯარის ნაწილებში

(მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზია).

ჩვენი დივიზიის ნაწილებში არსებობენ სხვადასხვა ორგანიზაციები, როგორიც არის „ავიაქიმი", „რემედას"-ი, საშეფო საზოგადოებანი და სხვა.

ყველა ნაწილის ასეულში, ლენინის კუთხეში არის ამ ორგანიზაციების უჯრედები, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას წითელარმიელთა შორის.

წევრებად ორგანიზაციებში ირიცხება წითელარმიელთა თითქმის 80 პროც.. არის ნაწილები, სადაც მთელი შემადგენლობა არის ამა თუ იმ საზოგადოების წევრად.

უჯრედების მუშაობა პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გეგმასთან შეთანხმებით მიმდინარეობს. მუშაობის შინაარსი მჭიდროთ არის დაკავშირებული წითელარმიელთა სამხედრო-პოლიტიკურ აღზრდის საკითხებთან. „ავიაქიმი"-ს მუშაობა დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხებთან „რემედას"-ის,—წითელარმიელთა ინტერნაციონალურ აღზრდასთან. საზოგადოებების კუთხეებში გაკრული არიან პლაკატები, ლოზუნგები, კუთხეებში მოიპოება სპეციალური წიგნები, ჟურნალ-გაზეთები. „რემედასს"-ის კუთხეში განსაკუთრებულ დაფაზე ყოველდღიურათ იკვრება ცნობები „რემედას"-ის მუშაობაზე, თეთრ ტერორზე და სხვა.

„ავიაქიმის" კუთხე წარმოადგენს პატარა მუზეუმს, სადაც გამოფენილია სხვადასხვა ხელსაწყოები, ნივთები, მოდელები და სხვა. კუთხეებში, წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით, სწარმოებს ლექციების კითხვა, საუბარი სხვადასხვა თემებზე, კითხვა-პასუხის საათები. ამის გარდა, თვითეული წევრი მიმაგრებულია სამოქალაქო ორგანიზაციის რომელიმე უჯრედზე კავშირისათვის და მის მუშაობის გასაცნობათ. გარდა ამისა უჯრედის ცალკე წევრებს დავალებული აქვთ თვალყურის დევნება „რემედას"-ის მოღვაწეობისათვის ცალკე სახელმწიფოებში.

სხვა ორგანიზაციათა შორის ნაწილებში საპატიო ადგილი უკავია საშეფო საზოგადოებას, საზოგდოებას აქვს კავშირი საშეფო სოფელთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და უვადო შვებულებაში წასულ წითელარმიელებთან. ვინაიდან მუშაობა აქ უფრო რთულია, ვიდრე სხვა ორგანიზაციებში, აქ თავმოყრილი არიან უფრო აქტიური ძალები.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო ხანში მუშაობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გამოცოცხლდა, რადგან ნაწილების პარტორგანიზაციები აქცევს მას სათანადო ყურადღებას და უწევენ დიდ დახმარებას. პარტორგანიზაციების დახმარებით უჯრედები გადაიქცევიან ნამდვილ მასიურ და თვითმოქმედ ორგანიზაციებად, რომლებიც მოგვცემენ ახალ ძალებს საზოგადოებრივი მუშაობისათვის.

ე. ხუციშვილი.

ჩვენ და სოფელი

(მე-3-ე ლეგიონი)

ჩვენმა ლეგიონმა შეფად აიყვანა სოფ. წყალტუბო. პირველ ხანებში ლეგიონი ვერ აქცევდა სოფელს სათანადო ყურადღებას, მაგრამ ბოლო დროს გულმოდგინეთ შეუდექით მუშაობას. ხშირად იგზავნება წარმომადგენელი დღესასწაულების ჩასატარებლად და დასასწრებლად, როგორც პარტორგანიზაციების, ისე უპარტიო გლეხობის კრებებზედ. იგზავნება ღარიბ მოწაფეთათვის და ლიკსკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და ფანქრები.

ქოხ-სამკითხველოში ლეგიონმა მოაწყო სამხედრო კუთხე.

გამოწერილია სოფლისთვის ყველა ქართული გაზეთები და ჟურნალები.

ლეგიონის დრამწრე დროგამოშვებით მართავს უფასო წარმოდგენებს.

ჭ.

ავტო-კიბე

გუშინ მთავრობის სახლის (ყოფ. კადეტთა კორპუსი) ეზოში შინაგან საქმეთა სახ. კომისარ ამხ. მ. მათიკაშვილის, კომისარიატის კომუნალური განყოფილების უფროს ამხ. ბაბაევის, ბრანდმაიორ ამხ. ა. ბერიძის და სხვათა დასწრებით დათვალიერებულ იქნა ავტო-კიბე, რომელიც თბილისის ცეცხლის მქრობელ რაზმმა ამას წინად ბერლინიდან მიიღო.

დათვალიერების დროს კიბე ამუშავებულ იქნა;

კიბე ავტომატიურად იქნა გაშლილი მთელ სიგრძეზე, მასზე ადიოდენ და ჩამოდიოდენ რაზმელები. იმის საჩვენებლად, თუ რა დიდი ფიზიკური ძალა სჭირდება კიბის გაშლას, ორმა რაზმელმა სცადა კიბის გაშლა. მათ დიდი ძალის დახარჯვით რამდენიმე არშინზე ძლივს ასწიეს კიბის მუხლები.

ნაჩვენები იქნა მომენტი, როდესაც დაკეცილ კიბეზე ადის რაზმელი და ამგვარათ იშლება კიბე; ნაჩვენები იქნა აგრეთვე კიბის მიტრიალ-მოტრიალება და დაკეცვა.

კიბის ყოველგვარ მოქმედების შესახებ ამხ. ბერიძე საჭირო განმარტებებს იძლეოდა.

დოლი

დღეს, 18 აპრილს. დიდუბის იპოდრომზე გაიმართება 6 დოლი.

1. **საპრიზო ჯილდო 80 მანეთი.** მონაწილეობენ: არაქსი (მხედარი—ნაკაშიძე), ბოსლეცი (მხედარი—კაკოევი), საარიბი (შენგელაია), ელექტრიკი (ლესელიძე), ზელადი (ლოლუა), ციცერონი (ნარგიზოვი) და ყირგიზი (მხედარი—გურგენიძე).

2. **ჯილდო 100 მანეთი.** მონაწილეობენ: ბუნჩუკი (მხედარი-მამიკონიანი) და სარდარი (მხედარი—მიჩურინი).

3. **ჯილდო 60 მანეთი. მონაწილეობენ:** ზორკი (მხედარი—ერისთავი), ვერდენი(იოსავა), ჩაროვნიცა (მაიკონიანი), გადარეული (გიბრაძე), არმა (ნაკაშიძე) და გერა (ეურული).

4. **ჯილდო 300 მანეთი.** მონაწილეობენ: მალახიტი (მხედარი—მამიკონიანი), გრანსინიორი (მამედოვი), ისკანდერი (ერისთავი), ზემბო (კანბეგოვი) და ცოტო (მამედოვი).

5. **ჯილდო 80 მანეთი.** მონაწილეობენ: იანეკი (მხედარი—კურბან-ოღლი), ციგანკა (ნაცვლიშვილი) და ლედა (მხედარი—მამედოვი).

6 **ჯილდო 80 მანეთი.** მონაწილეობენ: ზემარკა (მხედარი—კაზუმ-ოღლი), იაჯაჰიათურელი (მხედარი—კურბან-ოღლი) და რივიერა (მხედარი—მამედოვი).

დოლი დაიწყება დღის 12 საათზე 30 წ.: დასასრული ნაშუადღევის 4 საათზე.

მგზავრების გადაყვანა სწარმოებს ავტომობილებით თავისუფლების მოედნიდან: ამას გარდა დოლის მოედნამდე მუშაობენ ტრამვაის დამატებითი რონოდები.

ქრონიკა

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **მუშათა მდგომარეობის გამოკვლევა.** შრ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გამოიკვლიოს თბილისის მუშა-მოსამსახურეთა წლიური ბიუჯეტი. სანიმუშოდ გამოიკვლევენ 25 ოჯახის წლიურ ბიუჯეტს.

◆ **ფოტოგრაფიულ წარმოების მუშებს.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, დამქირავებლებმა დასვენებელ დღეს უნდა მისცენ ორშაბათი.

◆ **შრომის მოქმედ კანონმდებლობის** კრებულს შრომის კომისარიატი გამოსცემს მიმდინარე წელს 1 სექტემბრისათვის.

◆ **შრომის ორგანოების გამოკვლევა.** ახლო მომავალში შრ. სახ. კომისარიატი შეუდგება ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, აჭარისტანის და აფხაზეთის შრომის ორგანოების გამოკვლევა-დათვალიერებას.

სატყეო მეურნეობა

◆ **ქარხანა „თემქას"** სატყეო განყოფილებამ დაუკვეთა წიწვიანი ხეების გირჩების გასახსნელი მანქანები. სათესლე მარცვლების დაუზიანებლათ გამოღების მიზნით.

◆ **თბ. სატყეო-საკულტურო ბაღში** სატყეო განყოფილებამ დათესა თურქესტანიდან მიღებული სიცხის გამძლე ხეთა თესლები.

◆ **ტყის წესიერი** დამუშავებისა და დაცვის მიზნით ქალაქის მაზრაში დაარსდა განსაკუთრებული სატყეო კომისია.

◆ **თესლების დამზადება.** სატყეო განყოფილებამ გარე-კახეთის სატყეოებში შეაგროვა 80 ფუთი ფიჭვის თესლი.

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში

◆ **ლეჩხუმის საბავშვო სახლისათვის** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა შეიძინა და ლეჩხუმის აღმასკომს გადაუგზავნა ტანისამოსი და სხვა მოწყობილობანი.

◆ **არტელები.** თბილისში ამჟამად მუშაობს ინვალიდთა 18 არტელი.

◆ **წიგნი.** სოც. უზრ. კომისარიატმა გამოსცა ამხ. კ. ხომერიკის წიგნი: „საქ. გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების (გლეხკომების) მუშაობა-საქმიანობის საერთო მიმოხილვა". წიგნი ღირს 2 შაური.

საბინაო მშენებლობა

◆ **საბინაო კრიზისი.** საქ. საბინაო ამშენებლობის დამხმარე კომიტეტის ცნობით, ამჟამად საქართველოს ქალაქებში ბინა ესაჭიროება 7,967 მუშა-მოსამსახურის ოჯახებს.

◆ **სახლი მუშებისათვის.** ნავთის სინდიკატი თავის მუშებისათვის ბათომში აგებს სახლს.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **მალარიასთან ბრძოლის კამპანია.** ა. წ. ივნისიდან ჯანსახკომი შეუდგება მალარიასთან ბრძოლის კამპანიის ჩატარებას მთელ რესპუბლიკაში.

◆ **სამალარიო სადგურები.** ჯანსახკომმა დაავალა ყველა სამალარიო სადგურებს მოახდინონ მალარიან რაიონების დაწვრილებითი გამოკვლევა. ამ მიზნით სადგურების შტატი გაფართოებული იქნება.

◆ **ვენერიული ამბულატორია.** ჯანმრთელობის კომისარიატი 18 აპრილს ბორჩალოში გახსნის ვენერიულ ამბულატორიას.

◆ **სანიტგანათლების წარმოდგენები.** ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მიღებული ცნობებით, სანიტგანათლების თეატრის წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში იზიდავს დიდძალ ხალხს.

◆ **სანიტარული აბანოები.** ჯანმრთელობის კომისარიატმა ლეჩხუმის, რაჭის, და დუშეთის მაზრებში მიავლინა სანიტარული ინჟინერი აღნიშნულ მაზრებში სანიტარულ აბანოების მოსაწყობად.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

◆ **მეფუტკრეობის კურსები.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ხულოს მაზრაში ხსნის მეფუტკრეობის მოკლევადიან კურსებს.

◆ **სანერგე.** სხალთის თემში (ხულოს მაზრა) მიწათმოქმედების კომისარიატი აწყობს ხეხილის სანერგეს.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **სიმინდი.** სამტრედიის ბაზარზე ამჟამად ფუთი სიმინდი ფასობს 80 კ., ხოლო სათესლე 1 მ. 10 კ.

◆ **კვერცხების დამზადება.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა სამტრედიაში დაამზადა 3 ვაგონი კვერცხი რუსეთში გასატანათ.

◆ **უდინების საზ-ბის** საჯავახოს განყოფილებამ ადგილობრივ სატყეოებში დაამზადა 16 ვაგონი ნიგვზის ხე საზღვარგარეთ გასატანად.

◆ **სათესლე სიმინდი.** აჭარისტანის საკრ. კოოპ. ამხ-ბამ დღემდე მაზრებში გლეხებს დაურიგა 2000 ფ. სათესლე სიმინდი.

◆ **ნავთის სინდიკატმა** საფრანგეთში გაგზავნა 6000 ტონი მინერალური ზეთი.

◆ **ტრაქტორების განაწილება.** ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთიდან ახლად მიღებული 250 ტრაქტორიდან 120 გადასცა აზერბეიჯანს. 70 ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს, 60 საქართველოს და სომხეთის.

◆ **გუთნების მიღება.** საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო „რუდოლფ საკკის" სისტემის 150 გუთანი.

სხვადასხვა

◆ **სამედიატორო კომისია.** ცაკის მიერ დაარსებული სამედიატორო (საარბიტრაჟო) კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

◆ **უმაღლეს და საშუალო განათლების** მქონე წითელარმიელებისათვის, რომლებმაც უნდა იმსახურონ ერთი წელიწადი და შემდეგ უნდა ჩააბარონ გამოცდები თადარიგის ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე, ერთეულებს დაურიგდებათ შესაფერი პროგრამები და მითითებანი.

◆ **უპატრონო სახლი.** სახალხო სასამართლოს დადგენილებით არქოვის ქ. № 80 სახლი უპატრონოდ იქნა ცნობილი. სახლი გადავა თბ. აღმასკომის განკარგულებაში.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** ორშაბათს, 19 აპრილს, საღამოს 7 საათზე შესდგება პროფ. წრის მეცადინეობა ამხ. გ. კვიცარიძის ხელმძღვანელობით. საღამოს 7 საათზე ამხ. ნ. ქოიავას მოხსენება ფულის ტრიალი ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგ".

— 22 აპრილს, საღამოს 7 ს. შესდგება საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის ფიზიკოსის ვ. გიგინეიშვილის მოხსენება შემდეგ თემაზე: ამინდის პროგნოზი (წინასწარმეტყველება) და სუსხ ყინვიან ზამთრის მიზეზები საქართველოში".

დასწრება ყველას შეუძლია.

ინჟ. ლ. დიასამიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მუნიციპალური და სანიტარული ტექნიკა და მისი პერსპექტივები საქართველოში".

დასწრება [illegible] შეუძლიათ.

— **საქართველოს ტექნიკურ საზოგადოება.** კვირას, 18 აპრილს, დღის 12 საათზე თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტექნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც

◆ **სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში**—სამშაბ., ა.-წ. 20 აპრილს მორიგ საერთო კრებაზე გაგრძელდება კამათი პროფ. ილია ლანდიერის მიერ წაკითხულ მოხსენების ირგვლივ—„ჩვენთვის სასურველ აგრონომის ტიპი და მისი მომზადების მეთოდი"— საღამოს 6 საათზე სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის შენობაში, ჟორესის ქუჩა № 5.

შემთხვევები

◆ **ცეცხლი.** 10 აპრილს ვერცხლის ქ. № 56 მარკო ვიტენზეინის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

◆ **ჯიბგირობა.** 16 აპრ. სახელმწიფო ბანკში მოქ. ვლადიმერ ბუშერს ჯიბიდან ამოაცალეს 60 მან.

◆ **ქურდობა.** 16 აპრ. სასამართლოს ქ. № 44 გაქურდეს ელენე ბლიაძის ბინა.

— ამავე დღის პლეხ. პრ. № 166 გაქურდეს მინერალური წყლებით სავაჭრო.

— ამავე დღეს ელისაბედის ქ. № 85 გაქურდეს სტეფანე პოლიაკოვის ბინა.

ხელოვნება

ვარო ალექსი-მესხიშვილის გასტროლები

სამშაბათს თბილისში რუსთაველის თეატრში დაიწყება ცნობილი მსახიობი ქალის ვარო ალექსი-მესხიშვილის გასტროლები. ვ. მესხიშვილის ქალს თან ჩამოყვება როსტოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის დრამის თეატრის მსახიობები: კაზარინი, ვორონოვი, ვასილიევა, სმირანინი, აკსენოვი და გორიაინოვა კ. ბაურის დრამატიულ ანსამბლიდან. რუსეთის პრესა აღნიშნავს, რომ ვარო მესხიშვილის გასტროლები სცენის ნამდვილი დღესასწაულია; განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს ვარო მესხიშვილის თამაში: მისი სახით რუსულ დრამატიულ თეატრს უეჭველად ჰყავს პირველი ხარისხის მსახიობი მას ვერა კომისარჟევსკაიასთან ათანაბრებენ.

ხალას ნიჭთან და ჭეშმარიტ არტისტობასთან ვარო მესხიშვილის ქალი აერთებს საგნის შესწავლას და ნამდვილ ინტელექტს. თბილისს ალბად აქამდე ახსოვს მესხიშვილის ქალის გასტროლები ორი წლის წინათ.

ქართველმა ხალხმა მაზეც გადაიტანა ის სიმპატიები, რომელიც აქვს დარჩენილი ლადო მესხიშვილსგან: ვარო მესხიშვილი ლადოს უმცროსი ქალია. ამ გასტროლებისათვის მას დამზადებული აქვს სრულიად ახალი რეპერტუარი, რომელსაც ჯერ თბილისი არ იცნობს.

ტ.

სიმფონიური კონცერტი

კონცერტის პროგრამაში შეტანილი იყო სომხეთის თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებები. ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა კომპოზიტორ ალექსანდრე **სპენდიაროვის** ნაწარმოები. ის უსათუოდ დიდი მუსიკოსია.

სიმფონიური სურათი „სამი პალმა" სტოვებს დიდ შთაბეჭდილებას. პროგრამის დანარჩენი ნაწილი შესდგებოდა სპენდიაროვის უკანასკნელ ნაწარმოებებისაგან.

ვის უკანასკნელ ნაწარმოებებისაგან.

შესრულებული იქნა აგრეთვე ეროვნის ეტიუდები.

ამასთან ერთად სპენდიაროვი ნიჭიერი დირიჟორიც არის. შესრულებაში ბევრია ლამაზი ფერადები და ჰანგები.

კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულებული იყო ახალგაზრდა სომეხ-კომპოზიტორების ნაწარმოებები. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა **გევანდიანის** ნაწარმოებმა. ვოკალურ ნაწილს ასრულებდა მომღერალი ქალი **დანიელიანი**.

ნიჭიერია აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორი **ზაქარიანი**.

ბარხუდარიანის ნაწარმოებებიდან კარგია „ცეკვა", პოემა „ანუშ". ორკესტრის უფრო კარგი დირიჟორობით (საფარიანი) პოემა უფრო მოიგებდა.

პ. პ.

აკადემიური დრამის მოგზაურობა პროვინციებში

საბოლოოდ გამოირკვა სახელმწიფო დრამის მოგზაურობის გეგმა. დასი გაემგზავრება 60 კაცის შემადგენლობით, დეკორაციებით და კოსტიუმებით ორშაბათს, 19 აპრილს. პირველი ორი წარმოდგენა („მათრახის პანაშვიდი" და „დეზერტირკა") გაიმართება სამტრედიაში 20 და 21 აპრილს, შემდეგ 22 და 23 აპრილს წარმოდგენები დანიშნულია აბაშაში. დადგმული იქნება „ვირის ჩრდილი" და „დეზერტირკა". შაბათს და კვირას 24 და 25 აპრილს დასი თამაშობს სენაკში: „ვირის ჩრდილს" და „დეზერტირკას".

27 აპრილიდან გასტროლები გაიმართება ქ. ფოთში. წარმოდგენილი იქნება: 27 აპრილს: „ვირის ჩრდილი", 28-ს: „დეზერტირკა", 29-ს „ჰამლეტ", 30-ს „მათრახის პანაშვიდი".

ნიკო ფიროსმანის საღამო

— კვირას, 25 აპრილს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მხატვარის ნიკო ფიროსმანიშვილის ხსოვნის საღამო. ნიკო ფიროსმანის შემოქმედებაზე მოხსენებას წაიკითხავს ტიციან ტაბიძე. სიტყვებს წარმოსთქვამენ: გრიგოლ რობაქიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალ. აბაშელი, პაოლო იაშვილი, ლადო გუდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, დიმიტრი შევარდნაძე, პრ. დოც. ნ. ვორონოვი, აკად. ე ლანსერე, კირილე ზდანევიჩი.

დარბაზში გამოფენილი იქნება ნიკო ფიროსმანის სურათები ეროვნულ გალერიის ხელოვნების სასახლისა და ძმათა კ. და ი. ზდანევიჩების კოლექციიდან.

ხელოვნების ქრონიკა

ხვალ რუსთაველის თეატრში, პროვინციაში გამგზავრების წინ, გაიმართება გამოსათხოვარი წარმოდგენა. ერთ საღამოს წარმოდგენილი იქნება: 1) ოპერა „ჯამბაზები", პირველი შემადგენლობით: ანდღულაძე, მრავალი, ცირეკიძე და სხვა. 2) „ვირის ჩრდილი"—ფულდის კომედია, ი. გრიშაშვილის თარგმანი. დადგმა აკ. ფალავასი.

◆ **საღამო-ჭიდაობა.** დღეს ცირკში გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი ჭიდაობით.

◆ **ევლაბრის მუსიკალურ მუშფაკში** ირიცხება 70 მოწაფე, მათ შორის 58 მუშა-გლეხების შვილებია.

◆ **„დაისი".** დღეს ოპერის თეატრში ს. ინაშვილის და ქუმსიაშვილის მონაწილეობით გაიმართება ოპერის თეატრის მოლაპარაკეების საღამო. მიდის „დაისი".

◆ **საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** დღეს, 18 აპრილს, ხელოვანთა სასახლეში დღის 12 საათზე, შესდგება ასოციაციის გამგეობის სხდომა. აუცილებელია დასწრება ყველა გამგეობის წევრის.

დღეს კინოებში

◆ **„აპოლო"**—„ჯავშნოსანი პოტიომკინი".

◆ **არფასტო,** სოლეი „დათვის ქორ-

მეცნიერება და ტექნიკა

უდიდესი რადიო-ანძა

ასეთი ანძა დადგმულია კენიგვუსტერგაუზენში, ბერლინის ახლო. მისი სიმაღლე უდრის 285 მეტრს, მას მე-2 ადგილი უჭირავს მსოფლიოში ეიფელის კოშკის შემდეგ. კენიგვუსტერგაუზენის რადიო-სადგურის დანიშნულებაა ცნობების მიღება გაზეთებისათვის. ცენტრალური ანძის გარშემო მოთავსებულია 4 უფრო დაბალი ანძა, რომლებთანაც მთავარი ანძა ანტენებით არის შეერთებული. მთავარ ანძას აქვს სამკუთხედი საძირკველი.



ფლეტნერის გემის საცდელი მოგზაურობა

ფლეტნერის გემი „ბადენბადენ", რომელიც იალქნებისა და ორთქლის ნაცვლად მბრუნავ ცილინდრებს მოჰყავს მოძრაობაში, პირველ საცდელ შორეულ მოგზაურობაში წავიდა. გემი ესტუმრება შეერთებულ შტატებს. ფიქრობენ, რომ მანძილი გერმანიიდან შეერთებულ შტატებამდე 18-20 დღეში იქნება გავლილი.

მაისის შუა რიცხვებში წყალში ჩაშვებული იქნება ფლეტნერის კონსტრუქციის ახალი გემი, რომელსაც გერმანიის მთავრობა თავის ხარჯზე აშენებს. გემზე დადგმული იქნება 35 მეტრიანი სამი ცილინდრი.

რენტგენის პირველი მოხსენების 30 წ. თავი

მიმდინარე წელს შესრულდა 30 წ. იმ დღიდან რაც რენტგენმა პირველად ბერლინის ფიზიკური საზოგადოების სხდომაზე მოხსენება გააკეთა მის მიერ ახლად აღმოჩენილი სხივების შესახებ, რომლებსაც მან იქს-სხივები უწოდა.

რამდენიმე ხნით ადრე თავის მოხსენებამდე, 1895 წ. 28 დეკემბერს, მან სპეციალურ გამოცემაში ასწერა თავისი გამოგონება, მაგრამ თავისთავად ცხადია, წერილობითი აღწერა ვერ მოახდენდა მეცნიერებზე ისეთ გავლენას, როგორც მოხსენება საჯარო კრებაზე და აღმოჩენილი სხივების მოქმედების იქვე ჩვენება. გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა რენტგენმა აჩვენა დამსწრეთ (ეკრანზე) საკუთარი ხელის ჩონჩხი, გადაღებული მის მიერ აღმოჩენილი სხივების საშუალებით. მაშინვე ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ იქს-სხივებს უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ მედიცინაში.

მაგრამ არავის აზრათ არ მოსვლია ის, რომ სხივები გამოყენებას ჰპოვებენ მანქანების სააღმშენებლო და ლითონის მრეწველობაში და სრულიად შესცვლიან ჩვენს წარმოდგენას მაგარი სხეულების აღნაგობის შესახებ, რომ ეს ახალი სხივები შეიქნებიან კვლევის იარაღათ არა მარტო ექიმისათვის, არამედ ფიზიკოსისთვის, ტიხნიკოსისთვის, ინჟინერისთვის, რომ რენტგენის კაბინეტები მოეწყობა საავადმყოფოებში, ფაბრიკა-ქარხნებში, რომ 30 წლის შემდეგ ყველა სახელმწიფოებში მოეწყობა რენტგენის ინსტიტუტები, რომელთა სამეცნიერო სფერო იმდენათ ფართო იქნება, რომ რენტგენოლოგიის ყველა საკითხების განხილვაზე იმუშავებენ არა ათეული, არამედ ასეული სპეციალისტ-რენტგენოლოგები.

იმ გავლენის მიხედვით, რომელიც რენტგენის აღმოჩენამ გამოიწვია ფართო საზოგადოებაში, მას ბადალი არა ჰყავს მეცნიერების ისტორიაში.

◆

ნარევი

ნიუ-იორკს დაღუპვა მოელის?

ამერიკელი მეცნიერი, გეოლოგი მაქს გარდინგი ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირები ყოველწლიურად ერთი დიუმით იფარება წყლით. გარდინგი ამბობს, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ნიუ-იორკს, ზღაპრული ატლანტიდის მსგავსად, მთლიანად დაფარავს ოკეანე. გარდინგი ამტკიცებს აგრეთვე, რომ სამხრეთ-ამერიკა თანდათანობით ამაღლდება ზღვის დონეზე.

ყველაზე დიდი მარგალიტი მსოფლიოში

ეს მარგალიტი იპოვა ავსტრალიის სამხრეთ ნაპირებთან მარგალიტების 18 წლის მაძიებელმა. მარგალიტი ყვითელი ფერისაა, ოდნავ მწვანე ფერი გადაჰკრავს და იწონის 30 კარატს. მარგალიტის მპოვნელმა 100.000 მანეთი მიიღო.

დაბადებათა და ქორწინების რიცხვი და სიკვდილიანობა ევროპაში

ქორწინებათა ყოველწლიური რიცხვი ომის წინა დროსთან შედარებით გაიზარდა. საშუალოდ ყოველწლიურად რეგისტრაციაში ტარდება 3.677.000 დაქორწინებული. სახელმწიფოთა შორის ქორწინებათა უდიდესი პროცენტი (მხედველობაში მიღებულია მოსახლეობის რაოდენობა) პირველი ადგილი უჭირავს რუსეთს; შემდეგ—უკრაინას, ბელგიას, უნგრეთს, გერმანიას, ჩეხოსლოვაკიას, საფრანგეთს, ავსტრიას, იტალიას და დანიას. ყველაზე ნაკლებია ქორწინებათა რაოდენობა შვეციასა და ნორვეგიაში.

მრავალ ქვეყნებში რიცხვობრივად სჭარბობენ ქალები, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. ვენაში მაგალითად 100 კაცზე 125 ქალი მოდის.

ყოველწლიურად ევროპაში იბადება 10.664.000 ბავშვი, ე. ი. 29.000 დღე და ღამეში ანუ 1200 საათში.

ყოველწლიურად ევროპაში კვდება 6.382.000 კაცი, ე. ი. რამდენი მცხოვრებიც არის ახლანდელ ავსტრიაში.

„ტარზანის" ავტორი—პლაგიატორი

პარიზის გაზეთები ბრალს დებენ ინგლისელ ბაროუზს—„ტარზანის" ავტორს პლაგიატში (სხვისი ლიტერატურული შრომის მითვისებაში, თავისათ გასაღებაში).

შემთხვევით გამოირკვა, რომ ნაკლებად ცნობილმა ფრანგმა მწერალმა რობიდემ 15 წლის წინათ დასწერა ფანტასტიური რომანი „კაპიტან სატურნენ ფარანდულის თავგადასავალი". რომანმა გავრცელება ვერ ჰპოვა. ბაროუზმა მოხერხებულათ ისარგებლა ყველას მიერ დავიწყებულ რობიდეს რომანით და გადააკეთა იგი „ტარზანათ" (გამოსცვალა სახელები და მოქმედების ადგილი). ზოგიერთი, ყველაზე უკეთესი ადგილები (მაგალითად ადამიანის ბრძოლა მაიმუნთან) ბაროუზს სიტყვა-სიტყვით „უსესხებია" რობიდის რომანიდან. ბაროუზმა „ტარზანში" 6 მილიონი ფრანკი აიღო.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მაქვს თუ არა უფლება მივიღო ჩემი წილი მამა-პაპური ქონებიდან

კითხვა

მამის გარდაცვალების შემდეგ გავიდა 15 წელი. მამა ჩემს დარჩა სამემკვიდრეო საერთო ქონება და მიწა გაუყოფელი. ამ მიწით სარგებლობდა ბიძა ჩემი ლადიკო ახობაძე, რომელიც არავითარ სარგებლობას არ მაძლევდა მიწის მოსავლიდან. მიწის გაყოფა მოვსთხოვე ბიძას სამჯერ: 1910 წ. 1912 წელს და 1918 წლებში, მაგრამ მან ამის საშუალება არ მომცა. მას შემდეგ, რაც არ მიკითხავს 8 წელია, რადგან ვსწავლობდი და დროც არ მქონდა.

ახლა ჩამოვედი ქ. თბილისიდან მიწის გასაყოფად ცალკე სარგებლობისათვის. მაგრამ ბიძა ჩემს მიწა დაუგირავებია ჩემი მეურვის დაუკითხავად.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება შემიძლია თუ არა მივიღო საერთო მამულიდან ნაწილი.

კულაშის თემის მცხოვრები **ზინა ნიკოლოზის ასული ახობაძე**

პასუხი

თანახმად მიწის კანონთა კოდექ. მუხ. 52-ისა, მიწისა და ქონების გაყოფისათვის თქვენ ადგილობრივ რაიონულ აღმასკომში უნდა წარადგინოთ სარეგისტრაციოდ გაყოფის ფარდის ქაღალდი. თუ თქვენი ბიძა ამაზე თქვენ არ გთანხმდებათ, თქვენ, როგორც გარდაცვალებულ მშობლების პირდაპირ მემკვიდრეს, სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 418 თანახმად, გაქვთ უფლება სასამართლოს წესით დაიბრუნოთ სამემკვიდრეო ქონება.

როგორ მოვიქცე და ვის მივმართო

კითხვა

მე ვმუშაობდი ქალ. აღმასკომის საბაღო სექციაში შავ მუშად ცამეტი წელიწადი და ახლა დამითხოვეს ვითომდა სიბერის გამო და (მე ვარ მხოლოდ 55 წლის). გამგზავნეს საექიმო-საკონტროლო კომისიაში. კომისიამ დამაბრუნა სამუშაოზე, როგორც ჯანმრთელი, მაგრამ ადმინისტრაციამ აღარ მიმიღო ჩემ საქმეზე და მე 15 მარტიდან აღარ ვმუშაობ. კავშირის წევრი ვარ 1914 წლიდან.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, როგორ მოვიქცე და ვის მივმართო ამის შესახებ.

მუშა **ლაზარაშვილი.**

პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით შრომის სასამართლოს საექიმო-საკონტროლო კომისიას თქვენი ჯანმრთელობის შესახებ დასკვნის თანდართვით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 28

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

შრომის კანონდებულებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლ. აგვისტოს 13-ს თარიღისა და 43 №-რის დადგენილების („შრომის ინსპექტორების მიერ დამქირავებელთა პასუხისგებაში მიცემის წესის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშა-მოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემული დადგენილების აღუსრულებლობისათვის) 1 და 2 მუხ. განსავითარებლად (გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს 962 №-ში 1925 წლ. აგვისტოს 28-ს) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ შემდეგ წესს ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ:

1. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წლ. აგვისტოს 29-ის თარიღითა და 56 №-რის დადგენილებასთან (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 971 №-ში 1925 წლ. სექტემბრის 8-ს) დართულ ნუსხაში აღნიშნული შრომის კანონებისა და განკარგულებების დარღვევისათვის, დამნაშავეს დაედება შემდეგი ადმინისტრატიული გადასახდელი:

ა) თავისუფლების აღკვეთა 2 თვემდე.
ბ) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთლად, 2 თვემდე და
გ) ფულადი ჯარიმა 100 მანეთამდე.

2. უკეთუ შრომის სფეროში დარღვეულია ისეთი კანონი და განკარგულება, რომლის დარღვევისათვისაც დამქირავებელი შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული ადმინისტრატიული წესით, შრომის ინსპექტორი შეადგენს ოქმს, რასაც ხელს მოაწერენ ოქმის შემდგენელი (ინსპექტორი), დამრღვევი და მოწმე.

შენიშვნა. უკეთუ დამრღვევი უარს იტყვის ოქმზე ხელის მოწერაზე, ეს უარი შეტანილ უნდა იქნეს ოქმში, უარის მოტივის აღნიშვნით, დამრღვევის უარი ხელის მოწერაზე ვერ შეაჩერებს ოქმის წარმართვას ამა დადგენილების მე-3 მუხლის წესისამებრ.

3. წინა მუხლში აღნიშნული ოქმი დაუყოვნებლივ წარედგინება სათანადო საქალაქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრატიულ განყოფილებას, რომელიც დაადგენს გადასახდელის დადებას იმ წესით, რაც აღნიშნულია სავალდებულო დადგენილება გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ გამოცემულ დებულებაში (სრ. საქ. ცაკ-ის 1923 წლ. მაისის 4-ს დეკრეტი).

4. იმ შემთხვევაში, უკეთუ ოქმიდან აშკარა იქნება, რომ დამნაშავეს ბრალად ედება ისეთი ქმედობა, რომელიც დევნილ უნდა იქნეს სასამართლოს წესით, საქმე გადაეცემა სათანადო სასამართლოს—ქვემდებარეობისამებრ.

5. უკეთუ ის პირი, ვისაც ადმინისტრატიული გადასახდელი დაედო, უკმაყოფილოა, შეუძლიან 7 დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების ასლის ჩაბარებისა, სთხოვოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს აღნიშნული დადგენილების გადასინჯვა, ან ეს დადგენილება განასაჩივროს საინსტანციო წესით შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატში. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს დადგენილების სისრულეში მოყვანას.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **ი. ხარაბაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **შ. მათიკაშვილი.**

1926 წ. აპრილის 5.

თბილისი—სასახლე.

„კომუნისტი"-ს
ხელისმომწერლებმა გაზეთის თავის
დროზე მიუტანლობისათვის
უნდა აცნობონ დაუყოვნებლივ გაზეთის
მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 84.

ორშაბათს, 19 აპრილს, საღამოს 6 საათზე
მოწვეულია
თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების
მორიგი სხდომა
1. კომუნალური სექცია წითელი თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახ. სახლი).
2. საფინანსო სექცია თბ. აღმ. საფინანსო განყოფილებაში.
3. განათლების სექცია „ „ განათლების განყოფილებაში.
4. ჯანმრთელობის სექცია „ ჯანმრთელობის განყოფილებაში.
5. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის აღმ. საადგილ-მამულო განყოფილებაში.
თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.
პრეზიდიუმი.
ნ. 1186

გამოვიდა და იყიდება
ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი" № 3
შინაარსი:
ფ. მახარაძე—პარტიული მუშაობის შესახებ სოფლად.
გ. მუშიშვილი—ახალი საბჭოები და პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი.
აკ. ყონია—გლეხობა და პირველი მაისი.
ივ. ბუაჩიძე—სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები.
ვ. კარპინსკი—რა არის სოციალისტური აღმშენებლობა.
ჟ. ფრანგიშვილი—სასოფლო-მეურნეობა და კომკავშირის ამოცანები.
ადგილობრივი ცხოვრება:
ამბერკი ურუშაძე—სოფლის უპარტიო აქტივი და პარტიული ხელმძღვანელობა.
მელ ქაძე—პარტიული მუშაობა თემებში.
ა. დუშეთელი—საზოგადო და პარტიული მუშაობა დუშეთის მაზრაში
გ. ლიშკაშელი—სოფლის კომუჯრედების საქმიანობა.
ს. ვ-ძე—წერილი ზემო-სვანეთიდან.
ბიბლიოგრაფია:
ფ—ნი: თედო ღლონტი—ეროვნული საკითხი და საქართველოს ფინანსები.
გლეხიშვილი—არის თუ არა უკან დახევა ახალი ეკონომიური პოლიტიკა.
იქხი: ვ. ლოსევი—სახელმწიფო მრეწველობა.
ობოლი გლეხი—რა სთქვა მე-14 პარტიულმა ყრილობამ გლეხობის შესახებ.
ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერლებს და გაიყიდება ყველგან. ნ. 1184 2—1

გულ მოკლული და იმედ დაკარგული ბენიამენ და ნორა დოლიძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა. წ. 16 აპრილს მოულოდნელათ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე და მეორეს დედა
კატო (ეკატერინე) დიმიტრის ასული
დოლიძისა
რომლის გამოსვენება დანიშნულია ა. წ. 20 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე, დღით სამშაბათს, თბილისის სანაპირო ქუჩა № 4; დასაფლავება ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2199 1—1

ღრმად დამწუხრებული: დედა ეფროსინე გიორგის ასული, დები: ოლღა ხოფერიასი, აგრაფენა დვალისა და მარიამ გრიგორაშვილისა ქმრებით და შვილებით; ძმები: ბიქტორი, ლევანი, ვარლამი, მინა, გრიგოლი, შალვა და ნესტორი ცოლებით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებთ, რომ 16 ამა აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდ იცვალა ქ. პარიზში საყვარელი და დაუვიწყარი
კალისტრატე გიორგის ძე ბერიძე
პანაშვიდი ნიკოლოზის ეკლესიაში (ვერაზე), კვირას, 18 აპრილს, 12 ნახ. საათზე. 2200 1-1

მეუღლე ტერეზი, შვილები ნიკოლოზ, თეოფილე, ვლადიმერი, მარო და თამარა, რძლები რაისა და ქეთო, შვილიშვილები თამარა, ნათელა, ეთერი და გულიკო კეჭალმაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 15 აპრილს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
სიმონ გიორგის ძე კეჭალმაძე
დასაფლავება მოხდება კვირას, 18 აპრილს, გურიაში სოფელ ზედობანში. 2202 1—1

შაბათს, 17 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე მიხეილის საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
სერგო იოსებისძე ჩეილიძე
რასაც უღრმესი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს მეუღლე მისი ერმონია შვილებით, სიდედრი და სიმამრი ივანე და მატრონა ჭედლიძეები, ცოლისძმები ერასტი და ნიკოლოზ ივანეს ძე ჭედლიძეები, ცოლისდა თეო ივანეს ასული ჭედლიძე-ლამბაშიძისა, რძალი ნადეჟდა გიორგის ასული ჭედლიძე, ქვისლი ტრიფონ გიორგის ძე ლამბაშიძე, დისწული ვახტანგ პლატონის ძე და ელენა ებანოიძეები, ცხედრის გამოსვენება საავადმყოფოდან სადგურზე მოხდება ორშაბათს, 19 აპრილს, საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა სოფელ წევაში.

დღეს, 18 აპრილს | რუსთაველის თეატრი | კვირას, 18 აპრილს
ოპერა ჯამბაზები
პირველი შემადგენლობა
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ა. ახმეტელის.
ა. ფულდის კომედია ვირის ჩრდილი
ი. გრიშაშვილის თარგმანი
ნ. 1179. 2—1. დადგმა აკაკი ფალავასი.

სახელმწიფო საოპერო თეატრი
დღეს, 18 აპრილს, 26 წ.
სახელმწიფო ოპერის მოლარეების
საღამო
ნინო ხარაჯიშვილისა, თამ. და ელენე ველიჩკინების
სანდრო ინაშვილის მონაწილეობით
დაიდგმება დაისი დაიდგმება
ქართ. ოპერა ქართ. ოპერა
2—1 ნ. 1173

სახელმწიფო დრამის გასტროლები

სამტრედია:	სამშაბ., 20 აპრ.	მათრახის პანაშვიდი
	ოთხშაბ., 21 აპრ.	დეზერტირკა
აბაშა:	ხუთშაბ., 22 აპრ.	ვირის ჩრდილი
	პარასკ., 23 აპრ.	დეზერტირკა
სენაკი:	შაბათს, 24 აპრ.	ვირის ჩრდილი
	კვირას, 25 აპრ.	დეზერტირკა
ფოთი:	სამშაბ., 27 აპრ.	ვირის ჩრდილი
	ოთხშაბ., 28 აპრ.	დეზერტირკა
	ხუთშაბ., 29 აპრ.	ჰამლეტ
	პარასკ., 30 აპრ.	მათრახის პანაშვიდი

დასის შემადგენლობა: 60 კაცი. ახალი ტანისამოსები და დეკორაციები.
დადგმები: კოტე მარჯანიშვილის, ალ. ახმეტელის და აკაკი ფალავასი.
ბილეთებზე ჩაწერა სწარმოებს ადგილობრივ თეატრების გამგეებთან ამ თავითვე. პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნებიან პროფ ორგანიზაციების წარმომადგენლები და საბჭოთა მოსამსახურენი.
შემდეგი გასტროლები: ჭიათურაში, ქუთაისში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ბათომში, სოხუმში, ზუგდიდში, ხაშურში, გორში, თელავში.
2—1. ნ. 1180

დღეს, 17 აპრილს, | სახელმწიფო ოპერა | დღეს, 17 აპრილს,
გუნდის მსახიობების გამოსათხოვარი
საღამო
„თამარ ცბიერი"
მუს. მ. ა. ბალანჩივაძის 1—1 2186

სამშაბათს, 20 აპრილს | რუსთაველის თეატრი
მოსკოვის თეატრების ცნობილი მსახიობი ქალის
ვარვარა ალექსი-მესხიშვილის
გასტროლები,
ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის როსტოვის თეატრის ანსამბლის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება პარიზის თეატრის „ჟიმნაზის" უკანასკნელი რეპერტუარი
„პარიზი-მეექვსე სართული"
კომედია 3 მოქმ. ჟერნეილის („ლუწი თუ კენტი")
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.
ადგილების ფასები ჩვეულებრივია.
ბილეთები წინ.-სწარ იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილის 11 ს.—3 საათ. და საღამოს 6—10 საათამდე.
2204

გაზ. „კომუნისტი"-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №, რომლითაც გამოწერილი აქვთ. მისამართების გამოცვლა იწვევს კანტორის მხრივ ზედმეტ ხარჯებს (მისამართების ხელმეორედ დაბეჭდვა, დაჭრა, ქაღალდი და ამიტომ მათი (ხარჯების) დასაფარავათ მისამართების შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კანტორაში 25 კ. (შეიძლება საფოსტო მარკებით), წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვარი წერილები უყურადღებოთ იქნება დატოვებული.
0 1 მთავარი კანტორა

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
ლითონის ტრესტი
საცავრო სექტორის № 1 და 2 მაღაზიებში
№ 1—პლეხანოვის პრ. № 87. № 2—პუშკინის ქ. № 29
მიიღებულია უმაღლესი ხარისხის ტყავის ლვედები სხვადასხვა ზომის
ფასები კონკურენციის გარეშე
2—1 ნ. 1147

თბილისის კოოპერატიული
საავენტო ამიერ.-კავ. რკინის გზებისა
აცხადებს, რომ 18 აპრილს 11 საათ. ქალაქის სადგურის დარბაზში, წერეთლის ქუჩა № 3 (ყოფ. განოვის), დანიშნულია
საჯარო ვაჭრობით
გაყიდვა სხვადასხვა საქონლისა, ფართლეულობის, „კოსმეტიკისა" და ტყავეულობის, სულ კი 144 ცალი.
2—1 ნ. 1172

თბილისის სასაკლაოები
გახსნილია გასასყიდათ მორეკილი საქონლის გასაჩერებლად და ღამის გასატარებლად [illegible], სადაც დაწესებულია ყველა სხვილ-ფეხა საქონელზე სულზე 20 კაპ. და წვრილფეხაზე სულზე—5 კაპ. დღეში.
საქონლის მიღება ამ ბაკებში სწარმოებს ყოველ დროს.
აქვე მოწყობილი არიან: თივის საწყობი, სასადილო და თვითონ საქონლის პატრონებისთვისაც გასაჩერებელი და ღამის სათევი ბინები.
როგორც თივა, ისე ყველა სანოვაგე მსურველებს მიეცემათ მტკიცე—მაგარ ფასებში.
მორეკილი საქონლისათვის მოსავლელად და თვალყურის სადევნად არის ცალკე მწყემსები და ექიმი ვეტერინარი.
ნ. 3—1 სასაკლაოს დირექცია

საბჭოთა სომხეთის

სახელმწიფო ფოტო-კინოს სააქციონერო საზოგადოება

უშვებს პირველ სურათს სომხეთის ცხოვრებიდან

საქართველოს სახელ. ფოტო კინო-მრეწველობის სააქციონერო საზოგადოების და სომხეთის სახელმწიფო ფოტო-კინოს ნაწარმოები

„ნამუსი“

ფსიქოლოგიური დრამა 8 ნაწილად

შირვან ზადეს რომანის მიხედვით.

მთავარ როლებში: სომხეთის სახალხო არტისტი — ო. აბელიანი, შაგუმატიან-ტატიევი, გრაჩია ნერსესიან, სამველ, ო. მაისურიან, ასმიკ, ხაჩანიან, ავეტისიან, მანუჩარიან, მელიქიან და სხვ.

რეჟისორი ა. ი. ბეკ-ნაზაროვი

ოპერატორი ს. ზაბოზლაევი

2—1 ნ. 1182.

საბჭოთა კინემატოგრაფიის სიამაყე

აპოლო [illegible]

„ჯავშნოსანი პატიომკინი“

სურათის წარმატების გამო ჩვენება გრძელდება ორშაბათიდან მხოლოდ აპოლოში.

მეჟრაბპომ-რუსის 1-ლი საუკეთესო სურათი

„დათვური ქორწილი“

მხატვრული დრამა 7 ნაწილად.

გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი, ორფასტოში სოლო სკრიპკაზე—იაკოვ ბროდსკი.

ანონსი: ამ დღეებში „ნამუსი“ შირვან-ზადეს რომანით. ნ. 972 0—16



სახელმწ. აკადემიური ოპერის თეატრი

დარჩენილი ბილეთები 2 ან-დან 5 მან.

მოსკოვის მეორე სამხატვრო აკად. თეატრის

ყველა 16 წარმოდგენაზე

იყიდება ყოველდღიურათ თეატრის კასაში დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდი და საღამოს 6 საათიდან 10-დი.

ადგილკომებს, რომლებმაც შემოიტანეს განცხადებები და ბილეთების მიღება დაუგვიანდათ, ასეთები რიგს გარეშე ეძლევათ.

ნ. 1183

დღეს 18 აპრილს

იხსნება სეზონი

დოლი

დოლი შემდეგ გაიმართება: 25 აპრილს, 3, 9, 16, 23 და 30 მაისს

2—1 ნ. 1169

თბ. საოლქო ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი

აცხადებს, რომ 25 აპრილს, დღის 12 საათზე კანტორის შენობაში—პლეხანოვის პროსპ. № 44 (ყოფ. მიხეილის ქ.)

— დანიშნულია —

საჯარო ვაჭრობა

რვა საავანსო ამანათის გასაყიდათ. ამანათები შეიცავენ ახალ მაღალი ხარისხის სატრიკოტაჟო, აბრეშუმის და მატყლის საქონელს (ჩულქები, წინდები, კაშნე, ცხვირსახოცები, შარფები და სხვ.).

ამ საქონელში, რომელიც ეკუთვნის სატრიკოტაჟო ფაბრიკა „დახმარება“-ს (მანთაშევის რიგი № 2), საბჭ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის კომერციულ სააგენტოს „სვიაზ“-ის ამიერ-კავკასიის განყოფილების საშუალებით გაცემული იყო სესხი. აღნიშნული საქონელი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით და ვაჭრობა დაიწყება 3.500 მანეთიდან, რაც უნდა დაეკავოს ფაბრიკას, ამასთანავე საქონლის მთელი ღირებულება 1926 წ. 11 თებერვლის № 62 ანგარიშის მიხედვით უდრის 7.768 მან. და 47 კაპ.

1—1 ნ. 1181

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლად. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 28 აპრილს 1926 წელსა დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში ჭავჭავაძის ქუჩაზე № 80 დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ივანე მიხეილის ძე ბოდოკიას ქვიტკირის სახლის აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე, ზომით დაახლოვებით 150 კვად. საჟენი, შეფასებული 215 მანეთ., საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა მელიტონ ალხაზაშვილის და ნიკიფორე ნუცუბიძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს სახლის შეძენა უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში.

ნ. 1185 1—1

ექიმი ნ. ტურიაშვილი

ამშობიარო და ქალის სნეულებანი იღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზიშვილის) ქუჩა № 22.

25—2

პროფ. ბრ. მუხაძე

ავადმყოფობათა შემდეგ [illegible] ავადმყოფების მიღება

მიღება სწ. [illegible] საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა

მისამართი: პლეხანოვის პროსპ. № 58, ტელეფ. № 5—77

25—7

ექიმი არსენ ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას. დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.

(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 3

25—11

თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ი. გეგელაშვილი

აცხადებს, რომ 23 აპრილს 1926 წ. დღის 12 საათზე მე-11 სამილიციო უბანში, ჩერქეზიშვილის ქუჩ. № 220 საჯარო ვაჭრობით გაყიდის პეტროს მარტიროსოვის ქონებას, რომელიც შესდგება სახლის ავეჯეულობისაგან და ერთი ცხენიდან, შეფასებულს 176 მან. დასაკმაყოფილებლად ზაქარია ფარადაშვილის ვალისა, თანახმად თბილისისა მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლის 26 მარტის 1926 წ. № 696.

2198 1—1

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ 22 აპრილს 1926 წ. შუა დღის 12 ს. სახლში № 9 ზორაბაშის ქ. ავლაბარში, მე-7 სამილიციო უბანში, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ოსიპ ქრისტეფორეს ძე ოსიპოვის სახლებს „აზრიბა“-ს ვალის დასაკმაყოფილებლად ქ. ბაქოს მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 7 მარტის 1926 წ. თარიღით № 581, გაცემულ სასამართლოს ბრძანების ძალით. ეს სახლები არის ქვითკირის, დახურულია თუნუქით, და აშენებულია ქალაქის მიწაზე ზომით 280 ოთხკუთხი საჟენი. ერთ სახლში ქვემო სართულშია ოთხი საცხოვრებელი ოთახი და ორი სამზარეულო, ზემო სართულშია შვიდი საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამზარეულო, მეორე სახლში ზემო სართულშია სამი საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამზარეულო, ქვემო სართულში სამი საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამზარეულო. ორივე სახლებს აქვს სარდაფები, აივნები, წყალსადენი და კანალიზაცია. ეზოს აქვს ქვის ღობე რკინის რეშოტკებით. შენობები კაპიტალურია. კარგად შენახულია, სადია. სახლები შეფასებულია სამი ათას მანეთად, რომელ თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების და ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების ცნობები იმის შესახებ, რომ არც მას, არც მის მეუღლეს და არც მის არასრულწლოვან შვილებს არა აქვთ ქ. თბილისში სახლები და უნდა მისცეს ხელწერილი მასში, რომ ამ პირებს არა აქვთ სახლები სხვა ადგილას.

2197 1—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—17

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა. პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით

რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

50—30

ექიმი

დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ჭონქაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3

25—8

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებან კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

იღებს ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართულ. ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).

25—19

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.

მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად

22—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე

№ 3ა. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—1

ავადმყოფების მიღებას

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56

25—1

ექიმი

ნ. გ. ახვერდოვი.

ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ძიძის დაღმართი № 15. ყოპირდაპ

თვალის ექიმი

მაევსკი

პლეხანოვის პროსპექტი

(ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე, დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7 დან 8-დე. 25—1

დაიკარგა პირადობის წიგნაკი, სამხედრო სააღრიცხვო ბარათი გიორგი კოტეს ძე ფანცულაძეს სახელზე, ბ. გ. 2203 1—1

დაიკარგა საბჭოთა მუშაკების კავშირის წიგნაკი № 5898, მიხეილ ქიპაშვილის სახელზე, ბ. გ. 2196 1—1

დაიკარგა რკ. გზის საწევრო წიგნაკი № 3771. სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 4 და მოწმობა აკაკი ქკუასელის სახელზე, ბ. გ. 2205 1—1

დაიკარგა დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 1243, აგრაფენა პავლეს ასული გოგეშვილის სახელზე ბ. გ. 2202 1—1

დაიკარგა პარტიული მანდატი № 490748, გალაქტიონ ცერცვაძის სახელზე, ბ. გ. 2201 1—1

სავალდებულო დადგენილება № 99

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტისა

ქ. თბილისის ქუჩებში ეკიპაჟების მოძრაობის მოწესრიგების შესახებ

12 აპრილი 1926 წ. ქ. თბილისი

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის: 1) 1925 წ. 3 აპრილის № 23, (ეტლებისა და ველოსიპედების მოძრაობის მოწესრიგების შესახებ), 2) 1925 წლის 21 აპრილის № 44 (ტრამვაიზე მიმოსვლის მოწესრიგების შესახებ), 3) 1925 წ. 4 მაისის № 56 (ქალ. თბილისის ქუჩებში მოძრაობის მოსაწესრიგებლად მილიციონერთათვის კვერთხის შემოღების შესახებ), 4) 1926 წ. 22 მარტის № 97 (გადასაზიდ საშუალებათა მიმოსვლის მოწესრიგების შესახებ) და 5) ს. ს. ს. რ. შ. ს. ს. კ. 1925 წ. 17 აპრილის № 9 (მოტოციკლეტებისა და ავტომობილების მოძრაობის წესების შესახებ) **სავალდებულო დადგენილებათა, ადგილობრივი პირობებთან შეფარდებით, დასამატებლათ და განსამარტებლად, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:**

§ 1. კერძო მფლობელთა ავტომობილებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები:

1) გასაქირავებელთ—განსაკუთრებული საშუქი, მქრქალი მწვანე მინით და წარწერით შავი შრიფტით „ქირავდება“, საშუქის დიამეტრი სინათლისათვის უნდა იყოს 3 დიუიმზე არა ნაკლები და გაკეთებული უნდა იყოს მარცხნივ დიდ საშუქზე;

2) უკანა საშუქი თეთრი მინით, სანომრო ნიშანზე არსებულ ნუმერის სიდიდისა, წარწერით: „ქირავდება“;

3) ჩასაჯდომ ყუთის ორივე კარებზე უნდა იყოს გამოხატული სიმრგვალე, დიამეტრით 320 მ. (მ. ხაზის სიფართოვე კი 20 მეთ.). და შუა გულში კი წარწერა: „ქირავდება“.

სიმრგვალე და წარწერა უნდა იყოს ყვითელი ფერის.

კერძო მფლობელთა ავტომობილები, რომლებიც არ ქირავდება, უნდა იყოს ამავე ნიშნების მქონე, წარწერის „ქირავდება“ გამოკლებით.

§ 2. მსუბუქი ავტომობილების უდიდეს სისწრაფედ წესდება 25 კილომეტრი საათში, სატვირთოებისთვის, რომელთაც გაბერილი შინები აქვთ, 20 კილომეტრი და რომელთაც ასეთი არა აქვთ—15 კილომეტრი.

§ 3. მანქანის გაჩერებისა ან სისწრაფის შესამჩნევად შენელებისა და აგრეთვე მობრუნების დროს ავტომობილის მმართველი ვალდებულია, ჩვეულებრივ ნიშნების გარდა, გააფრთხილოს ამის შესახებ ხელის მოძრაობის საშუალებით: მარჯვნივ და მარცხნივ ამ მხრისაკენ ხელის ჩვენებით, ხელის მაღლა აწევით კი— გაჩერება. მანქანების გუშაგ მილიციონერთან გავლის დროს,—გზა ჯვარედინებზე ან მოსახვევებში, ავტომობილის მმართველი აჩვენებს მას მანქანის შემდეგ სვლის გეზს, ხელის მოძრაობის იმავე ნიშნებით, მიახლოვებამდე 10 მეტრის სიშორიდან.

§ 4. ტრამვაის ხაზით სვლის ნება აქვს მხოლოდ გაბერილ შინიან ავტომობილებს და მოტოციკლეტებს.

§ 5 ტრამვაის გასწრობის მიზნით მარცხენა მხრიდან ავტომობილს შემოვლის უფლება აქვს იმ ადგილებში, სადაც მანძილი ფილაქანსა და ტრამვაის შორის საშუალებას არ იძლევა შემოვლა მოხდეს მარჯვენა მხრიდან. ამასთან ერთად ავტომობილის მმართველი ყოველ ცალკე შემთხვევაში ვალდებულია იძლეოდეს განუწყვეტელ გამაფრთხილებელ ხმაურობას შემოვლის მთელი დროის განმავლობაში.

§ 6. მგზავრთა ჩამოსასვლელად და მისაღებად ტრამვაის სადგურზე გაჩერების დროს აკრძალულია ყოველგვარი მოძრაობა რონოდის მარჯვენა მხრიდან.

მოძრაობის აღდგენა იწყება ტრამვაის დაძვრის შემდეგ.

გაფუჭების გამო ტრამვაის გაჩერების დროს მოძრაობა აღდგენილ უნდა იქნეს კონდუქტორის ნიშნის თანახმად.

შენიშვნა: ეს წესი არ ვრცელდება სწრაფ-დამხმარე ეტლისა და ხანძრის მქრობელ რაზმის მანქანაზე.

§ 7. ყოველგვარი ეკიპაჟების მიერ ერთი მეორესადმი გასწორება ნებადართულია იმ პირობის დაცვით, რომ სისწრაფის უმაღლესი ნორმა არ იქნება დარღვეული.

§ 8. ტრამვაის გასწრება მარცხენა მხრიდან ცხენშებმულ ყოველგვარი სახის ეკიპაჟებისათვის სასტიკად აკრძალულია.

§ 9. ორი ავტომობილის შეხვედრის დროს გზა ჯვარედინზე ავტომობილი, რომელიც მოდის მარცხენა მხრიდან, გზას უთმობს იმას, რომელიც მოდის მარჯვენა მხრიდან. ის მმართველი, რომლის მანქანაც შეჯახების დროს მიიღებს დაზიანებას მარჯვენა მხრიდან იქნება ყოველთვის დამნაშავე, როგორც გზის არ დამთმობი.

§ 10. როდესაც ერთი რონოდა დგას სადგურზე, უკან მომავალ რონოდას სასტიკად ეკრძალება პირველის დაძვრამდე მასთან მისვლა; დისტანცია დაცულ უნდა იქნეს რონოდათა შორის საზოგადოთ ტრამვაის ორი ბოძის მანძილით. (საბოლოო პუნქტების გამოკლებით).

§ 11. ტრამვაის რონოდაში აკრძალულია თამბაქოს მოწევა.

§ 12. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით იძულებითი მუშაობით, ან თავისუფლების აღკვეთით, ორ თვემდე, ან დაჯარიმებით 100 მანეთამდე.

13. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა გარდა § 1-ისა, რომლის მოთხოვნილება ძალაში შევა ორი კვირის განვლის შემდეგ დღიდან ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებისა.

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ივანოვ-კავკასიელი.

ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი ხმალაძე.

მდივანი ცქიტიშვილი.

ნ. 1187. 1—1.

ავადმყოფობათა მკურნალობა პროფესორ ბროუნ-სეკარის წესით

ავადმყოფობათა მკურნალობა

პროფესორ ბროუნ-სეკარის წესით

(ორგანოთერაპია)

მთელი ქვეყნის ექიმების და ფიზიოლოგების სამეცნიერო კვლევა-ძიებას, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რათა გამოენახათ ორგანიზმის სხვადასხვა სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი, შედეგათ მოჰყვა მკურნალობის ახალი მეთოდის— ორგანოთერაპიის აღმოჩენა.

ექიმებმა და ფიზიოლოგებმა გაიგეს, რომ ისეთ რთულ აპარატში, როგორიც არის ცხოველის ორგანიზმი, სწარმოებს მთელი რიგი პროცესები, რომელთა დროსაც ადამიანის ორგანიზმის ყველა ჯირკვლები იმუშავებენ განსაკუთრებულ სიმჟავეებს და ფერმენტებს, რომელთა საშუალებით ორგანიზმი თავისუფლდება ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მავნე პროდუქტებისაგან, როგორიცაა: შარდის მჟავა და სხვა შხამები, რომლებიც შხამავენ და აუძლურებენ ჯანმრთელ ორგანიზმს.

სანამ ორგანიზმში ეს შხამები მცირე რაოდენობით არიან, სანამ ორგანიზმი ჯანმრთელია, ახალგაზრდა, ის თავისუფლად და დამოუკიდებლად სპობს და გამოჰყოფს ორგანიზმიდან ამ შხამებს. მაგრამ როდესაც ორგანიზმი სუსტდება ავადმყოფობის, დაქანცულობის, ცუდი კვების, გადაჭარბებულ სქესობრივი ცხოვრების, მოხუცებულობის ნიადაგზე—მასში (ორგანიზმში) თანდათან გროვდება შარდის მჟავა, რომელიც იწვევს მის ნაადრევ დაძაბუნებას და სიკვდილსაც კი.

ორგანიზმის გაჯანსაღებისა და ორგანოების და ჯირკვლების მოშლილ ფუნქციების აღდგენისათვის ორგანოთერაპია სარგებლობს თვით ორგანიზმის სამკურნალო ძალებით და არ მიმართავს მისთვის უცხო ნივთიერებას.

პროფესორ ბროუნ-სეკარის სითხე—„სეკარის სითხე“ — ორგანოთერაპევტიული პრეპარატი—წარმოადგენს სათესლე ჯირკვლების ყველა მომქმედ ნივთიერებათა ექსტრაქტს (სათესლე ჯირკვლის გამონაწურს).

პროფესორი ა. ვ. რეპრევი ამ გამონაწურის ძირითად მომქმედ ნივთიერებაზე ამბობს შემდეგს: „ეს არის ერთ-ერთი მძლავრი ორგანოთერაპევტიული საშუალება, რომელიც მოქმედებს ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლაზე, ნერვიულ სისტემაზე და სისხლძარღვთა სისტემაზედაც“.

მთელი ქვეყნის საუკეთესო პროფესორების და ექიმების დაკვირვებით დამტკიცდა, რომ „სეკარის სითხე“ შეიცავს სწორედ იმ ელემენტებს, რომლებიც დაჰკარგა დაავადებულმა, დაუძლურებულმა ან დასუსტებულმა ორგანიზმმა შარდის მჟავათი, კურანებით ან სხვა შხამებით მოწამვლის გამო და სწორედ სეკარის სითხის საშუალებით შეიძლება ყოველგვარი შხამების მოსპობა და ორგანიზმიდან განდევნა და ამით ადამიანის აღდგენა, განახლება და გამაგრება.

„სეკარის სითხე“ იხმარება დიდი წარმატებით ისეთ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც წარმოადგენენ კურნებით ან შარდის მჟავათი ორგანიზმის მოშხამვის შედეგს და სახელდობრ: სიბერის ნიადაგზე, დაძაბუნების, სისხლნაკლებობის, ნევრასტენიის, სიგამხდრის, ისტერიის, ნევრალგიის, ეპილეფსიის, სიყვითლის, სიდამბლეების, ნეკრესის ქარების, რევმატიზმის, სქესობრივ და საერთო უძლურების, შაქრის ავადმყოფობის (დიაბეტის), არტერიოსკლეროზის, თავის ტკივილების, უძილობის, ხერხემლის ტვინის ავადმყოფობის, გულის მოქმედების მოშლის დროს მძიმე და დამაუძლურებელ ავადმყოფობათა: ტიფის, ხუნაგის, დიფტერიის, სიფილისის (ვერცხლის წყლით მკურნალობის შედეგების დროს), მშობიარობის, ოპერაციების, სისხლის დაკარგვის და სხვ. შემდეგ.

ექიმების მრავალ დაკვირვებებიდან მოგვყავს მხოლოდ ზოგიერთები:

„გალენ - მოსკოვის“ კოოპერატივის ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას.

ჯერ კიდევ სანამ მივიღებდი სათანადო ლიტერატურას და გავეცნობოდი სეკარის სითხის პრეპარატს, უკანასკნელით მე ვსარგებლობდი მთელ მაზრაში. მის ხმარების კარგ შედეგს მე ვაწერდი მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიურ ზეგავლენას, მაგრამ როდესაც ზემოაღნიშნული პრეპარატი ვსცადე ჩემს ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ავადმყოფებზე, მე მართლაც დავრწმუნდი მის მიზანშეწონილ და სასურველ მოქმედებაში. განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა პრეპარატი არტერიოსკლეროზის და ნევრასტენიის დროს.

ლეჩხუმის მაზრის ექიმი რ. ასათიანი. 1926 წ. 7 იანვარი.

ჯანსახკომის დაზღვეულთა დახმარების სამკურნალო ქვეგანყოფილების მე-3 ამბულატორია.

1925 წელი 14 სექტემბერი.

„გალენ - მოსკოვის“ ლაბორატორიის განყოფილება

ავადმყოფმა გუშანოვმა, 56 წლის, რომელიც ავად იყო ბრონხიტით, ქრონიკულ მიოკარდიტით, ასტმით, სისხლნაკლებობით, ამებურ დიზინტერიის და ნევრასტენიის შემდეგ, მიიღო სეკარის სითხის 2 ფლაკონი. პირველი 4 დღე ავადმყოფი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, ღებულობდა 20—20 წვეთს 8-ჯერ დღეში, მაგრამ შემდეგ, ამ პრეპარატის მიღების დროს, სისუსტე გაქრა, მადა მოუვიდა ავადმყოფს და იგი დღითი-დღე გრძნობს თავს სულ უკეთ და უკეთ.

ექიმი ჟვანია.

„გალენ მოსკოვის“ წარმომადგენლობას ამიერ-კავკასიაში.

გიცხადებთ მადლობას საცდელათ ბროუნ-სეკარის სითხის 3 ფლაკონის გამოგზავნისათვის; ეს სითხე მე ვიხმარე მძიმე ფორმის ნევრასტენიის დროს; აღნიშნულია დიდი გაუმჯობესება: ავადმყოფის ალგზნებულება გაქრა, აზროვნება ნათელი და მოძრაობა მსუბუქი გახდა. სასურველია შემდეგი დაკვირვება მკურნალობის ბოლომდე, რისთვისაც საჭიროა ამ სითხის ხმარება, რაზედაც, ვიმედოვნებ, უარს არ მეტყვით.

პატივისცემით ექიმი დევიძე.

25 წ. 24 ოქტომბერი.

„გალენ - მოსკოვის“ წარმომადგენლობას.

გთხოვთ გამომიგზავნოთ სეკარის სითხის კიდევ ერთი ფლაკონი ცდების გაგრძელებისათვის. ამასთანავე გაცნობებთ, ერთი ფლაკონის შემდეგ ეფექტი პირდაპირ გასაოცარი მივიღე: დაქანცულობა ქრება და ნერვიული სისტემა თვალსაჩინოდ დამშვიდდა. შემდეგ დაკვირვებებს გაცნობებთ.

ექიმი ბარნაბიშვილი.

25 წ. 13 ოქტომბერი.

„გალენ-“ის წარმომადგენლობის საექიმო განყოფილებას.

თქვენ მიერ მოწოდებული პრეპარატი „ბროუნ- სეკარის სითხე“ ვიხმარე დამზღვევ სალაროს ამბულატორიულ ავადმყოფებზე. გაცნობებთ შედეგებს: ავადმყოფი მ., ბეითალი, ფიზიკურად სავსებით ჯანმრთელი, კარგი კვების. ჩივილები: სისუსტე, დამტვრეულობა, თავის ტკივილი და განსაკუთრებით სქესობრივი სისუსტე. ექიმობდა ხანგრძლივად, მაგრამ უშედეგოდ. „სეკარის სითხის“ ერთი ფლაკონის მიღების შემდეგ ავადმყოფი აღნიშნავს თვალსაჩინო გაუმჯობესებას და, რაც განსაკუთრებით აკვირვებს მას, „სქესობრივი უძლურება“ ისპობა. მას დაენიშნა ამ სითხის მეორე ფლაკონი, რასაც კიდეც ღებულობს. ავადმყოფი № 2—მოანგარიშე, ფიზიკურად ძალიან დასუსტებულია, მას აქვს მწვავე სისხლნაკლულობა. უჩივის საერთო ძალის დაცემას, მუდმივ თავის ტკივილებს, უძილობას, ნერვიულობას და, რაც მთავარია, სქესობრივ სისუსტეს, რაც მას ძალიან აწუხებს. ის ავად არის დიდი ხანია. ექიმობდა— უშედეგოთ. 1 ფლაკონის მიღების შემდეგ აღნიშნავს საერთო მდგომარეობის თვალსაჩინო გაუმჯობესებას, მადის მოსვლას და სქესობრივ სისუსტის გაქრობას. თხოულობს მე-2 ფლაკონს, რაც უკვე დაენიშნა და განაგრძობს მიღებას.

ამ ორი შემთხვევის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სათესლე ჯირკვლის დისფუნქციის დროს, რაც ალბად ჰქონდათ ჩემ მიერ არჩეულ ავადმყოფებს, თქვენ მიერ მოწოდებული პრეპარატი დადებითად უნდა მოქმედებდეს, რადგან იგი არის ახალ სათესლე ჯირკვლების გამონაჟონი.

ექიმი კოტეტიშვილი.

თბილისი, 17 სექტემბერი.

კოოპერატივ „გალენ - მოსკოვ“-ს თბილისი.

თქვენი პრეპარატით მე კმაყოფილი დავრჩი, მან დაიმსახურა დადებითი შეფასება, რომელსაც უკვე იძლევიან. მე ვიხმარე იგი ავადმყოფზე მსუბუქ ნევრასტენიის სიმპტომით (ჩქარი დაღლილობა, ხანგრძლივი ნერვიული სისუსტე და კუნთების ტონუსის დაქვეითება, გაღიზიანება), რომელიც წლობით გრძელდებოდა და არ ქრებოდა მეტად კარგ პირობებში. ბროუნ-სეკარის სითხის ათი დღის ხმარების შემდეგ, არ შეცვლილა ცხოვრების პირობები; ავადმყოფის თვითგრძნობაში მოხდა სასურველი ცვლილებები; იგი ერთბაშათ გაუმჯობესდა, ავადმყოფი გამოცოცხლდა, კუნთების ტონუსი გაძლიერდა, დასუსტება, რომელიც ავადმყოფს ხშირად ემართებოდა უკანასკნელ 2 კვირის განმავლობაში აღარ განმეორებულა. შრომის უნარი გაიზარდა. ასეთი ცვლილებები ავადმყოფის თვითგრძნობაში მე არ შემიძლია მივაწერო ფსიქიურ ზეგავლენას, რაც აუცილებელია სითხის ხმარების დროს. გიძღვნით მადლობას, რადგან საშუალება მომეცით პირადად დავკვირებოდი თქვენი პრეპარატის საუცხოვო მოქმედებას.

ექიმი ტარანცევი.

თბილისის ქალაქის ხარფუხის სამკურნალო 1925 წ. 17 სექტ. № 488.

„გალენ - მოსკოვის“ წარმომადგენლობას.

სეკარის სითხე ჯერ-ჯერობით მე დაუნიშნე რამდენიმე ავადმყოფს ნერვიულ სისტემის აშლილობის და სისუსტის მოვლენებით. ეს პრეპარატი აუმჯობესებდა ავადმყოფების მადას, დამამშვიდებლად მოქმედებდა მათ ნერვიულ სისტემაზე და ამხნევებდა მათ.

ხარფუხის საავადმყოფოს გამგე ექიმი—გ. მაგაკიანი.

„გალენ - მოსკოვის წარმომადგენლობას.

სეკარის სითხის ხმარებამ გამხდარ ავადმყოფებზე მომცა თვალსაჩინო ეფექტი და ავადმყოფს დაეტყო საერთო გაუმჯობესება.

ექიმი ნ. ვესტფალი.

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობის საექიმო განყოფილებას.

ამით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი ბროუნ-სეკარის სითხე ვსცადე ჯერ-ჯერობით ერთ ავადმყოფზე. დაკვირვების შედეგი დადებითია თვითგრძნობის და სქესობრივ ფუნქციის გაუმჯობესების მხრივ.

სასურველია დაკვირვებების გაგრძელება, რადგან პრეპარატმა მე ძალიან დამაინტერესა. გთხოვთ გამომიგზავნოთ კიდევ ერთი ფლაკონი.

ექიმი ავშაროვი.

1925 წ. 31 აგვისტო.

—

ამასთანავე გიგზავნით მოქ. გ—ს ცნობილ მორფინისტის წერილს.

ექიმი წულეისკირი.

1925 წ. 22 სექტემბერი.

დაზღვეულთა საექიმო დახმარების თბილისის სამკურნალო ქვეგანყოფილებას.

ამიერ-კავკ. თანამშრ. ლ. გ. გ.

ამით გაცნობებთ, რომ თქვენგან მიღებულ ბროუნ-სეკარის სითხის ხმარების შემდეგ მე თავი ვიგრძენი მხნედ, სასქესო ორგანოებმა, რომელიც მორფის ხმარების გამო სრულიად უმოქმედო იყო, დაიწყეს მოქმედება, მძინავს ნორმალურად, საერთოდ ვგრძნობ სრულ განახლებას.

ლ. გ.

თბილისი, 1925 წ. 28 აგვისტო.

—

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს წარმომადგენლობას ამიერ-კავკასიაში.

ა. წ. სექტემბრიდან—დეკემბრამდე მე ვაძლევდი „სეკარის სითხეს“ ისეთ ავადმყოფებს, რომლებიც დაავადებული იყვნენ ნევრასტენიით, კვებიანობის ძლიერ დაცემით (განსაკუთრებით ათაშანგის სინდიყით მკურნალობის დროს და სქესობრივ უძლურების ზოგიერთ ფორმების დროს). დაკვირვებამ მომცა ფრიად სასურველი შედეგები: ნერვიული სისტემა გამაგრდა, საერთო მდგომარეობა გაუმჯობესდა და სქესობრივი ფუნქცია გაძლიერდა. ყველა ზემო აღნიშნულ დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფებს ურჩევ კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს „სეკარის სითხის“ მიღებას.

ექიმი მიხეილ აგანჯანოვი.

—

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს წარმომადგენლობას ამიერ-კავკასიაში.

ვაკვირდებოდი სეკარის სითხის მოქმედებას ავადმყოფებზე. შედეგი დადებითი მივიღე. პრეპარატს ძალიან სასარგებლოთ ვსთვლი სისხლნაკლებობის და ნევრასტენიის მწვავე ფორმების დროს. ვინაიდან ვაპირებ პრეპარატის ცდას სხვა ავადმყოფებზე, გთხოვთ გამოგზავნოთ კიდევ რამდენიმე ფლაკონი.

ექიმი ბაბდასაროვი.

—

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს წარმომადგენლობას ამიერ-კავკასიაში.

„ბროუნ-სეკარის სითხე“ ვიხმარე მთელ რიგ ავადმყოფებზე და ძალიან ჩქარა მივიღე დადებითი შედეგები: ავადმყოფებს, რომლებსაც აწუხებდათ უძილობა, მადის დაკარგვა, საერთო სისუსტე, დაღლილობა, თავისტკივილი, ნევრასტენია და სხვა, 5—6 ფლაკონის მიღების შემდეგ, დაეტყოთ თვითგრძნობის გაუმჯობესება, დაუბრუნდათ მადა და ძილი და მუშაობის უნარიც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პრეპარატს ვსთვლი ძალების მომგვრელ საუკეთესო საშუალებათ.

ექიმი მალალაშვილი.

P. S. კუჭ-ნაწლავის კატარის დროს ავადმყოფები, რომლებსაც აწუხებთ ხშირი ყაბზობა, ბ. ს. სითხის მიღების შემდეგ თავისუფლად გადიან გარედ.

„გალენ-მოსკოვი“-ს ორგანო - თერაპევტიულ ლაბორატორიას.

24 წელიწადი ვმუშაობ ფარმაცევტიულ დარგში, როგორც ვარშავის უნივერსიტეტის პროვიზორი. მსოფლიო და სამოქალაქო ომის დროს მე ვმუშაობდი ფრონტზე, ძალიან დავიქანცე და ამეშალა ნერვიული სისტემა.

1924 წ. პირველად მივაქციე ყურადღება ჩემი ჯანმრთელობის დაქვეითებას, რაც გამოიხატებოდა მუდმივ დაქანცულობასა, თვალების ტკივილში, შიშიანობაში, ყურების ყრიალში, ძილად მიკარდნაში, საშინელ სიზმრებში, რაც ძილს სატანჯველათ აქცევდა.

1925 წელს მე ერთი თვე დავისვენე. მაგრამ ამის შემდეგაც ჩემი ჯანმრთელობა არ გაუმჯობესებულა.

ა. წ. ნოემბერში წინადადება მომცეს მიმეღო საცდელათ „ბროუნ-სეკარის სითხე“ „გალენ-მოსკოვი“.

პირველი 2 ფლაკონის მიღების შემდეგ მე ვიგრძენი გაუმჯობესება. ეხლა მე-4 ფლაკონის მიღების შემდეგ სრულიად გამოვიცვალე—სახე გამისუქდა, თვითგრძნობა მხნე მაქვს, მადა საუცხოვო, ძილი მშვიდი, თვალის ტკივილი შესწყდა, ვმუშაობ დღე და ღამეში 12—14 საათს და არავითარ დაღლილობას ვგრძნობ.

საერთოდ ვგრძნობ, რომ დასუსტებული ორგანიზმი იწყებს განახლებას და ვფიქრობ, რომ მე-6 ფლაკონის მიღების შემდეგ დაკარგული ჯანმრთელობა მთლად დამიბრუნდება.

გიძღვნით გულწრფელ მადლობას თქვენი პრეპარატისათვის.

პატივისცემით პროვიზორი-ფარმაცევტი—ბ. ლეს.

—

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას.

დაახლოებით 1 ნახ. წლის განმავლობაში მე ვაკვირდებოდი „სეკარის სითხის“ მოქმედებას ისეთ ავადმყოფებზე, რომლებიც დასუსტებული იყვნენ ანტისიფილიტიურ წამლობის შემდეგ და რომლებიც შეპყრობილი იყვნენ ნევრასტენიით. ეფექტი მივიღე მეტად დამაკმაყოფილებელი.

ზოგიერთი ავადმყოფები, რომლებსაც აწუხებდა უძილობა, ჩქარი ფიზიკური და გონებრივი დაღლილობა, 5—6 ფლაკონის მიღების შემდეგ მიცხადებდნენ, რომ მათ შეამჩნიეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანი, საერთო მათი შეხედულება ადასტურებდა მათ განცხადებას.

ვფიქრობ, რომ „სეკარის სითხე“ არის ძალების მომგვრელი საუკეთესო საშუალებანი.

ექიმი შუხმან.

ბროუნ-სეკარის სითხის დამზადება და გამოშვება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნება დართული აქვს მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივ

„გალენ-მოსკოვი“-ს

ქიმიურ - ფარმაცევტიულ ლაბორატორიის ორგანო-თერაპევტიულ განყოფილებას

სეკარის სითხე იყიდება ყველა აფთიაქის მაღაზიებში და სახმედვაჭრობის და წითელი ჯვრის საფთიაქო სამმართველოს მაღაზიებში.

„გალენ - მოსკოვი“-ს გენერალური წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთისათვის, თბილისი, თავისუფლების მოედანი № 2, ყოფ. თამამშევის პასაჟი, მეორე სართული, შესავალი ყოფ. სასტუმრო „კავკაზ“-ის პირდაპირ.

ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კაპ.

იგზავნება ფოსტით არა ნაკლებ 4 ფლაკონისა 25 პროც. ბეს მიღების შემდეგ.

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს მთავარი საწყობი საბჭოთა კავშირისათვის, მოსკოვი, გერცენის ქ. № 5, განყ. 3.

Гл. Скл. для С.С.С.Р торг. отд. Кооператива „ГАЛЕН-МОСКВА“ Москва, ул. Герцена, № 5, отд. 3.

0—1 ნ. 1163.

„სეკარის-სითხე“

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 65